

"24 საათის" ფიჭქიანი ნომერი

*2424

წყალდიდობის
გადაბად ინდოეთში
230 ადამიანი დაიღუპა

A8



დავრინაბული
პრემიარა

A9



კუპარის ბოლო
არჩივანი

A14



24საათი

"24 საათის"

ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC
group

ჯი პი ეი

შენის სადაზღვევო ჯგუფი

ბზა, როგორღის არც თუ ისა ზორია...

მარი ახსიაზვილი

2008 წლის ნოემბერ-დეკემბერში სახელმწიფო აგვისტოს ომის დროს დაზარალებული მოსახლეობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩაასახლა. მას შემდეგ თითქმის ერთი წელი გავიდა. როგორ ცხოვრობენ დევნილები ახალ ადგილებში, ამის სანახაად "24 საათი" შიდა და ქვემო ქართლის განსახლების ადგილებს ეწვია.

პირველი დასახლება - კოდა, თეთრიწყაროს რაიონი. ოფიციალური მონაცემებით, ამ დასახლებაში 447 ოჯახი, სულ 1351 ადამიანი ჩაასახლეს. დევნილთა დასახლებაში სულ თერთმეტი კორპუსი დგას. როგორც სოფლის მაცხოვრებლები ამბობენ, ნაწილი ყოფილი ყაზარმაა, ზოგი კი - ყოფილი სასტუმრო. ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელს, მე-9 კორპუსს ვესტუმრობთ.

გაგრძელება A12 გვერდზე



გონილა აბაშიძე ფოტო

მთავარი საფინანსო ინსტიტუტების ყოველწლიური შეხვედრა

ნინო ნარჩიშვილი

თურქეთის დედაქალაქ სტამბულში მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოველწლიური შეხვედრა გაიხსნა, რომელშიც მსოფლიო ბანკის წევრი ყველა ქვეყანა მონაწილეობს. მსოფლიოს

186 ქვეყნის წარმომადგენლები საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან ერთად, მომავალი წლის სტრატეგიას დაგეგმევენ და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე, თითოეული ქვეყნისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან მიმართულებებს განიხილავენ. სტამბულის შეხვედრაში მინაწი-

ლეობას მიიღებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მიმართულებები კი ყველა ქვეყანას თავისი აქვს და ამას სტამბულის შეხვედრაზე მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ წარმოდგენილი კვლევები უჩვენებს.

რა იქნება 2010 წელს; რა ეკონომიკური პროცესებია მოსალოდნელი; უნდა ველოდოთ თუ არა ეკონომიკური კრიზისის შენელებას ან დასასრულს? სწორედ ამ კითხვებზე პასუხია მოსალოდნელი სტამბულის შეხვედრაზე.

გაგრძელება A4 გვერდზე

პირველი ბანაფისი ბანახლებულ ფილარმონიაში

ნანი ბრეგვაძემ საკუთარი შემოქმედებითი საღამო მუსიკალურ სპექტაკლად აქცია

ნა ვაჟა

ქვეყნის მთავარი სცენა კვლავ მოქმედია - ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის კარი, თითქმის ორწლიანი შესვენების შემდეგ, ფართოდ გაიხსნა და გრანდიოზული კონცერტი ჩატარდა, თუმცა მსმენელის აპლოდისმენტი ამ დღეს მხოლოდ განახლებულ დარბაზს არ ეკუთვნოდა, მისი მთავარი ადრესატი ქართული საესტრადო სცენის პრიმა ნანი ბრეგვაძე გახლდათ. მომღერალის თითქმის ორსაათიანი კონცერტი მისი შემოქმედებითი გზის ერთგვარ ექსკურსს, მუსიკალურ სპექტაკლს წარმოადგენდა.

გაგრძელება A11 გვერდზე



სეპარატისტული აფხაზეთი
საზღვარგარეთის პასპორტებს
რუსეთში დაბეჭდავს

სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტი აცხადებს, რომ აფხაზეთი უკვე დამოუკიდებელია და არასოდეს დაუბრუნდება საქართველოსთან ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრების საკითხის განხილვას. სერგეი ბალაფში აღნიშნავს, რომ აფხაზები საკუთარ დამოუკიდებელ სახელმწიფოს აშენებენ და აუცილებლად განაგრძობენ კეთილმეზობლური ურთიერთობების შენება-განვითარებას უპირველეს ყოვლისა, რუსეთის ფედერაციასთან.

"კიდევ კარგი ჩვენ კარგი და კეთილი მეზობელი და პარტნიორი გვყავს. ასე რომ ეს საკითხი ჩვენ უკვე კარგახნის გადაწყვეტილი გვაქვს", - აცხადებს ბალაფში და დასძენს, რომ აფხაზეთი საქართველოსთან არც ე.წ. საზღვაო ომში აპირებს ჩაბმას. "საქართველოსთან ომს არ ვაპირებთ იმ შემთხვევაში თუკი იგი თავად არ დაიწყებს სისულელეების კეთებას". ამ საკითხის გარდა სერგეი ბალაფში რუს ჟურნალისტთან საუბრისას, აფხაზეთში მოქმედი საზღვარგარეთის პასპორტების საკითხსაც შეეხო. აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი სერგეი ბალაფში მიიჩნევს, რომ აფხაზეთს თავისი საკუთარი საზღვარგარეთის პასპორტი სჭირდება. რუსული გაზეთის, "ვრემია ნოვოსტიისთვის" მიცემულ ინტერვიუში აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი აცხადებს, რომ აფხაზეთში უკვე ჩამოყალიბდნენ და იციან როგორი უნდა იყოს საზღვარგარეთის აფხაზური პასპორტი. ბალაფში ასევე აღნიშნავს, რომ ამ პასპორტების დაბეჭდვის შეკვეთას ისინი რუსეთის ფედერაციას მისცემენ. მისივე თქმით, აფხაზური საზღვარგარეთის პასპორტები ყველა საერთაშორისო დაცვითი სტანდარტებისა და პრაქტიკების შესაბამისი იქნება.

"პასპორტებს რუსეთის ფედერაციაში შევუკვეთავთ. ჩვენ უკვე განვიხილავთ იმას, თუ შემუშავებული პასპორტის სამი ვარიანტიდან რომელი იქნება ჩვენთვის მისალევი. მომდევნო ერთი და ორი თვის განმავლობაში კი უკვე ამ პასპორტების ბეჭდვას დაიწყებთ. ეს კი იმისთვის გაკეთდება, რომ აფხაზეთის მოქალაქეებს რომლებსაც აფხაზეთის საზღვარგარეთული პასპორტები ექნებათ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე შესვლა უკვე თავისუფლად შეეძლოთ. რა თქმა უნდა, ჯერ საუბარი მიდის რუსეთის ტერიტორიაზე, მაგრამ როდესაც უკვე აფხაზური საზღვარგარეთის პასპორტები ყველა საერთაშორისო ნორმის შესაბამისი იქნება, მერე უკვე საუბარი სხვა ქვეყნებზეც შეიძლება",- აცხადებს ბალაფში მაგად ლეკიაშვილი

აფხაზი და ოსი სეპარატისტები
ყუბანის საერთაშორისო
არქეოლოგიურ კონგრესში
მონაწილეობენ

არქეოლოგები და მეცნიერები სეპარატისტული აფხაზეთიდან და ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან მონაწილეობას ყუბანის მესუეთე საერთაშორისო არქეოლოგიურ კონგრესში მიიღებენ, რომელიც გუშინ გაიხსნა. რუსული მედიის ინფორმაციით, აღნიშნულ კონგრესში მონაწილეობას რუსეთიდან და საზღვარდარეთიდან ჩამოსული 150-მდე მეცნიერ-სწავლული იღებს. შეგახსენებთ, რომ ყუბანის საერთაშორისო კონგრესი ყოველ 4 წელიწადში ერთხელ ტარდება და მასზე სამეცნიერო საქმიანობაში მიმდინარე სამუშაოების აჯამებენ. სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენის" ინფორმაციით, ღონისძიება 10 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

აფხაზეთის მთავრობამ ბერებს
დახმარება გადასცა

აფხაზეთის მთავრობისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრებმა, საქველმოქმედო აქციის ფარგლებში სოფელ ნორიის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის დროებით რეზიდენციაში მოღვაწე ბერები მოინახულეს და მათ პუმანიტარული დახმარება ჩაუტანეს. საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობა აფხაზეთის მთავრობისა და სამინისტროების ყველა უწყებამ მიიღო. აქციის ფარგლებში შემოსული თანხა და პირველადი მოხმარების საყოფაცხოვრებო ნივთები, ანტონ მარტყოფლის სახელობის ღვთაების მამათა მონასტრის სასულიერო პირებს გადაეცათ. სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენის" ცნობით, მონასტრის წინამძღვარმა მამა ბენიამინმა აფხაზეთის მთავრობის წევრებისთვის ჯამრთელობის პარაკლისი გადაიხდა და მათ სამახსოვრო ხატები გადასცეს.

ირაკლი ალასანია სამუშაო
ვიზიტით გერმანიაში გაემგზავრა

"ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერი ირაკლი ალასანია სამუშაო ვიზიტით გერმანიაში გაემგზავრა. როგორც "ჯი-ეიჩ-ენს" ალიანსის პრესსამსახურიდან აცნობეს, ალასანია 6-9 ოქტომბერს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას. კონფერენცია სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების მოგვარებას ეხება. კონფერენციაზე ირაკლი ალასანია საქართველოში კონფლიქტების მოწესრიგების პროცესში რუსეთისა და საერთაშორისო ორგანიზაციების როლის თაობაზე ისაუბრებს. გარდა ამისა, ვიზიტის ფარგლებში ირაკლი ალასანია გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეებთან, გერმანიის პარლამენტის წევრებთან, გერმანიის სპეციალურ წარმომადგენელთან კავკასიისა და ცენტრალური აზიის საკითხებზე, ჰანს-დიტერ ლუკასთან და ეუთოს კონფლიქტების პრევენციის ცენტრის ხელმძღვანელ პასკალ ჰაიმანთან გამართავს შეხვედრებს.

ახალ ეკონომიკურ პაქეტს პარლამენტში პრეზიდენტი წარადგენს

დღეს პრეზიდენტი პარლამენტს მთავრობის ახალი ეკონომიკური ანტიკრიზიული გეგმის დეტალებს გააცნობს. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ და კომიტეტის ხელმძღვანელებმა დახურულ კარს მიღმა აღნიშნული პაკეტის შესახებ უკვე იმსჯელეს, მის დეტალებს ბოლო დრომდე არავინ აკონკრეტებს. მეტიც - პარლამენტის თავმჯდომარის გუშინდელი განცხადება ცხადყოფს, რომ მიხეილ სააკაშვილის დღევანდელი გამოსვლა, ძირითადად, ისევ "იდეის" დონეზე - დეკლარაციული ხასიათის იქნება.

თამარ ხორბალაძე

პრეზიდენტის მოსალოდნელი ვიზიტის შესახებ პარლამენტარებს ბიუროს გუშინდელ სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ ამცნო.

"ეს იქნება მხოლოდ სანყისი ხედვა; პრეზიდენტი გაგაცნობს კონკრეტულ წინადადეგებს, თუ როგორ ხედავს ის როგორ ხედავს მთავრობა ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას. შემდეგ უკვე მთავრობა იმსჯელებს ამ საკითხზე და პარლამენტში შემოვა კონკრეტული კანონპროექტი," - განაცხადა ბაქრაძემ.

ცნობისათვის - ეს ის ხედვაა, რომლის წარდგენაც 18 სექტემბერს პრეზიდენტმა სააკაშვილმა მთავრობას პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურთან, ეკონომიკის მინისტრ ზურაბ ჟოლოლიკაშვილთან და ფინანსთა მინისტრ კახა ბაიანდურამშვილთან შეხვედრის დროს დაავალა და ამ პროცესს "ეკონომიკური პროგრამის ახალ ეტაპზე" გადასვლაც უწოდა.

შეხვედრაზე პრეზიდენტმა

განაცხადა, რომ მთავრობამ უნდა მოამზადოს და პარლამენტს წარუდგინოს ახალი პაკეტი, რათა **"შეეძლოთ უფრო მყარი გარანტიების შექმნა საკუთრებისთვის, უფრო მყარი გარანტიების შექმნა ზოგადად ინვესტიციებისთვის, უფრო მყარი გარანტიების შექმნა და შესაძლებლობების შექმნა ჩვენი საზოგადოებისთვის, რათა გაიუმჯობესონ ეკონომიკური მდგომარეობა."**

სხვაგვარად ამ პროგრამას "პოსტკრიზისულ" გეგმასაც უწოდებენ. პოსტკრიზისულ ეტაპზე გადასვლაზე განცხადებები ასევე 18 სექტემბერს გაკეთდა, როცა ფინანსთა მინისტრმა ბაიანდურამვილმა განაცხადების აკრეფის მაჩვენებლის გაუმჯობესების შესახებ განაცხადა.

გუშინ გავრცელებული ინფორმაციითაც, იანვარ-სექტემბრის ბიუჯეტის საპროგნოზო პარამეტრი გადაჭარბებით შესრულდა. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს 2009 წლის იანვარ-სექტემბრის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო

მაჩვენებელი 3 983.9 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო რეალურად 4 004.1 მლნ ლარი ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101 პროცენტი იქნა მობილიზებული. 110 პროცენტითით შესრულდა ასევე სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი და ნაცვლად განსაზღვრული 244.9 მლნ ლარისა, მობილიზებულ იქნა 270.0 მლნ ლარი.

მიუხედავად ასეთი ოპტიმისტური ციფრებისა, ხელისუფლება განსაკუთრებული ოპტიმიზმით რომ არ არის განწყობილი, ამას პარლამენტში შეტანილი 2010 წლის ბიუჯეტის პროექტიც მოწმობს, რომელშიც წლევანდელთან შედარებით, დაახლოებით, 300 მილიონი ლარით ნაკლები შემოსავლის მიღებაა ნაგარაუდები.

არსებულ პრობლემებზე საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციაც მოწმობს, რომლის თანახმადაც, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2009 წლის პირველ ნახევარში 226.1 მილიონ აშშ დოლარამდე შემცირდა, 2008 წლის ანალოგიური პერიოდის 1.143 მილიარდ აშშ დოლართან შედარებით. ეს კი თითქმის 930-მილიონიანი შემცირებაა.

ხელისუფლების ინფორმაციით, ახალი ანტიკრიზისული (თუ პოსტკრიზისული) გეგმა სწორედ ინვესტიციებისა და ეკონომიკური აქტივობის გაზრდას ისახავს მიზნად.

მიუხედავად მიზნების არაერთგზის დეკლარირებისა, ხელისუფლების წარმომადგენ-

ლებს საზოგადოებისთვის ჯერჯერობით ამ გეგმის დაახლოებითი მონახაზიც კი არ წარუდგენიათ. ამ მისიას, როგორც ჩანს, დღეს პრეზიდენტი იკისრებს.

პარლამენტში პრეზიდენტის წინა გამოსვლა ივლისში ჯო ბაიდენის ვიზიტს უძღოდა წინ და ძირითადად დემოკრატიზაციის ახალი ინიციატივების გაჟღერებას ემსახურებოდა. ამჯერად მიხეილ სააკაშვილი, წინასწარი ინფორმაციით, ძირითადად, ეკონომიკურ ინიციატივებზე ისაუბრებს. გამოსვლის რეგლამენტი კითხვა-პასუხის რეჟიმს არ ითვალისწინებს, თუმცა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი პარლამენტს დატოვებს, საკითხის განხილვის გაგრძელებას არ გამოიჩინებს. ყოველ შემთხვევაში, საპარლამენტო ოპოზიცია პრეზიდენტის გამოსვლის უკომენტაროდ დატოვებას არ აპირებს. ამის შესახებ გუშინ ოპოზიციონერები ბიუროს სხდომის დასრულების შემდეგ აცხადებდნენ.

პარლამენტში პრეზიდენტის დღევანდელ გამოსვლას პრემიერი ვერ დაესწრება. ქართული დელეგაცია, ნიკა გილაურის ხელმძღვანელობით, გუშინ თურქეთში გაემგზავრა. ქართული დელეგაცია სტამბულში საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოველწლიურ შეხვედრას დაესწრება, პრემიერი ასევე საქართველო-თურქეთის ბიზნესფორუმში მიიღებს მონაწილეობას.

საქართველოს და ევროკავშირს ერთმანეთი სჭირდებათ

"საქართველო მნიშვნელოვანი ქვეყანაა და მან ის უნდა აკეთოს, რასაც საკუთარი განვითარებისთვის თავად გადაწყვეტს. ის უნდა დაუახლოვდეს ევროპას, უნდა გახდეს ნატო-სა და ევროკავშირის წევრი," - ეს განცხადება თბილისში ვიზიტით მყოფმა დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა პერ სტივ მიოლერმა გააკეთა.

მიოლერი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, მათ შორის, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს და საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს შეხვდა. დახურულ კარს მიღმა გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ მხარეებმა ოკუპირებულ ტერიტორიების პრობლემებზე, ასევე საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაზე ისაუბრეს. გუშინვე ვაშაძემ და მიოლერმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის ინფორმაციით, მიოლერი დღეს სოხუმში გაემგზავრება. ბაქრაძის განმარტებით, მისი და დანიელი დიპლომატის საუბარი, ძირითადად, საქართველოში არსებულ კონფლიქტებს,

რუსულ-ქართულ ურთიერთობებს და იმ საფრთხეებს შეეხო, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობს და რომელთა განეიტრალებაში გადამწყვეტი როლი ევროკავშირის აქტიურ პოზიციას ეკისრება.

დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ევროკავშირმა, რომლის წევრი დანიაც არის, ყველაფერი გააკეთა, რათა საქართველოს ომის შემდგომი პერიოდიდან ადვილად გამოსულიყო.

"ევროკავშირი ახლაც ყველაფერს აკეთებს, რათა საქართველოზე შეტევები აღარ განმეორდეს და თქვენი ქვეყანა თავისუფალი იყოს," - განმარტა დანიელმა სტუმარმა.

დანიის მხარდაჭერა ჩვენი ქვეყნისადმი გრიგოლ ვაშაძემაც დაადასტურა. **"დანია იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც საქართველოს ყოველთვის უწევნ დახმარებას,"** - გა-

ნაცხადა ვაშაძემ.

დანიის მხარდაჭერაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემაც ისაუბრა. ბაქრაძის თქმით, დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მკაფიოდ განაცხადა, რომ ევროკავშირმა ბოლომდე უნდა დაუჭიროს მხარი საქართველოს. **"არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საქართველოს სჭირდება, არამედ იმიტომაც, რომ ეს ევროკავშირსაც სჭირდება,"** - დასძინა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

როგორც ბაქრაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, დანიის საგარეო საქმეთა მინისტრის აფხაზეთში ვიზიტის მიზანია იქაური ხელისუფლებისგან იმის გაგება, არსებობს თუ არა ქართულ-აფხაზური დიალოგის განახლების რეზუსი. თავად ბაქრაძეს მიაჩნია, რომ რუსეთთან მუშაობის, დიოკუპაციის და რუსეთის არმიის საქართველოს ტერიტორიებიდან გაყვანის გარეშე აფხაზეთთან ურთიერთობებში რაიმე გარღვევის მიღწევა ნაკლებად მოსალოდნელია. მიუხედავად ამისა, **"ცხადია, რომ ამ ურთიერთობისთვის ჩვენ მზად ვართ,"** - დასძინა დავით ბაქრაძემ.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან დანიელი დიპლომატის გუშინდელი საუბრები საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრით დასრულდა. პრეზიდენტმა სააკაშვილმა დანიის საგარეო საქმეთა მინისტრს დახურულ კარს მიღმა უმსახინძლა. ამის შემდეგ პრეზიდენტი ჟურნალისტებს გაესაუბრა. მიხეილ სააკაშვილმა საერთაშორისო არენაზე საქართველოს მიმართ დანიის მხარდაჭერა აღნიშნა. საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ შეაფასა ჰაიდი ტალიაიუნის კომისიის დასკვნა.

"კომისიას ევალებოდა ფაქტების აღმოჩენა, თუ რა მოხდა რეალურად. ზუსტად ეს ფაქტები დავასახელე პირადად მე. იყო შეკითხვები და კომისიამ დაადასტურა, რომ რუსები საქართველოს ტერიტორიაზე მანამ შემოვიდნენ, ვიდრე ჩვენ რეაგირებას მოვასხდენდით. დასავლეთში ბევრი ფიქრობდა, რომ მე ვცრუობდი, მაგრამ კომისიამ დაამტკიცა, რომ მართალი ვიყავი და ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია," - განაცხადა პრეზიდენტმა.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთი "24 საათის" გამოცემაელი შპს "მეზა". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარშაშვილი, პაატა მუხაშვილი.

რედაქცია: სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მხარველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალავანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალაიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რეგიო), კახა ფარშაშვილი (სპორტი). რედაქცია და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეივა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ტექნიკა: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიჟარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქორია, ნინო ყაველაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლები დაახლოებით 300 000 000-მდე ლარით მცირდება

2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლები დაახლოებით 300 000 000-მდე ლარით მცირდება. მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი უკვე პარლამენტშია და მის განხილვას უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო უახლოეს დღეებში შეუდგება.

საბიუჯეტო პროექტის თანახმად, მომავალი წლის ბიუჯეტში შემოსავლები 4.865.380.0 ათასი ლარით განისაზღვრება, მაშინ, როცა მიმდინარე წელს ბიუჯეტში შემოსავლები 5.137.516.8 ლარს შეადგენდა. რაც შეეხება მომავალი წლის საშემოსავლო პროგნოზებს, გადასახადებზე 4.235.00.0 ლარი მოდის, მაშინ, როცა მიმდინარე წელს ეს ციფრი 4.260.00.0 ლარით იყო განსაზღვრული. ამასთან, მომავალ წელს საგრანტო შემოსავალი 376.380.0 ლარი იქნება, მაშინ, როცა მიმდინარე წელს ის 555.474.8 ლარი იყო.

სხვა შემოსავლებში მომავალ წელს 253.400.0 ლარია ნავარაუდები. მიმდინარე წელს ეს ციფრი 322.042.0 ლარით განისაზღვრებოდა. რაც შეეხება ხარჯებს, მომავალი წლისთვის ხარჯების 5.280.829.0 ათასი ლარით განსაზღვრა იგეგმება, მიმდინარე წელს კი ხარჯები 5.527.221.0 ათას ლარს შეადგენდა.

ბიუჯეტის პროექტის პირველადი განხილვის შემდეგ პარლამენტი მას მთავრობას შენიშვნებით დაუბრუნებს, რის შემდეგაც კორექტირებული ვარიანტი დასამტკიცებლად ისევ პარლამენტში შევა. პირველი

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურში სტაჟიორთა მიღება დაიწყო

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური 5 ოქტომბრიდან აცხადებს შესაბამისი განათლების მქონე სპეციალისტთა მიღებას სტაჟირების გასაუფლებლად.

სტაჟიორები შეირჩევიან კონკურსის წესით. მათ საშუალება ექნებათ საკუთარ რაიონში, ეროვნული სამსახურის რაიონულ და საქალაქო სამმართველოებში გაიარონ სტაჟირება.

წარმატებულ სტაჟიორებს ეძლევათ დასაქმების რეალური შანსი.

მთავარი საფინანსო ინსტიტუტების ყოველწლიური შეხვედრა

პირველი გვარდიან

შეხვედრის გახსნამდე კი იმართებოდა პრესკონფერენციები და კეთდებოდა წინასწარი განცხადებები. მსოფლიო ეკონომიკაში არსებული ვითარების წინაპირობების განხილვისას მსოფლიო ბანკის პრეზიდენტმა რობერტ ზელეკმა აღნიშნა, რომ "უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მსოფლიო ეკონომიკაში უდიდესი ცვლილებები ხდებოდა - გეგმიური ეკონომიკის სისტემების წგრევა საბჭოთა კავშირის და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ეკონომიკური რეფორმები ჩინეთსა და ინდოეთში - ეს ყველაფერი მსოფლიო საბაზრო ეკონომიკის განვითარებას უწყობდა ხელს, რომელშიც წინანდელი 1 მილიარდის ნაცვლად დღეს უკვე 4-5 მილიარდი ადამიანია ჩართული. ეს ცვლილებები უდიდეს შესაძლებლობებს ქმნის, თუმცა მათ მეოცე საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბებული საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა შეარყიეს".

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი სახელმწიფოთა მეთაურებს რეკომენდაციას უწევს წესრიგში მოიყვანონ არსებული მრავალმხრივი სისტემა და ჩამოყალიბონ კონკრეტული პრიორიტეტები, რაც ეკონომიკის ბალანსირებას და ფინანსების სტაბილურობას შეუწყობდა ხელს. მისი თქმით, ასევე, კრიზისის პერიოდში ყურადღების კონცენტრაციაა საჭირო ცენტრალური ბანკების როლზე, რადგან ცენტრალურმა ბანკებმა საუკეთესოდ გაართვეს თავი კრიზისს, მისი ყველაზე მწვავე პერიოდის დროსაც კი.

და კიდევ, მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელსაც რობერტ ზელეკმა სტამბულის შეხვედრაზე გაუსვა ხაზი - "კრიზისის მართვისას აუცილებელია ფინანსთა სამინისტროებს მეტი უფლება-მოვლილება მიეცეთ, რათა მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ პროცესების რეგულირებისას. გარდა ამისა, ფინანსთა სამინისტრო აღმასრულებელი ორგანო გახლავთ და მთავრობა და მოსახლეობა შეძლებენ უშუალოდ გააკონტროლონ სამინისტროს



ციაა საჭირო ცენტრალური ბანკების როლზე, რადგან ცენტრალურმა ბანკებმა საუკეთესოდ გაართვეს თავი კრიზისს, მისი ყველაზე მწვავე პერიოდის დროსაც კი.

და კიდევ, მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელსაც რობერტ ზელეკმა სტამბულის შეხვედრაზე გაუსვა ხაზი - "კრიზისის მართვისას აუცილებელია ფინანსთა სამინისტროებს მეტი უფლება-მოვლილება მიეცეთ, რათა მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ პროცესების რეგულირებისას. გარდა ამისა, ფინანსთა სამინისტრო აღმასრულებელი ორგანო გახლავთ და მთავრობა და მოსახლეობა შეძლებენ უშუალოდ გააკონტროლონ სამინისტროს

მიერ განხორციელებული ზომები".

სტამბულის შეხვედრაზე კიდევ ერთი საინტერესო განცხადება გაკეთდა - განვითარებადი ქვეყნების როლი მსოფლიო ეკონომიკაში იზრდება და ეს დადებითი მოვლენა გახლავთ. ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციები, ადამიანური რესურსი და კერძო ბიზნესი საშუალებას აძლევს განვითარებად ქვეყნებს თავიანთი წვლილი შეიტანონ ახალ პირობებში მსოფლიო ეკონომიკის ნორმალური მდგომარეობის აღდგენისას.

გაკეთდა განცხადება, აშშ-სა და ამერიკული ვალუტის შესახებაც, რომელიც საერთო მოსაზრებით,

ბით, ჯერეჯერობით, მყარ პოზიციას ინარჩუნებს. კერძოდ, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამერიკა სერიოზულად დააზარალა კრიზისმა. ქვეყნის მომავალი დამოკიდებულია იმაზე, შეძლებს თუ არა გადაჭრას არსებული უდიდესი დეფიციტის პრობლემა, აღადგინოს ეკონომიკის ზრდა ისე, რომ არ დაუშვას ინფლაცია. ასევე, შეცვალოს ქვეყნის ფინანსური სისტემა. მისივე განმარტებით, შეცდომა იქნება იმის თქმა, რომ აშშ დოლარს გარანტირებული აქვს მსოფლიოს ძირითადი სარეზერვო ვალუტის როლი. პერსპექტივაში დოლარის შეცვლის სულ უფრო მეტი ვარიანტი გაჩნდება.

როგორ შევავსოთ ბიუჯეტი

მანანა ვარდიანელი

გლობალური საფინანსო კრიზისით გამოწვეული საგადასახადო შემოსავლების კლების ფონზე საქართველოს მთავრობამ გადასახადების ადმინისტრირების გაზრდა გადაწყვიტა და ამ მიზნით საბაჟო და საგადასახადო კოდექსში არაერთი ცვლილება შეიტანა. მოდით, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განვიხილოთ.

18 ივნისიდან საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე განბაჟების ახალი წესი მოქმედებს. ახალი წესის თანახმად, ფიზიკურ პირს პირადი მოხმარების ტვირთის საზღვარზე განუბაჟებლად გადმოტანის უფლება თვეში მხოლოდ ერთხელ აქვს, ერთი თვის განმავლობაში საზღვრის მეორედ გადმოკვეთის შემთხვევაში კი ტვირთი უკვე უნდა განაბაჟოს. საბაჟოზე ახალი წესების ამოქმედებამდე ფიზიკურ პირს 50 კილოგრამამდე და 1000 ლარამდე ღირებულების საქონლის განუბაჟებლად შემოტანის უფლება ჰქონდა. ახალი წესების შემოღების შემდეგ კი განუბაჟებელი ტვირთის ზედა ზღვარი 30 კილოგრამით და 500 ლარით განისაზღვრა.

ცვლილება ძალაში ფინანსთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე შევიდა. სამინისტრომ ეს გადაწყვეტილება თურქეთიდან განუბაჟებელი საქონლის იმპორტის ზრდით ახსნა. გარდა ამისა, ითქვა ისიც, რომ ახალი წესების შემოღების მთავარი მიზანი პატიოსანი იმპორტიორების დაცვა იყო. (ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, სარფის საბაჟოს გავლით საქართველო-თურქეთის საზღვარს ყოველდღიურად 16 ათასი პირი რამდენჯერმე კვეთდა და



საქართველოში 4 მილიონი ლარის ნავაჭრი საქონელი გადმოჰქონდა. იმის გამო, რომ ფიზიკური პირების მიერ გადმოტანილი ტვირთი არ იბეგრებოდა, ბიუჯეტი ყოველთვიურად 2-3 მილიონი ლარის შემოსავალს კარგავდა).

რა სარგებელს მოუტანს განბაჟების ახალი წესები "პატიოსან იმპორტიორებსა" და ბიუჯეტს, მოგვიანებით გაეარკვით. მანამდე კი იმ ადამიანს მოვუსმინოთ, ვინც საბაჟოზე ამოქმედებული ახალი წესები საკუთარ თავზე გამოსცადა: "რამდენიმე დღით აზერბაიჯანში ვიყავი და ახლობლებისთვის საჩუქრები ვიყიდე. საბაჟოზე ჩემი ჩანთა დეტალურად დაათვალიერეს და გამომიცხადეს, რომ ჩემს მიერ ნაყიდი ნივთების ღირებულება კანონით დაშვებულ ლიმიტს - 500 ლარს აღემატებოდა და განბაჟებას ექვემდებარებოდა. იმის გამო, რომ ფული ალარ მქონდა, ახლობლებისთვის ნაყიდი საჩუქრების ნაწილი საბაჟოზე დამატოვებინეს. ფიზიკური პირებისთვის დანესებული ლიმიტი ძალიან ცოტაა. ეს უსამართლობაა", - აცხადებს გია ზედელაშვილი.

10 აგვისტოდან კი საფოსტო გზავნილების დაბეგვრის რეჟიმი შეიცვალა. საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილების თანახმად, 300 ლარზე მეტი ღირებულების (აღრინდელი 1500 ლარის ნაცვლად) საფოსტო გზავნილი დაბეგვრას ექვემდებარება. ახალი ცვლილების მიზეზად ის დასახელდა, რომ 1500-ლარიანი ზღვარის არსებობის პირობებში ბევრმა მოქალაქემ უცხოურ ინტერნეტმაღაზინებში პროდუქციის შეძენა და მისი საქართველოში რეალიზება სარფიან ბიზნესად აქცია. როგორც კანონ-

მდებლებმა განმარტეს, ახალმა ცვლილებამ ყველა, ვინც ეკონომიკური საქმიანობისთვის სხვა ქვეყნიდან იმპორტს ახორციელებს, თანაბარ პირობებში ჩააყენა.

კიდევ ერთი ახალი ცვლილება ბიზნესის შემოსავლების ქრონომეტრაჟს ეხება. ექსპერტთა შეფასებით, ახალი ცვლილება ბიზნესმენტთა საქმიანობას კიდევ უფრო ართულებს და ამავე დროს კორუფციის ელემენტებსაც შეიცავს. საგადასახადო კოდექსის 107-ე მუხლში შეტანილი ცვლილების თანახმად, საგადასახადო ინსპექტორს უფლება აქვს სასტუმროს ან კვების ობიექტს წინა წლის გადასახადები წლევანდელი ბრუნვის შესაბამისად გადაახდევინოს. იმ შემთხვევაში, თუ კვების ობიექტებსა და სასტუმროებში ჩატარებული ქრონომეტრაჟით დადგინდება, რომ მიმდინარე წლის სა-

შუალო ბრუნვა წინა წლის საშუალო ბრუნვას აჭარბებს, საგადასახადოს უფლება აქვს მენარმეს წინა წლის გადასახადები გადაახდევინოს. საგადასახადო კოდექსის ამ ცვლილებას ეკონომიკის ექსპერტი ირაკლი შავიშვილი ასე განმარტავს: "ნორმალური ბიზნესი წლიდან წლამდე იზრდება. თუ ბიზნესმენს წელს მეტი შემოსავალი აქვს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან გასულ წელს შემოსავალი დამალა. ამ ჩანაწერით გამოდის, რომ ბიზნესს მხოლოდ აქტივობის შემცირების სტიმული უნდა ჰქონდეს, რაც ძალიან დიდი სისულელეა".

საგადასახადო კოდექსის ამ მუხლის მიხედვით, საგადასახადო ინსპექტორს შეუძლია სეზონური ან სხვა ფაქტორები გაითვალისწინოს, ან არ გაითვალისწინოს. ექსპერტთა აზრით, ასეთი ჩანაწერი კორუფციული რისკის მატარებელია, რადგან საგადასახადო ადმინისტრირება საგადასახადო ინსპექტორს სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას აძლევს.

კიდევ ერთი ცვლილება საგადასახადო დავას ეხება. თუ მენარმემ პირველი ინსტანციის სასამართლო წააგო, მას ქონებას ისე გაუყიდიან, რომ მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას არ დაელოდებიან. ასეთ შემთხვევაში, ბიზნესმენმა მეორე ინსტანციის სასამართლო რომ მოიგოს, მაინც წაგებული დარჩება, რადგან ქონება აღარ ექნება.

ექსპერტი ირაკლი შავიშვილი ბოლო 6 წლის განმავლობაში საგადასახადო სფეროში განხორციელებულ ცვლილებებს და არსებულ ტენდენციას ასე აფასებს: "ხელისუფლება იზრდის უფლებებს გადახედვით უფლებების შემცირების ხარჯზე და ეს დისპროპორცია სულ უფრო იზრდება და ღრმავდება".

"გაერთიანებული ტელეკომი" აბონენტებს ინტერნეტთან ერთად ტელევიზიასაც სთავაზობს

სოფო ჩიხლაძე

15 ოქტომბრიდან საქართველოში მაუწყებლობას ახალი ტიპის ტელევიზია დაიწყებს და პირველ ეტაპზე მისთვის თვალის დევნება მხოლოდ "გაერთიანებული ტელეკომის" ინტერნეტ ქსელში ჩართულ აბონენტებს შეეძლება.

უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში უცხოური სატელეკომუნიკაციო კომპანიები აქტიურად მუშაობენ IPTV-ს (IP Television) განვითარებაზე. IPTV-ციფრული ინტერაქტიური ტელევიზიაა, რომლის სიგნალიც აბონენტს IP ქსელის საშუალებით მიეწოდება. "გაერთიანებული ტელეკომის" დაკვეთით, ქართველი პროფესიონალების ჯგუფმა პირველად საქართველოში ციფრული და HD ხარისხის გადაცემის სისტემა - NOVUS TV შექმნა.

NOVUS TV-ის პროექტის აპარატურულ და პროგრამულ უზრუნველყოფაზე NOVUS-ის ჯგუფი მუშაობდა, ხოლო "გაერთიანებული ტელეკომი" - მისი კონტენტის განვითარებაზე. "ამ ეტაპზე ჩვენ ავირჩიეთ "გაერთიანებული ტელეკომი", რადგან სწორედ მათ აქვთ ყველაზე ფართო, მაღალსიჩქარიანი ქსელი მთელს საქართველოში - მოქმედი, სტაბილური, თანამედროვე და აბონენტებისთვის ხელმისაწვდომი", - აღნიშნა, კომპანია NOVUS-ის გენერალურმა დირექტორმა ლევან ბუჩუკურმა.

"გაერთიანებული ტელეკომი" აბონენტებს NOVUS TV-ის მომსახურებას ინდივიდუალური პაკეტების სახით მიანდის. როგორც ტელეკომში აცხადებენ, ტექნოლოგიის ინტერაქტიულობა აბონენტებს აძლევთ საშუალებას შექმნან და მოირგონ საკუთარი პაკეტი. ისარგებლონ ონლაინ ვიდეოთეკით, შეარჩიონ და უკან გადაახვიონ გადაცემის ცოცხალი ეთერი,



მიმდინარე ტელეპროგრამა. საერთო ჯამში ტელეკომი მომხმარებელს ხუთი სახის პაკეტს სთავაზობს. პაკეტის მინიმალური ღირებულება 15 დოლარს შეადგენს, მაქსიმალურის კი 35 დოლარს. აღსანიშნავია, რომ მინიმალურ პაკეტში შედის 60 არხი, მათ შორის 1 HD არხი. ამ სერვისის გასააქტიურებლად აბონენტი ერთჯერადად 150 დოლარს გადაიხდის. "ციფრული ინტერაქტიული ტელევიზიის პროექტისთვის მზადება ერთი წლის წინ დაიწყო, განხორციელდა ქსელის მოდერნიზაცია, შეიქმნა ინფრასტრუქტურა სრულიად ახალი ტექნოლოგიების დასაწერად, ისეთის როგორიცაა, IPTV. სატესტო რეჟიმში ბოლო 6 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა გამოცდა 100-მდე აბონენტზე, რომელმაც წარმატებით ჩაირა. ეს არის ქართული პროექტი, ქართველი პროფესიონალებისა და სპეციალისტების მიერ შექმნილი პროდუქტი, რომელიც IPTV სისტემის ყველა

სტანდარტს აკმაყოფილებს. IPTV სისტემა არ არის ისეთივე მასიური მოხმარების, როგორც ინტერნეტი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ საქართველოში ამ სერვისის მიმართ საზოგადოების ინტერესი დიდი იქნება", - განაცხადა, "გაერთიანებული ტელეკომის" ინტერნეტ და IPTV პროექტების განვითარების დირექტორმა ნიკა ჭიაურელმა.

აღსანიშნავია, რომ პროექტის გასახორციელებლად ტელეკომმა უკვე მილიონ ნახევარი დოლარი დახარჯა. პირველ ეტაპზე ახალი სერვისი აბონენტების ლიმიტირებულ რაოდენობას მიეწოდება, ხოლო ქსელის მოდერნიზაციის დამთავრების შემდეგ, რაც 2010 წლისთვის იგეგმება, ტელეკომი ამ სერვისს საქართველოს ყველა რეგიონში მცხოვრებ ადამიანს შესთავაზებს. 2010 წლამდე კი კომპანია კიდევ დამატებით 3 მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს. დღეისათვის ტელეკომს 45 ათასი ინტერნეტ-აბონენტი

ჰყავს თბილისში, თუმცა ამ მომენტისთვის ახალი სერვისის მიწოდება მხოლოდ 4600 აბონენტისთვის შეუძლია და ისიც თბილისის მასშტაბით. როგორც ნიკა ჭიაურელი აცხადებს, უახლოეს მომავალში ახალი სერვისით სარგებლობის შესაძლებლობა რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებსაც ექნებათ.

როგორც აღვნიშნეთ, ოფიციალურად IPTV-ს მომსახურების მიღება 15 ოქტომბრიდან იქნება შესაძლებელი. მომხმარებელს პირველ ეტაპზე ახალი ტექნოლოგიით ასამდე არხის, მათ შორის სამი HD არხის მიღება შეეძლება. "გაერთიანებული ტელეკომი" მოლაპარაკებებს სხვადასხვა უცხოურ არხებთან მაგალითად: Time Warner, Universal, Disney და სხვებთან ახლაც აწარმოებს, რათა კონტენტი იყოს ლეგალური, ლიცენზირებული და მაღალი ხარისხის. ტელეკომში აცხადებენ, რომ უახლოეს მომავალში არხების რაოდენობა კიდევ გაიზრდება.

ბინებზე ფასი ყველზე მეტად რიგასა და თბილისში დაეცა

ანალიტიკურმა ცენტრმა GED Analytics ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების 15 დედაქალაქში ბოლო წლის განმავლობაში ბინებზე ფასების ცვლელადობის შესწავლა დაასრულა. 2008 წლის სექტემბრიდან 2009 წლის სექტემბრამდე საშუალო ფასმა ყველაზე მეტად ლატვიის დედაქალაქ რიგაში (-53%) და საქართველოს დედაქალაქში (-42%) დაინია. მესამე ადგილზე ამ მაჩვენებელში უკრაინის დედაქალაქი კიევი აღმოჩნდა (-39%)

ყველაზე ნაკლებად ფასების ვარდნა საცხოვრებელ სახლებზე ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკს (-16%), სომხეთის დედაქალაქს - ერევანს (-19%) და მოლდოვის დედაქალაქს - კიშინიოვს (-21%) შეეხო.

რაც შეეხება რუსეთის დედაქალაქს, ფასების კლების მიუხედავად, მოსკოვი კვლავ დარჩა ერთი კვადრატულ მეტრი საცხოვრებელი ფართის ღირებულების ლიდერად. მოსკოვში საშუალოდ ერთი კვადრატული მეტრი ფართის ღირებულება 4500 აშშ დოლარს შეადგენს.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების დედაქალაქებში საცხოვრებელ ფართებზე ფასების კლება 2008 წლიდან დაიწყო. ამ დრომდე ფასები ყოველწლიურად, რიგ შემთხვევებში არაადეკვატურად სწრაფი ტემპებით იზრდებოდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

ვადაგადაცილებელი სესხები "პროკრედიტ ბანკის" მთლიანი სასესხო პორტფელის 3%-ზე ნაკლებს შეადგენს

ვადაგადაცილებელი სესხები "პროკრედიტ ბანკის" მთლიანი სასესხო პორტფელის 3%-ზე ნაკლებს შეადგენს. ამის შესახებ "პირველს" "პროკრედიტ ბანკის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს. მათივე ინფორმაციით, გამომდინარე იქიდან, რომ "პროკრედიტ ბანკის" პრობლემური სესხების პროცენტული მაჩვენებელი ძალიან მცირეა, ბანკს კლიენტებთან ინდივიდუალური მიდგომა აქვს შემუშავებული.

აღსანიშნავია, რომ ქართულ საბანკო სივრცეში მოქმედმა ბანკებმა აღნიშნული პრობლემის მოგვარების სხვადასხვა გზები გამოიხატეს. მაგალითად, "საქართველოს ბანკმა", სადაც ვადაგადაცილებელი სესხები მთლიანი სასესხო პორტფელის 7%-ს შეადგენს, თავის კლიენტებს ვალდებულების რესტრუქტურისაზიის ახალი გეგმა შესთავაზა, რომლის თანახმად, იმ მომხმარებელს, რომელსაც საკრედიტო ბარათზე 2009 წლის 15 ივნისამდე წარმოშობილი დავალიანება ერიცხება, ბანკი აღნიშნული დავალიანების 24 თვეზე გადანაწილებას და დასაფარი ფიქსირებული თანხის 125 ლარამდე შემცირებას სთავაზობს. **პირველი**

გორის რაიონის სოფელ კარალეთის ჩასახლებაში სოციალური ცენტრი გაიხსნა

გორის რაიონის სოფელ კარალეთის ჩასახლებაში სოციალური ცენტრი გაიხსნა. გახსნის ცერემონიას World Vision-ის და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (გლუკ) წარმომადგენლებთან ერთად ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი და შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილე ზურა ჩინჩილაკაშვილი ესწრებოდნენ. სოციალური ცენტრი აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით World Vision-მა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატმა განახორციელა.

სოციალურ ცენტრში ბავშვთა და მოზრდილთათვის სხვადასხვა სახის წრეები გაიხსნება. სოციალურ-კომუნალური ცენტრების პროექტი მიზნად ისახავს ახალ ჩასახლებებში დამოუკიდებლად მოქმედი ცენტრების შექმნას, რათა დაკმაყოფილდეს იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებები, სხვადასხვა სახის მომსახურების დაწერვის გზით. ცენტრების საშუალებით დაინერგება სათემო სტრუქტურა, რაც საშუალებას მისცემს თემს საკუთარ პრობლემებთან გამკლავება თავადვე შეძლოს.

World Vision-ის და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის თანამშრომლობით დევნილებით კომპაქტურად დასახლებულ 9 სოფელში აშენდა სოციალური ცენტრი.

სექტემბრის წლიურმა ინფლაციამ 0,4 პროცენტით შეადგინა

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2009 წლის სექტემბერში წლიურმა ინფლაციამ 0,4; საშუალო წლიურმა ინფლაციამ კი 2,5 პროცენტი შეადგინა. 2008 წლის ანალოგიურ პერიოდში წლიური ინფლაცია 10,6; ხოლო საშუალო წლიური ინფლაცია 11,3 პროცენტს შეადგენდა.

საქართველოს ეროვნული ბანკი საშუალო წლიური ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს დამოუკიდებლად ადგენს. მიმდინარე წლისათვის ეს მაჩვენებელი 9 პროცენტით არის განსაზღვრული. **მედიანისუი**

2010 წლის ბიუჯეტის საპროგნოზო მარჯვენაბლის პარლამენტი მთავრობასთან ერთად დაადგენს

2010 წლის ბიუჯეტის პროექტი პარლამენტში დადგენილი საპროგნოზო მაჩვენებლების გარეშე შევიდა. საპროგნოზო მაჩვენებლების დადგენასთან დაკავშირებით კი პარლამენტი მთავრობასთან ერთად იმუშავებს. ბიუჯეტის პროექტის განხილვა 2-3 კვირის შემდეგ დაიწყება. ეს განცხადება დღეს ბი-

უროს სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარემ გააკეთა. მისი თქმით, იმის გამო, რომ ქვეყანასა და მთელს მსოფლიოში ეკონომიკური პროცესები დინამიკურად ვითარდება, მთავრობა საპროგნოზო მაჩვენებლების დადგენისათვის დამატებით დროს ითხოვს. ბაქრაძემ პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო

კომიტეტის თავმჯდომარეს დაავალა, მთავრობასთან ერთად იმუშაონ ამ საკითხზე და საკითხის მოგვარების შემდეგ განისაზღვროს გრაფიკი ბიუჯეტის პროექტის განხილვისათვის. მედიკიშვილის თქმით, კი ბიუჯეტის განხილვის ზოგადი ვადები არ დაირღვევა, საუბარია მხოლოდ ბიუჯეტის პრო-

ექტის განხილვის დაწყების ვადაზე და მისი თქმით, უახლოეს 2-3 კვირაში პარლამენტს შესაძლებლობა ექნება მთავრობასთან ერთად განსაზღვროს როგორც ბიუჯეტის განხილვის დაწყების კონკრეტული თარიღი, ასევე ზოგადად განხილვის პროცესის გრაფიკი.

ჯი-ეიჩ-ენი

პრევენციული ღონისძიების ბატარეას ითხოვენ

კახეთის რეგიონში მოქმედი გარემოსდაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენლები რეგიონში სტიქიური უბედურებების თავიდან ასაცილებლად პრევენციული ზომების გატარებას ითხოვენ.

როგორც არასამთავრობო

ორგანიზაცია გარემოს დაცვის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა კარლო ამირგულაშვილმა განაცხადა, სტიქიური უბედურებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ხეტყის გაჩეხვაა, რის გამოც დაქანების ფერდობები ადრია-

ნად მოსულ ნალექს ველარ იტევს.

ბუნებისმოყვარულთა საზოგადოების წარმომადგენელი კახა სუხიტაშვილი კი ამბობს, რომ სანიაღვრე არხები, მდინარის ნაპირები, დამცავი ჯებირები და ქარსაცავი ზოლები

უყურადღებოდ არის მიტოვებული, რაც სტიქიურ უბედურებებს ხელს უწყობს. ძაუცილელია, რომ სახელმწიფომ პრევენციური ღონისძიებები სასწრაფოდ გაატაროს", - განაცხადა სუხიტაშვილმა.

ჯი-ეიჩ-ენი

"კონსტიტუციის 42-ე მუხლის" მიმართვა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს

არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასა-მართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილს და თხოვს, გამოიყენოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსი-ლება და უზრუნველყოს სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის დანიშვნა, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომა-რის ნინო ბურჯანაძის საკონსტიტუციო სარჩელზე.

საქმე ისაა, რომ მიმდინარე წლის 11 სექტემბერს პარ-ლამენტის ყოფილმა თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ სა-ქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მომართა კონსტიტუციური სარჩელით, რომლითაც ითხოვს საქარ-თველოს საგადასახადო კოდექსის 148-ე მუხლის დებუ-ლების არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონ-სტიტუციის 21-ე და 42-ე მუხლებთან მიმართებაში. მო-სარჩელემ, აგრეთვე, მოითხოვა სადავო ნორმის მოქმედე-ბის შეჩერება საქმის არსებითად გადაწყვეტამდე, რადგან მიმდინარე წლის 7 ოქტომბერს მისი ქონების გასაყიდად დანიშნულია საჯარო აუქციონი.

"ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ დღემდე საქმეზე არ არის დანიშნული მომსხნებელი მოსამართლე და ასევე, გა-ურკვეველია, თუ როდის განიხილავს სასამართლო სარჩე-ლის დასაშვებობის საკითხს. სადავო ნორმამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს გადასახადის გადამხდელ ნებისმიერ პირს, ამიტომ გთხოვთ, გამოიყენოთ თქვენთვის კანონით მონიჭებული უფლებამოსილება და უზრუნველყოთ სასა-მართლოს განმწესრიგებელი სხდომის დანიშვნა უმოკლეს ვადებში, რათა საკონსტიტუციო სასამართლო დარჩეს ქვეყანაში კონსტიტუციური კონტროლის განხორციელე-ბისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთ მნიშვნე-ლოვან საშუალებად," - ნათქვამია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" მიერ გიორგი პაპუაშვილისადმი გაგზავნილ წე-რილში.

ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გონივრულ ვა-დებში არ მოხდება განმწესრიგებელი სხდომის დანიშვნა, მაშინ მოსარჩელისათვის საკონსტიტუციო სასამართლო-სადმი მიმართვის უფლება იქცევა მხოლოდ ფორმალურ უფლებად, რადგანაც მისთვის შეუძლებელი იქნება არა-კონსტიტუციური ნორმის მოქმედების შედეგად დარღვე-ულ უფლებების აღდგენა.

ნინო ბურჯანაძის ინტერესებს საკონსტიტუციო სასა-მართლოში წარმოადგენს "კონსტიტუციის 42-ე მუხლი".

საკუთარი ინფორმაცია

დიმიტრი შაშკინის სამუშაო ვიზიტი აშშ-ში

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი დიმიტრი შაშკინი და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის უფროსი თეიმურაზ იოზიძე სამუ-შაო ვიზიტით აშშ-ში გაემგზავრნენ.

დიმიტრი შაშკინი შეხვედრებს გამართავს ამერიკის მაღალი რანგის სახელმწიფო თანამდებობის პირებთან და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.

იგი შეხვდება ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარა-ტის თავმჯდომარის სპეციალურ თანამშემს, რუსეთსა და ევრაზიის საქმეთა უფროს დირექტორ მაიკლ მაკფოლ-სა და ევროპისა და ევრაზიის საკითხებზე სახელმწიფო მდივნის თანაშემნის მოადგილეს თინა ქაიდანოუს.

ქართველი მინისტრი ასევე ლექციას წაიკითხავს ჯორჯ თაუნის უნივერსიტეტში და ეწვევა მარშალის ფონდს. ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი და არა-საპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის უფროსი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემაში გამოცდილების გაზიარების მიზნით, შეხვედრებს გამართავენ ციხეების ფედერალური დეპარტამენტის, ამერიკის პირობით ვადამდე გათავი-სუფლების კომისიის, იუსტიციის დეპარტამენტისა და სა-ხელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლების პირველ პირებთან.
მედიანიუსი

ევროსასამართლოს საქმეებზე მომუშავე ადვოკატების შეხვედრა

ქუთაისში, ადამიანის უფლებათა სახლში "კონსტიტუ-ციის 42-ე მუხლის" ორგანიზებით გაიმართა ევროსასა-მართლოს საქმეებზე მომუშავე ადვოკატების შეხვედრა თემაზე: "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლე-ბათა დაცვის ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებები".

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს პრაქტიკოსმა ად-ვოკატებმა იმერეთის რეგიონიდან. შეხვედრა მიზნად ისა-ხავდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ცალ-კეულ მუხლებზე ადვოკატებისათვის პრაქტიკული ინ-ფორმაციის მიწოდებას.

შეხვედრაზე განხილული იქნა ისეთი საკითხები, რო-გორიცაა: სამართლიანი სასამართლოს უფლება ევრო-კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით; მოთხოვნის წარდგე-ნა სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის საფუძველ-ზე, დაავადებული პატიმრები; საკუთრების უფლება და გადაადგილების თავისუფლება ევროკონვენციის მე-13 მუხლთან მიმართებაში.

შეხვედრა გაიმართა პროექტის "სტრატეგიული სა-მართალწარმოება კავკასიაში" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხ-ლი". პროექტის საერთაშორისო პარტნიორები არიან "ნი-დერლანდების ჰელსინკის კომიტეტი" და "ინტერათისი" (დიდი ბრიტანეთი). რეგიონალური პარტნიორები - "სომ-ხური ინსტიტუტი განვითარებისათვის" (სომხეთი) და "სა-მართლებრივი განათლების საზოგადოება" (აზერბაიჯა-ნი). პროექტი დაფინანსებულია ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ბრიტანეთის საელჩოს GOF RE ფონდის მიერ.
საკუთარი ინფორმაცია

სამინისტრო ხელმისაწვდომი ინფორმაციით

თამარ ქაცირაძე

იუსტიციის სამინისტრო

საზოგადოებასთან

ურთიერთობას ააქტიურებს.

სამინისტრომ ვაშინ

საკომუნიკაციო სტრატეგიის

პრეზენტაცია გამართა, სადაც

დეტალურად არის გაწერილი

ყველა ის ღონისძიება,

რომლებსაც სამინისტროს

საზოგადოებასთან

ურთიერთობის სამსახურის

თანამშრომლები სამი წლის

განმავლობაში

განახორციელებენ.

იუსტიციის მინისტრის მოად-გილე ჯაბა ებანოიძის განმარტე-ბით, პროექტის მიზანია იუსტი-ციის სამინისტროს სტრუქტურის ერთიან ჩარჩოში მოქცევა და მი-სი გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდა.

"დაგეგმილია ინტენსიური რეფორმები. მნიშვნელოვანია, რეფორმების შესახებ საზოგა-დოებისთვის ინფორმაციის მი-წოდება. ჩვენი მიზანია, სამი-ნისტროს ყველა თანამშრომე-ლი ერთიან სტარტეგიაში მო-ვაქციოთ და საზოგადოებასთან ურთიერთობა ჰქონდეთ გააზ-რებული. ეს მოგვცემს საშუა-ლებას, სამინისტრო უფრო გამჭ-ვირვალე გახდეს და საზოგა-დოებრივ საჭიროებაზე ორიენ-ტირი დანესდეს. გამჭვირვალო-ბა და ანგარიშვალდებულება დემოკრატიის საფუძველი," - განაცხადა ჯაბა ებანოიძემ.

როგორც იუსტიციის სამი-ნისტროს საზოგადოებასთან ურ-თიერთობის სამსახურის უფროს-მა ხათუნა იოსავამ პრეზენტაცი-აზე განაცხადა, უცხოელ ექსპერ-ტებთან ერთად, დოკუმენტზე ერთი თვის განმავლობაში მუშა-ობდნენ, რის შემდეგაც, შემუშავ-და პი-არ-აქტივობის სამწლიანი გეგმა.

"ჩვენი ფუნქცია უწყების

გამჭვირვალობის გაზრდაა. სა-მინისტროს საქმიანობა გამჭ-ვირვალე უნდა იყოს და ინფორ-მაცია - ხელმისაწვდომი, ამი-ტომაც, ვააქტიურებთ მედიას-თან ურთიერთობას," - განაცხა-და ხათუნა იოსავამ და აღნიშნა, რომ პროექტის ფარგლებში პირ-ველი ღონისძიება უკვე განახორ-ციელეს - შეიქმნა იუსტიციის სა-მინისტროს ახალი ვებგვერდი.

იუსტიციის სამინისტროს სამწლიანი გეგმაში, სამინისტ-როს თანამშრომელთა "სამაგიდო წიგნში", რომელიც მათი საქმია-ნობისას სახელმძღვანელო დო-კუმენტი იქნება, დეტალურად არის ჩამოყალიბებული უკვე გა-ტარებული და გასატარებელი რეფორმები.

შემუშავებული სტრატეგიის მიხედვით, იუსტიციის სამინისტ-როს საქმიანობა შეიძლება დაი-ყოს 5 სამოქმედო მიმართულე-ბად: მომსახურების განევა, წარ-მომადგენლობითი ფუნქციის განხორციელება, პოლიტიკის შე-მუშავება, კანონმდებლობის ჰარ-მონიზაცია და ადმინისტრაციუ-ლი მხარდაჭერა.

2009-2011 წლების გეგმის მი-ხედვით, უახლოეს მომავალში დაგეგმილია შემდეგი დამატები-თი სტრუქტურული ცვლილებე-ბის განხორციელება: საჯარო საქმეების რეფორმის ფარგ-ლებში, თანამდებობის პირთა ქო-ნებრივი და ფინანსური მდგომა-რეობის ბიურო შეუერთდება პრეზიდენტის დაქვემდებარება-ში შემავალ საჯარო სამსახურის ბიუროს. შეიქმნება მონაცემთა გაცვლის ინტეგრირებული ცენ-ტრი, რომლის დანიშნულებაც იქ-ნება ელექტრონული მონაცემე-ბის გაცვლის უზრუნველყოფა იუსტიციის სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო უწყებების მო-ნაცემთა ბაზებს შორის.

იუსტიციის სამინისტროს და-გეგმილი აქვს სასამართლოებში საქმეების რაოდენობისა და სირ-თულის გაზრდასთან ერთად საქ-

მეთა მართვის შესაძლებლობე-ბის გაუმჯობესება შემდეგი გზით: სისხლის სამართლის გა-მოძიების წარმართვასთან დაკავ-შირებული ინფორმაციის ხელმი-საწვდომობის გაუმჯობესება, საქმეთა აღრიცხვისა და კონტ-როლის სისტემის ამოქმედება. იუსტიციის სამინისტრო შეიმუ-შავებს ცენტრალიზებულ მონა-ცემთა ბაზას, რათა სისხლის სა-მართლის სისტემაში ჩართული ყველა სახელმწიფო უწყებისათ-ვის ხელმისაწვდომი იყოს ინ-ფორმაცია მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე. ყველა იმ საქმის სტატუსი, რომლის მხარე-საც სახელმწიფო წარმოადგენს, გაკონტროლდება საქმეთა მართ-ვისა და აღრიცხვის ელექტრონუ-ლი სისტემის მეშვეობით. იუსტი-ციის სამინისტროს ფუნქციაა ადგილობრივ, უცხოეთის ქვეყნე-ბისა თუ საერთაშორისო სასა-მართლოებში მიმდინარე დავებში სახელმწიფოს წარმომადგენლო-ბა. ამ საქმიანობის უკეთ მართვი-სათვის იუსტიციის სამინისტრო დანერგავს საქმეთა აღრიცხვისა და კონტროლის კომპიუტერულ სისტემას, რომლის დახმარები-თაც განხორციელდება მიმდინა-რე საქმეების, ვადებისა და შედე-გების მონიტორინგი.

2009-2011 წლების სამოქმე-დო გეგმის თანახმად, მოხდება საერთაშორისო სასამართლო ინ-სტანციებში მიმდინარე ან დას-რულებული საქმის მასალების ელექტრონიზაცია და შენახვა ელექტრონული ფორმით. საქმე-თა ფაილების ელექტრონული შე-ნახვა მათ მოძიებასა და გამოყე-ნებას ბევრად გაამარტივებს. შე-ნაბამისად, სამინისტროს განზ-რახული აქვს ადამიანის უფლე-ბათა საერთაშორისო სასამართ-ლოებში სახელმწიფო წარმომად-გენლობის დეპარტამენტის მიერ წარმოებული საქმეთა მასალების ელექტრონიზაცია.

იმისთვის, რომ იუსტიციის სამინისტრომ ეფექტიანად წარ-მეთა მართვის შესაძლებლობე-ბის გაუმჯობესება შემდეგი გზით: სისხლის სამართლის გა-მოძიების წარმართვასთან დაკავ-შირებული ინფორმაციის ხელმი-საწვდომობის გაუმჯობესება, საქმეთა აღრიცხვისა და კონტ-როლის სისტემის ამოქმედება. იუსტიციის სამინისტრო შეიმუ-შავებს ცენტრალიზებულ მონა-ცემთა ბაზას, რათა სისხლის სა-მართლის სისტემაში ჩართული ყველა სახელმწიფო უწყებისათ-ვის ხელმისაწვდომი იყოს ინ-ფორმაცია მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე. ყველა იმ საქმის სტატუსი, რომლის მხარე-საც სახელმწიფო წარმოადგენს, გაკონტროლდება საქმეთა მართ-ვისა და აღრიცხვის ელექტრონუ-ლი სისტემის მეშვეობით. იუსტი-ციის სამინისტროს ფუნქციაა ადგილობრივ, უცხოეთის ქვეყნე-ბისა თუ საერთაშორისო სასა-მართლოებში მიმდინარე დავებში სახელმწიფოს წარმომადგენლო-ბა. ამ საქმიანობის უკეთ მართვი-სათვის იუსტიციის სამინისტრო დანერგავს საქმეთა აღრიცხვისა და კონტროლის კომპიუტერულ სისტემას, რომლის დახმარები-თაც განხორციელდება მიმდინა-რე საქმეების, ვადებისა და შედე-გების მონიტორინგი.

2009-2011 წლების სამოქმე-დო გეგმის თანახმად, მოხდება საერთაშორისო სასამართლო ინ-სტანციებში მიმდინარე ან დას-რულებული საქმის მასალების ელექტრონიზაცია და შენახვა ელექტრონული ფორმით. საქმე-თა ფაილების ელექტრონული შე-ნახვა მათ მოძიებასა და გამოყე-ნებას ბევრად გაამარტივებს. შე-ნაბამისად, სამინისტროს განზ-რახული აქვს ადამიანის უფლე-ბათა საერთაშორისო სასამართ-ლოებში სახელმწიფო წარმომად-გენლობის დეპარტამენტის მიერ წარმოებული საქმეთა მასალების ელექტრონიზაცია.

იმისთვის, რომ იუსტიციის სამინისტრომ ეფექტიანად წარ-

გამაკცრებული პასუხისმგებლობა და ჰარიმები პრობაციონარიებისთვის

ხათუნა ჰანბირაშვილი

ცვლილება, რომელიც

"არასაპატიმრო სასჯელთა

აღსრულების წესისა და

პრობაციის შესახებ" კანონში

შედის, შესაბამის ბიუროში

პრობაციონერის არასაპატიო

მიზეზით

გამოუცხადებლობისთვის ჯარიმის

გამკაცრებას ითვალისწინებს.

თუკი არსებული კანონით, ამ

შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობა

30 ლარია, კანონპროექტით,

ჯარიმის ოდენობა 100-დან 300

ლარამდე იზრდება. ჯარიმის

ოდენობა დარღვევის

განმეორებაზე იქნება

დამოკიდებული.

აქამდე მოქმედი კანონით, თუ-კი მსჯავრდებული ნებაყოფლო-ბით გადაიხდიდა დაკისრებულ ჯა-რიმას, მას არ ეთვლებოდა არასა-პატიო მიზეზით გამოუცხადებლო-ბა დადგენილი რეჟიმის დარღვე-ვად. კანონპროექტის ავტორებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნული ნორმის არსებობა აზრს კარგავს, რადგან მსჯავრდებულს ვერასოდეს აღე-რიცხება არასაპატიო მიზეზით ჰ-ჯერ გამოუცხადებლობა და მის მი-მართ ვერ განხორციელდება კანო-ნით გათვალისწინებული უფრო მკაცრი ღონისძიებები.

"არასაპატიმრო სასჯელთა აღ-სრულების წესისა და პრობაციის

მართოს სასამართლოებსა თუ ტრიბუნალებში მიმდინარე საქ-მეები, სამოქმედო სტრატეგიული გეგმის ავტორთა აზრით, აუცი-ლებელია კადრების მაღალი პრო-ფესიონალიზმში და კვალიფიკა-ცია. იუსტიციის სამინისტროში შემუშავდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის განვითარების გეგმები, რომლებშიც გათვალის-წინებული იქნება თანამშრომლე-ბისთვის უფლებამოსილების მი-ნიჭების შესაძლებლობა მათი გა-მოცდილების შესაბამისად. გეგ-მაში გათვალისწინებულია ასევე პროკურორების კვალიფიკაციი-სა და პროფესიული შესაძლებ-ლობების ამაღლება. სისხლის სა-მართლის რეფორმის ფარგლებ-ში, პროკურორები გაივლიან ტრენინგ-პროგრამებს.

იუსტიციის სამინისტრო, უკეთესი მომსახურების განევის მიზნით, გეგმავს საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებას რამდენიმე მნიშვნელოვან პროო-რიტეტულ სფეროში. ეს მოიცავს სოციალურ დაცვას, ადამიანის უფლებებს, სისხლის სამართლის სფეროსა და კორუფციის წინააღ-მდეგ ბრძოლას. იუსტიციის სამი-ნისტროს დაგეგმილი აქვს საზო-გადოებრივი პროკურატურის მოდელის პილოტირება 7 რაიო-ნულ პროკურატურაში. სამოქმე-დო გეგმაში ასევე ჩადებულია სა-კანონმდებლო ბაზის ლიბერალი-ზაცია არასრულწლოვანი დამნა-შავეების მიმართ საპატიმრო ან აღმკვეთი ღონისძიებების შე-ფარდების შესწულების კუთხით. გეგმის ავტორთა აზრით, დადას-ტურდა, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულების მიმართ საპა-ტიმრო ან აღმკვეთი ღონისძიებე-ბის გამოყენება სანინაღმდეგო შედეგს იძლევა. იუსტიციის სამი-ნისტრო მოახდენს საკანონმდე-ლო ბაზის ლიბერალიზაციას, რა-თა არასრულწლოვანი დამნაშა-ვეების მიმართ შესაძლებელი იყოს პატიმრობის ალტერნატიუ-ლი ზომების გამოყენება.

რეზიდენტი საიანო-შუშის ავარიის პასუხისმგებლობას იზიარებს

მარიკა იაშვილი

რუსული ენერგეტიკული მონოპოლიის ყოფილი ხელმძღვანელი ანატოლი ჩუბაისი, რუსეთის ფედერაციის ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ვიარესლავ სინიუგინი და კიდევ რამდენიმე პირი საიანო-შუშენსკოეს ჰესის ავარიის უშუალო დამნაშავეები არიან. ასეთია ტექნიკური გამოძიების ჩატარების შემდეგ გამოქვეყნებული დასკვნა.

დასკვნის მიხედვით, ავარიის ერთ-ერთი მიზეზი 1985 წელს ამუშავებული აგრეგატი გახდა, რომელიც ექსპლუატაციაში ოფიციალურად 2000 წელს შევიდა, თუმცა ისე, რომ სახელმწიფო ექსპერტიზა არ გაუვლია. შესაბამის დოკუმენტს უშუალოდ ჩუბაისმა მოაწერა ხელი. შემთხვევას, რომელზეც პასუხისმგებლობა 6 ადამიანს ეკისრება, 75 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. საიანო-შუშენსკოეს ჰესის მეორე აგრეგატი მას შემდეგ დაიშალა, რაც ტურბინას წესების დარღვევით დამონტაჟებული სახურავი მოძვრა.

აგრეგატის მწყობრიდან გამოსვლის გამო სამანქანო დარბაზი წყლით გაივსო.

მომხდარში დანაშაულს თავად ჩუბაისიც აღიარებს. მისი თქმით, ის გარკვეულწილად პასუხისმგებელია საიანო-შუშენსკოეს ჰიდროელექტროსადგურზე აგვისტოში მომხდარ ავარიისზე.

"შე პასუხს ვაგებ ყველაფერზე, რაც ხდებოდა და ჩემი 75 კოლეგის გარდაცვალება პირადად ჩემთვის უმძიმესი ტრაგედიაა," - განაცხადა ჩუბაისმა მომხდარის გამო. ჩუბაისმა აღნიშნა, რომ აგრეგატების მწყობრიდან გამოსვლა, რაც ავარიის ერთ-ერთ მიზეზად იქცა, მათი რემონტისთვის აუცილებელი სახსრების უქონლობის გამო მოხდა.

"ამის შესახებ ბევრი რამ არ არის ცნობილი, მაგრამ ენერგეტიკოსები უკვე დიდი ხანია იძულებულნი არიან, მაღალი რისკის ქვეშ იმუშაონ. არსებული სახსრები მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკის ყველაზე კრიტიკული კვანძებისთვის იყო საკმარისი. საიანო-შუშენსკოეს ჰიდროელექტროსადგურ-



რის გაჩერება და ელექტროაგრეგატების გასარემონტებლად ინვესტიციის ლოდინი ნამდვილი კატასტროფა იქნებოდა ციმბირის ეკონომიკისა და იქ მცხოვრები მი-

ლიონობით ადამიანისთვის," - აცხადებს ჩუბაისი.

ავარიის შემდეგ საიანო-შუშენსკოე მთლიანად არის გაჩერებული, რაც სხვა ჰესების დატვირთვას

მნიშვნელოვნად ზრდის. საიანო-შუშენსკოეს ჰესის 10 ჰიდროაგრეგატიდან 3 სრულიად განადგურდა, ხოლო დანარჩენები კი დაზიანდა და მათ აღდგენას შესაძლოა რამდენიმე წელი დასჭირდეს.

ანატოლი ჩუბაისი რუსეთის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სისტემის ხელმძღვანელად 1998 წელს დაინიშნა. თანამდებობის დაკავების შემდეგ მან მთლიანი სისტემის რეფორმა განახორციელა, რაც მონოპოლიის ცალკეულ კომპანიებად დაყოფით დასრულდა. თავად კორპორაციამ კი არსებობა შეწყვიტა. ამჟამად ჩუბაისი სახელმწიფო კორპორაცია "როსნანოს" ხელმძღვანელობს.

ჩუბაისი 1990-იანი წლებიდან პრივატიზაციის არქიტექტორია, ჯერ კიდევ იმ დროიდან მისი პერსონის მიმართ რუსეთში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ. რუსეთის ექს-პრეზიდენტ ბორის ელცინის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი "ფრთიანი" ფრაზა სწორედ მას ეხება და ასე ჟღერს: "ყველაფერში ჩუბაისია დამნაშავე."

ბარადეი ირანში ჩავიდა

ივან პილაკაძე

ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაერო-ს წარმომადგენლებმა ოპტიმისტური განცხადებები გააკეთეს ირანთან თანამშრომლობის შესახებ ამ ქვეყანაში "მაგატეს" (ბირთვული ენერგიის საერთაშორისო სააგენტო) ხელმძღვანელის მუჰამედ ელ-ბარადეის ვიზიტის შემდეგ.

ჟენევაში ირანისა და "ექსპერტის" (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი, ჩინეთი, გერმანია) ქვეყნების შეხვედრას, რომელიც 1-2 ოქტომბერს ევროკავშირის ეგიდით გაიმართა და საკმაოდ კარგი შედეგით დასრულდა (ამის შესახებ უკვე წერდა "24 საათი"), ირანში ბარადეის ვიზიტი მოჰყვა, ის უკვე პირადად პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჯადის შეხვდა და მისგან ბირთვული ობიექტების ისპექტირებაზე თანხმობა მიიღო. ბარადეიმ მოლაპარაკებები გამართა აგრეთვე ირანის ატომური ენერგიის სააგენტოს ხელმძღვანელ ალი აკბარ სალესთან. ამ ვიზიტისას ბარადე-

ის ბირთვული ობიექტები არ დაუთვალიერებია.

ვადებმა ცოტა გადაინია, ორ კვირაზე აღარ არის ლაპარაკი და ატომური სააგენტოს სპეციალისტები ირანში 25 ოქტომბერს ჩავლენ, მაგრამ ეს მაინც დიდი წინსვლაა. ექსპერტისა და ირანის წარმომადგენლების შეხვედრა შარშანდელი ზაფხულის შემდეგ აღარ გამართულა, ბირთვული ობიექტების ინსპექტირებაზე ხომ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი. საერთაშორისო საზოგადოებას, ძირითადად, ახალი ობიექტი, ქალაქ კუმთან ახლოს ურანის გამამდიდრებელი მშენებარე ქარხანა აინტერესებს. "მაგატე" უნდა დარწმუნდეს, რომ ირანის ბირთვული ობიექტები სამშვიდობო საჭიროებებს არ გაცდენილან.

აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჯიმ ჯონსმა კმაყოფილებით განაცხადა, რომ "ახლა ჩვენ საქმე გვაქვს ირანთან, რომელიც მზად არის მოლაპარაკებების მაგიდასთან დასაჯდომად". ბარადეიმ დაადასტურა, რომ 19 ოქტომბერს ვენაში გაიმართება შეხვედრა, სავარაუდოდ ირანის, რუსეთის, საფ-



რანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელზეც უნდა შეთანხმდეს ირანეთის სხვა ქვეყნებში ურანის გამადიდრებისა და მისი მიწოდების კონკრეტული საკითხები.

ირანში ბარადეის ვიზიტი გაზეთ "ნიუ-იორკ ტაიმსში" სკანდალური სტატიის გამოქვეყნებას დაემთხვა. პუბლიკაციის ავტორები ვარაუდობდნენ, რომ ირანს შეიძლება ატომური ბომბის დამზადებისთვის საჭირო ტექნოლოგიები უკვე აქვს და ამ საქმისთვის ბევრად უკეთ არის მზად, ვიდრე ეს ამერიკას და სხვა წამყვან სახელმწიფოებს წარმოუდგენიათ. ინფორმაციის წყაროდ "მაგატეს" მიერ მომზადებული საიდუმლო დოკუმენტი სახელდებოდა, რომლის ფრაგმენტები "სამეცნიერო და საერთაშორისო ინფორმაციის ინსტიტუტის" (ISIS) საიტზეც გამოქვეყნდა. თუმცა იქვე მითითებული იყო, რომ დასკვნები დაახლოებითი და დაუდასტურებელია. მუჰამედ ელ-ბარადეიმ ეჭვი შეიტანა იმ მონაცემების უტყუარობაში, რომელსაც ზემოთ დასახელებული ინსტიტუტის მოხსენება ემყარება.

პროკურორის მკვლელობის ვერსიები

უკრაინელ გამომძიებლებს, რომლებიც რამდენიმე დღის წინ მომხდარი მკვლელობის საქმეს იძიებენ, დამატებითი მუშაობა მოუწევთ. საუბარია ტარაშანსკის რაიონული პროკურორის სერგეი მრუკის მკვლელობაზე. ის მძიმედ დაჭრილი საკუთარ კაბინეტში ნახეს. საქმე ისაა, რომ დაჭრილმა პროკურორმა თავადვე მოახერხა სასწრაფო დახმარების ბრიგადის გამოძახება, თუმცა, ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. პროკურორი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ მოკლული პროკურორის სახლი გაძარცვეს, მისი მეუღლე კი დაკარგულია.

როგორც გაირკვა, რაიონული პროკურორი სანადირო თოფიდან გასროლით მიყენებული რამდენიმე ჭრილობით გარდაიცვალა. გავრცელებული ინფორმაციით, მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე, პროკურორმა სერგეი მრუკმა მუქარის წერილი მიიღო. ანონიმური წერილის ავტორი მოითხოვდა, მას სამსახური მიეტოვებინა და პენსიაში გასულიყო.

როგორც უკრაინული პრესა წერს, სერგეი მრუკი კარგი რეპუტაციით არ სარგებლობდა, რადგან მის სახელს უკავშირდებოდა ბევრი სკანდალური საქმე, რომლებიც პრივატიზებასთან იყო დაკავშირებული. "არასამართლიანი პროკურორი," - ასე მოიხსენიებდნენ გარდაცვლილს. აღსანიშნავია, რომ მოკლულ პროკურორს კავშირი ჰქონდა გიორგი ლონლადის მკვლელობის საქმის გამოძიებასთანაც.

როგორც "უკრაინსკაია პრავდა" წერს, ერთ-ერთი ვერსიით, პროკურორის მკვლელობა გიორგი ლონლადის გახმაურებული მკვლელობის საქმეს უკავშირდება. თუმცა, ამ ვერსიას კატეგორიულად უარყოფენ და გამოირიცხავენ ლონლადის ოჯახის წევრები.

"ამ ორ მკვლელობას შორის კავშირს ვერ ვხედავ. თუმცა, დარწმუნებით არაფერი შემიძლია ვთქვა," - ასეთი კომენტარი გააკეთა გავრცელებულ ვერსიასთან დაკავშირებით, გიორგი ლონლადის მეუღლის ინტერესების დამცველმა ვალენტინა ტელიჩენკომ.

ერთ-ერთი ვერსიით კი, პროკურორის მკვლელობა გიორგი ლონლადის მკვლელობის საქმეში მთავარ



რი ბრალდებულის ალექსეი პუკაჩის დაკავებასა და მის აღიარებით ჩვენებას უკავშირდება.

საქმე ისაა, რომ ალექსეი პუკაჩმა, რომელიც რამდენიმეწლიანი ძებნის შემდეგ დააკავეს, ჟურნალისტის მკვლელობის დამკვეთების

ვინაობა დაასახელა. მან ისიც აღიარა, რომ ჟურნალისტის მკვლელობაში მონაწილეობა თავად მიიღო. გამოძიებას მან ის ადგილიც აჩვენა, სადაც მისივე თქმით, ჟურნალისტის მოჭრილი თავი თავად ჩამარხა. გამოძიება ჯერ კიდევ მკაცრად

ასაიდუმლოებს უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო საქმიანობის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის, გენერალ-ლეიტენანტ ალექსეი პუკაჩის ჩვენების შინაარსს. ვინ დაასახელა გიორგი ლონლადის მკვლელობის დამკვეთებად ალექსეი პუკაჩმა, ეს გამოძიების საიდუმლოდ რჩება.

პროკურორის მკვლელობის საქმეზე გავრცელებულ ვერსიებთან დაკავშირებით, გამოძიება ჯერჯერობით არანაირ ოფიციალურ ინფორმაციას არ ავრცელებს.

როგორც გაირკვა, პროკურორის საცხოვრებელი სახლის გაქურდვის ფაქტი სამართალდამცველებს მოკლულის მეზობელმა შეატყობინა. საქმე ისაა, რომ სწორედ მას დაუტოვა გარდაცვლილის ქვრივმა რამდენიმე დღით ადრე სახლის გასაღები, თვითონ კი გაუჩინარდა.

უკრაინული პრესის ინფორმაციით, ცნობილი გახდა, რომ დაკავებულია პროკურორის მკვლელობაში სამი ეჭვმიტანილი. ამავე ინფორმაციის თანახმად, დაკავებულთაგან ერთი გარდაცვლილის თანაშემწეა, მეორე მოკლულის ახლო ნათესავი, მესამე კი მისი მძღოლი.

რუსეთის ფული შემოაკლდა

რუსეთის ფინანსთა მინისტრმა ალექსეი კუდრინმა განაცხადა, რომ რუსეთი აღარ მისცემს უკრაინას მის მიერ წლის დასაწყისში ნათხოვნ 5 მილიარდი დოლარის ოდენობის კრედიტს და აღარ გადაურიცხავს ბელარუსს ორმილიარდიანი კრედიტის ბოლო 500-მილიონი-ან ტრანშს. ეს გადაწყვეტილება როგორც ფინანსური, ასევე ნაწილობრივ პოლიტიკური მოტივებით არის ნაკარნახევი. რუსეთის ფინანსთა მინისტრმა ბელარუსის და უკრაინის გადახდისუნარიანობაში ეჭვი შეიტანა. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ რუსეთი ბელარუსს ამ ფულს რუბლებში სთვავოზბდა, რაზეც ლუკაშენკო არ დათანხმდა. მთავარ საფინანსო უწყებაში განაცხადეს, რომ უარი მხოლოდ ორმხრივ მოლაპარაკებებს ეხება და რუსეთი მზარს დაუჭერს თავისი მეზობლებისთვის კრედიტების გამოყოფას უცხოური საფინანსო ინსტიტუტების, მაგალითად საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ. ისე, უკრაინას ეს კრედიტი უკვე აღარ სჭირდება. მათ რუსეთს ეს ფული გაზსაცავებში ჩასატუმბი ბუნებრივი აირის საყიდლად წლის დასაწყისში სთხოვეს. სექტემბერში პრემიერმა ტიმოშენკომ განაცხადა, რომ მისმა ქვეყანამ, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტს იღებს, ზამთრის კრიზისული პერიოდებისთვის და ევროპაში უსაფრთხო ტრანზიტისათვის საჭირო გაზის მარაგი უკვე მოიმარაგა.

რუსეთს ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად ამჯერად თვითონ მოუხდა კრედიტების აღება. 2010 წლიდან მას 18 მილიარდი დოლარის მოზიდვა სჭირდება, აქედან 2-4 მილიარდი შეიძლება მსოფლიო ბანკს, ევროსს, რომლის მომსახურებითაც რუსეთს 2000 წლიდან აღარ უსარგებლია. რუსი ჩინოვნიკების თქმით, შეთანხმება შედგება, თუ მსოფლიო ბანკი რუსეთს ეკონომიკური პროგრამის შესახებ დამატებით პირობებს არ წაუყენებს და ეს წმინდა ფინანსური კრედიტი იქნება. სწორედ ამ პირობების გამო არ იღებს რუსეთი კრედიტს მსოფლიო სავალუტო ფონდისგან, სადაც მას 8 მილიარდზე მეტის მოთხოვნის უფლება აქვს.

თავის მხრივ რუსეთი განიხილავს სერბეთისთვის ერთი მილიარდი ევროს სესხების, აგრეთვე ბულგარეთისთვის 3,8 მილიარდი ევროს გამოყოფის საკითხს ატომური ელექტროსადგურის ასაშენებლად.

პაკისტანში გაერო-ს შენობაში აფეთქება მოხდა

გუშინ პაკისტანის დედაქალაქ ისლამაბადში გაერო-ს მსოფლიო სასურსათო პროგრამის შენობაში თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აიფეთქა. ტერორისტის გარდა, ორგანიზაციის სამი თანამშრომელი დაიღუპა და ექვსი დაიჭრა, აქედან ორი მძიმედ. სხვა მონაცემებით, დაღუპულია 5 ადამიანი. დაღუპულთაგან ერთია უცხოელი, კერძოდ ერაყის მოქალაქე, დანარჩენები მსოფლიო სასურსათო პროგრამის პაკისტანელი თანამშრომლები არიან. აფეთქება ვესტიბიულში მოხდა. ამ დროს შენობაში, რომელიც მთლიანად კვამლმა მოიცვა, დაახლოებით, 80 ადამიანი იმყოფებოდა. ტერორისტი 22-26 წლის ახალგაზრდა კაცი იყო.

ისლამაბადის ცენტრში, თან კარგად დაცულ ზონაში და პრეზიდენტის სასახლიდან, სულ რაღაც, რამდენიმე ასეულ მეტრში ასეთი მძლავრი აფეთქების განხორციელება იმაზე მეტყველებს, რომ ამ ბოლო დროს თალიბანის შევიწროვება პირობითა და ისინი უკანდახევას არ აპირებენ. თუმცა ტერაქტზე პასუხისმგებლობა ჯერ არც ერთ დაჯგუფებას არ აუღია.

გაერო-მ დროებით დახურა თავისი ყველა წარმომადგენლობა პაკისტანში. მსოფლიო სასურსათო პროგრამის ოფისები, დედაქალაქის გარდა, განთავსებულია ყარაჩიში, მუზაფერაბადში, ფეშევარში და კვეტაში.

ყირგიზეთმა ავიაბაზა "მანასში" ფრანგები და ესპანელები დაუშვა

ყირგიზეთის პარლამენტის საერთაშორისო საქმეების კომიტეტმა, უკვე ბაზაზე მყოფი ამერიკელების გარდა, საფრანგეთის და ესპანეთის სამხედროებსაც დართო ნება, ისარგებლონ "მანასის" ავიაბაზით, რომელსაც ამჟამად "სატრანზიტო გადაზიდვების ცენტრი" ეწოდება. ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის გაიტანენ საკითხს პლენარულ სხდომაზე. არ არის გამოცხადებული, რომ ყირგიზეთს ასეთი თხოვნით ნატო-ს სხვა ქვეყნებმაც მიმართონ, რომლებიც ამ აეროპორტით ადრეც სარგებლობდნენ. ყირგიზეთმა ძველი ხელშეკრულებები ცალმხრივი წესით გაზაფხულის დასაწყისში გააუქმა, თუმცა ივლისში, "ავღანეთის პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაის თხოვნით", თავისი გადაწყვეტილება გადასინჯა. დაუზუსტებელი მონაცემებით, ბაზით სარგებლობის გადასახადიც გაიზარდა.

ინდონეზიაში ნანგრევებში მოყოლილებს აღარ ეძებენ

ინდონეზიის კუნძულ სუმატრაზე, ქალაქ პადანგში და მის შემოგარენში უცხოეთიდან ჩასული სამაშველო ბრიგადები მუშაობას წვედებენ. ეს გადაწყვეტილება გაერო-მ და ინდონეზიის ხელისუფლებამ შეთანხმებულად მიიღეს, რადგან მინისძვრიდან 5 დღის შემდეგ ნანგრევებში ცოცხალი ადამიანების პოვნის იმედი თითქმის აღარ დარჩა. დღეს არსებული მონაცემებით, დაღუპულია - 1300 მეტი ადამიანი, უკვალოდ დაკარგულად მიიჩნევა, დაახლოებით - 3000 და სხვადასხვა სიმძიმის ჭრილობებით საავადმყოფოებში იმყოფება 2400.

მოამზადა ივა შილაქაძე

საბერძნეთის არჩევნებში სოციალისტებმა გაიმარჯვეს

საბერძნეთის ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა ოპოზიციურმა "სრულიად ბერძულმა სოციალისტურმა მოძრაობამ". სოციალისტების ლიდერ გეორგიოს პაპანდრეუს ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა კოსტას კარამანლისმა გამარჯვება მიულოცა. მან თავისი კონსერვატიული პარტიის "ახალი დემოკრატიის" დამარცხება აღიარა და პარტიის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადადგა.

ბიულეტენების უმრავლესობის დათვლის შედეგად "სოციალისტებმა" ხმების 43 პროცენტზე მეტი მიიღეს, ხოლო "ახალმა დემოკრატია" - 35 პროცენტი. 43 პროცენტი ამომრჩევლის მხარდაჭერის კრიტიკული ზღვარია, რაც საკმარისია პარლამენტში ხმების ნახევარზე მეტის მისაღებად. საბერძნეთის კონსტიტუციის მიხედვით, 40 მანდატი ავტომატურად ეძლევა გამარჯვებულ პარტიას, დანარჩენი 260 პროპორციული სქემით ნაწილდება.

ათენში მოზეიმე ამომრჩევლების წინაშე გამოსვლისას გეორგიოს პაპანდრეუმ განაცხადა, რომ მისი პარტია იბრძოდა "ბერძენი ხალხისთვის იმედის და ღირსი დასაბრუნებლად, ქვეყნის დასაყენებლად სამართლიანობის, კანონის, პროგრესის და გარემოს დაცვის გზაზე". "მე ვიცი, რომ ჩვენს ქვეყანას უდიდესი პოტენციალი გააჩნია. პოტენციალი, რომელიც ჩაძირულია კორუფციაში, ნეპოტიზმსა და უკანონოებაში. პოტენციალი, რომელსაც ჩვენ გავათავისუფლებთ

და საკუთარი თავის გამოვლენის საშუალებას მივცემთ," - დაპირდა ხალხს პაპანდრეუ.

"სრულიად ბერძული სოციალისტური მოძრაობა" ხუთ წელზე მეტია, ოპოზიციამი იმყოფება. ევანგელოს ვენიზელოსმა, პარტიის ერთ-ერთმა უმაღლესმა ფუნქციონერმა და ყოფილმა მინისტრმა, შედეგებს "ისტორიული გამარჯვება" უწოდა, რომელიც გამარჯვებული პარტიისთვის "დიდი პასუხიმგებლობაა."

პრემიერ-მინისტრმა კარა-

მანლისმა საპარლამენტო არჩევნები სექტემბერში გამოაცხადა, ვადამდე 2 წლით ადრე. კარამანლისმა განაცხადა, რომ მას ეკონომიკური რეფორმის გასაგრძელებლად ამომრჩევლის მხარდაჭერა სჭირდება, მისი მონიწილმდეგეები კი პრემიერს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის და ქვეყნის მოდერნიზაციის დანაპირების შეუსრულებლობაში ადანაშაულებენ. კორუფციაში თვით მთავრობასაც სდებდნენ ბრალს.

"სოციალისტები" ხალხს

დაპირდნენ, რომ საბერძნეთის ეკონომიკის მართვისას ეკოლოგიურ მოთხოვნებს უფრო მეტად გაითვალისწინებენ და ქვეყანაში არსებული პრობლემების გადასაჭრელად უცხოელ სპეციალისტებს მოიწვევენ.

ბერძენმა ამომრჩეველმა კარამანლისის მკაცრი ეკონომიკის პროგრამასთან შედარებით უპირატესობა პაპანდრეუს მიერ დაპირებულ სამილიარდევიოან სახელმწიფო დახმარების პაკეტს მინიჭა.

მოამზადა თამთა კახაძე

წყალდიდობის შედეგად ინდონეზიაში 230 ადამიანი დაიღუპა

ინდოეთში გუშინ წყალდიდობის შედეგად 250 ადამიანი დაიღუპა. დიდი წვიმებით გამოწვეული წყალდიდობა შეეხო კარნატაკას, ანდხრა-პრადეშის და მახარაშტრას შტატებს. ბოლო მონაცემებით, სტიქიური უბედურების შედეგად კარნატაკაში - 170, ანდხრა-პრადეშში - 37 და მახარაშტრაში - 26 მცხოვრები დაიღუპა.

ხელისუფლების განცხადებით, ეს ბოლო ასი წლის მანძილზე ყველაზე ძლიერი წყალდიდობაა.

"ფრანს-პრესის" მონაცემებით, წყალდიდობის შედეგად 1,5 მილიონი ადამიანი დარჩა უსახლკაროდ. ყველაზე მეტად კარნატაკას შტატი დაზარალდა. აქ წყალდიდობამ 20 000 სახლი დაანგრია, რის შედეგადაც მილიონმა ადამიანმა დაკარგა თავშესაფარი. 350 000 დაზარალებული უკვე დროებით ბანაკებშია დაბინავებული, ამჟამად ხელისუფლება დანარჩენ დაზარალებულთა თავშესაფრისთვის მოსაწყობად იღებს ზომებს.

ანდრე-პრადეშში 475 ათასი ადამიანი დარჩა უსახლკაროდ. მახარაშტრადამი წყალდიდობის გამო სანაპირო დასახლებული პუნქტებიდან რამდენიმე ათასი ადამიანი იქნა ევაკუირებული. ამჟამად შტატში სიტუაცია, ფაქტობრივად, დარღვეულირებულია. "ბი-ბი-სი" უსახლკაროდ დარჩენილთა გაცილებით დიდ რაოდენობას ასახელებს. მათი მონაცემების მიხედვით, მარტო კარნატაკაში უსახლკაროდ 10 მილიონი ადამიანია დარჩენილი.

წყალდიდობის გამოწვევი

წვიმების სეზონი ინდოეთში წელს შედარებით გვიან დაიწყო. წვიმას წინ ერთვოდა ბოლო 40 წლის მანძილზე ყველაზე ძლიერი გვალვა. სიტუაცია იმ ფაქტმაც დაამძიმა, რომ ხელისუფლება იძულებული იყო, ჯებირები გაეხსნა, რათა მათი დანგრევა აეცილებინა თავიდან.

წყალდიდობამ მილიონობით აკრი ნათესი მიწები დააჭაობა, მათ შორის - შაქრის პლანტაციები. დიდი ზარალი მოუტანა კანატარკას შაქრის მოსავალს, რომელიც ქვეყნის მესამე უმსხვილესი მწარმოებელია.

მენარმეების შეფასებით, წყალდიდობა კარნატაკაში და ან-

დრა-პრადეშში ხორბლის მოსავლის, სულ ცოტა, მილიონ ტონას დააზიანებს, რაც ინდოეთის მთლიანი ხორბლის პროდუქციის 35 პროცენტს შეადგენს.

თანამდებობის პირთა განცხადებით, მდინარე კრიშნას დასუსტებული ჯებირის გასამაგრებლად მძიმე ქვიშით სავსე 300 000-ზე მეტი ტომარა გამოიყენეს. კრიშნა ჩამოედინება ანდრა-პრადეშის შტატის ქალაქ ვიჯაიავადასთან, რომელიც მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრია მილიონიანი მოსახლეობით. მაშველებმა მდინარის ახლოს მცხოვრები 200 000 ადამიანი სახიფათო ზონიდან

გამოიყვანეს.

კარნატაკაში კატასტროფების მართვის უწყების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ შტატის 2 მილიონი ადამიანი უსახლკაროდ არის დარჩენილი. თანამდებობის პირების განცხადებით, სამეურნეო მიწების დიდი ნაწილი, მათ შორის შაქრის ლერწმის და ბრინჯის მიწდვრები წყლით არის დაფარული. წყალდიდობის ზონა მმართველი პარტია "ინდოეთის ეროვნული კონგრესის" ლიდერმა სონია განდიმ და შინაგან საქმეთა მინისტრმა პალანიაპან ჩიდამბარამმა დაათვალიერეს.

მოამზადა თამთა კახაძე

CMYK - 8

რევოლუ



AFP © 2009

კალიფორნიაში უჩვეულო გამოფენა გაიხსნა. კომპანია Patina V-მ, რომელიც მსოფლიოში მანეკენი თოჭინების წარმოებითაა ცნობილი, თავისი საუკეთესო ნიმუშები წარმოადგინა. კომპანია მანეკენებს 1987 წლიდან აწარმოებს და მისი მომსახურებით მსოფლიოს საუკეთესო ბუტიკები თუ საგამოფენო დარბაზები სარგებლობს. Patina V-ს მანეკენებს ხშირად ადარებენ ხელოვნების ნიმუშებს, რადგან ჩვეულებრივი გარეგნობის გარდა კომპანიის დიზაინერები მათ სტილიზებულ გარეგნობასაც აძლევენ.

დაბვიანებული პრემიერა

რუსთაველის თეატრი 131-ე სეზონს ხსნის

თამარ ჯიქნაველიძე

რუსთაველის თეატრი 131-ე სეზონს 7 ოქტომბერს გახსნის. ამ დღეს შედგება პრემიერა სპექტაკლისა "ზიდერმანი და ცეცხლისნამკიდებლები", რომლისთვისაც შემოქმედებითი ჯგუფი დიდი ხანია ემზადება. აღსანიშნავია, რომ ეს წარმოდგენა ჩართულია თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში, რომელიც 26 სექტემბერს გაიხსნა და 18 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

მოსალოდნელი პრემიერის შესახებ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა - რობერტ სტურუამ და კომპოზიტორმა გია ყანჩელმა ისაუბრეს, 131-ე სეზონის სიახლეები კი მმართველმა - ზაალ ჩიქობავამ გაგვაცნო. ამ უკანასკნელისგან შევიტყვეთ, რომ 7 ოქტომბრიდან სპექტაკ-




ანა ჯაფარიძე, ფოტოგრაფი

ლები 19 საათსა და 45 წუთზე დაიწყება (აი, ეს არის მთავარი და მაყურებლისთვის გასათვალისწინებელი სიახლე), სალაროში კი გაიყიდება ბილეთები, რომლის დიზაინი განსხვავებულია და ზაალ ჩიქობავას თქმით, ისეთი ხარისხისაა, როგორსაც ეს თეატრი იმსახურებს.

ახალი დროისა და ბილეთების გარდა, ამოქმედდება "ონლაინ გაყიდვები", რაც მაყურებელს ბილეთის შეძენის პროცესს გაუადვილებს. ამისათვის მან უნდა ისარგებლოს საიტით biletebi.ge. გარდა ამისა, რუსთაველის თეატრის სალაროში გაიხსნება წიგნის მაღაზია, სადაც თეატრალურ გამოცემებთან ერთად, მხატვრული ლიტერატურაც გაიყიდება. რაც შეეხება აბონიმენტებით სარგებლობას, 131-ე სეზონიდან სტუდენტებს საშუალება ეძლევათ სტუდენტური აბონიმენტი 15 ლარად შეიძინონ და დიდ სცენაზე,

ბაბრქაძეაბა A10 გვარდუა

ფრანგულ-ქართული დიალოგი, ანუ ძმები ზდანევიჩების გამოფენა



8 ოქტომბრიდან 8 ნოემბრამდე, შალვა ამირანაშვილის სახელობის თბილისის ხელოვნების მუზეუმში ილია და კირილე ზდანევიჩების უნიკალური გამოფენა გაიმართება. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება 20-ე საუკუნის საფრანგეთის და საქართველოს კულტურის ორი უდიდესი ფიგურის, ამ ორი ხელოვანის ნამუშევრები. ნაწილი ამ ნამუშევრებიდან საქართველოში არასოდეს ყოფილა წარმოდგენილი.

გამოფენის იდეა ეკუთვნის კირილე ზდანევიჩის ერთ-ერთ შთამომავალს, თავადაც მხატვარს, ყარამან ქუთათელაძეს. ამ გამოფენის განხორციელება კი შესაძლებელი გახდა ქართულ და ფრანგულ ორგანიზაციებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის წყალობით.

აღნიშნული გამოფენა საშუალებას მოგვცემს დავაკვირდეთ საფრანგეთსა და საქართველოს შორის არსებულ შემოქმედებით კავშირებს იმ ქართველების გახსნებით, რომლებმაც პირველებმა აღმოაჩინეს ნიკო ფიროსმანაშვილის ხელოვნება.

ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ძმები ზდანევიჩების ორმოცამდე ნამუშევარი, ფრანგული არქივებიდან და საქართველოს ეროვნული მუზეუმის საცავებიდან. დამთვლიერებელს ექნება საშუალება იხილოს ერთდროულად ქალაქში შესრულებული ნამუშევრები, ჩარჩოში ჩასმული ნივთის გვერდები, ილუსტრაციები, ფოტოგრაფიები... ეს გამოფენა ამგვარად აჩვენებს ამ ორი ქართველი ხელოვანის, ძმები ზდანევიჩების განსაცვიფრებელ მხარეებს და დამთვლიერებლს სთავაზობს გაიცნოს მეოცე საუკუნის თბილისის ავანგარდული სული.

შალვა ამირანაშვილის 110 წლის იუბილე

დღეს, 17 საათზე, საქართველოს ეროვნული მუზეუმი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო გამოფენაზე გვიწვევს.

განუზომელია შალვა ამირანაშვილის ღვაწლი ქართული ხელოვნებათმცოდნეობისა და საქართველოში სამუზეუმო საქმის განვითარებაში. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ამირანაშვილი 1928 წლიდან მოღვაწეობდა, ხოლო 1939-1975 წლებში იგი ქართული კულტურის საგანძურს ედგა სათავეში.

მეცნიერმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართული ძეგლების რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებაში. 1945 წელს კი ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად საფრანგეთიდან ჩამოიტანა ეროვნული საგანძური.

სხვადასხვა წლებში შალვა ამირანაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრას ხელმძღვანელობდა. იგი არის არა ერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. განსაკუთრებით აღსანიშნავია: "უბისის მოხატულობა", "ქართული კედლის მხატვრობის ისტორია". მნიშვნელოვანია მონოგრაფიული ნარკვევი: "ზექა ოპიზარი". მრავალი წლის მანძილზე იგი შეისწავლიდა ქართულ მინიატურას და იბეჭდებდა შრომები: "ქართული მინიატურა", "ვეფხისტყაოსნის დასურათების მინიატურა". ფრანგულ, იტალიურ და ინგლისურ ენებზე დაიბეჭდა ნაშრომი "ქართული მინანქარი". განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მისი მონოგრაფია: "ირანული დაზგური ფერწერა". მნიშვნელოვანია მისი ფუნდამენტური ნაშრომი: "ქართული ხელოვნების ისტორია" და სხვა.

1990 წელს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს შალვა ამირანაშვილის სახელი მიენიჭა.

ეროვნულ მუზეუმში წარმოდგენილი გამოფენის მიზანია ღვაწლმოსილი მეცნიერის შემოქმედებით და საზოგადოებრივი მოღვაწეობის წარმოჩენა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია შალვა ამირანაშვილის მიერ მოძიებული და სამშობლოში დაბრუნებული 100-მდე ექსპონატი.

დამთვლიერებელს საშუალება ეძლევა იხილოს საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანძურში დაცული XIX საუკუნის სამეფო ვერცხლის ჭურჭელი, საეკლესიო სარიტუალო დანიშნულების ნივთები და სამღვდელმთავრო ნაქარგი სამოსი, უფლისციხის არქეოლოგიური მასალა, შუა საუკუნეების სვანეთის ფრესკის ასლები და გვიანი შუა საუკუნეების ხატები, რელიეფური ქანდაკების ფრაგმენტები.

ექსპოზიციაზე ასევე წარმოდგენილია ახალი და თანამედროვე დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და რუსული ხელოვნების მხატვართა ფერწერის ნამუშევრები. საქართველოს ეროვნული არქივისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციებში დაცული საარქივო დოკუმენტები, პირადი წერილები და ნივთები, სამეცნიერო ნაშრომები, აუდიო ვიდეო და ფოტო მასალა.

დაბვიანაშვილი პრემიერა

ა9 გვირგვინი

მთელი სეზონის განმავლობაში, მათთვის სასურველ ხუთ სპექტაკლს დაესწრონ. სამთვიანი აბონიშენტის შეძენისას კი მაყურებელი დიდ სცენაზე ხუთ არასაპრემიერო სპექტაკლს ნახავს.

რობერტ სტურუას მიერ მაქს ფრიშის ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლის გარდა, არაერთ პრემიერას გვპირდება, მათ შორისაა: "გონზაგოს მკვლელობა" (რეჟისორ გაგა გოშაძე, მთავარ როლებში: ზაალ ჩიქობავა, მარინა კახიანი, ჯემალ ლალანძი, მურმან ჯინორია, ლევან ხურციკა), "გაილიმე, ჩიტი გამოფრინდება" (რეჟისორი გიო მეგლაძე), "ცუდი ბიჭი" (რეჟისორები - რობერტ სტურუა და დავით მღებრიშვილი, მონაწილეობენ: სანდრო ლალანძი, დარეჯან ხარშილაძე და მამუკა ლორია). მცირე სცენაზე განხორციელდება ამერიკელი რეჟისორისა და დრამატურგის, ჯონათან ლევის პიესა "ვარდნილი სხეულები", რომელშიც თათული დოლიძე და ლელა ალიბეგაშვილი მონაწილეობენ. ეს სპექტაკლი ცოცხალი მუსიკის თანხლებით წარიმართება, აკომპანიმენტს ოპერის თეატრიდან მოწვეული მუსიკოსები გააკეთებენ.

ახალ ინიციატივას რაც შეეხება, ქართული ექსპერიმენტული თეატრის განვითარებისა და ახალგაზრდა ხელოვნების მხარდაჭერის მიზნით, რუსთაველის თეატრი და ფონდი "ლია საზოგადოება - საქართველო" განახორციელებს ერთობლივ პროექტს, სახელწოდებით "ახალი ტალღა", რომელიც ახალგაზრდა ხელოვნებს საშუალებას მისცემს საკუთარი შესაძლებლობები ამავე თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე გამოსცადონ. პროექტში მონაწილეობას მიიღებენ რობერტ სტურუას სამაგისტრო ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც კონკურსის შედეგად შერჩეულ ათ პიესას ექსპერიმენტულ სცენაზე დადგამენ. აღნიშნვენ, რომ პიესების შერჩევისას უპირატესობას მიანიჭებენ დღევანდელი საზოგადოებისთვის აქტუალურ თემებზე აგებულ ორიგინალურ პიესებს, რომლებიც არ დადგმოლა.

რუსთაველისა და ლონდონის ნაციონალურ თეატრებს შორის 2008 წლის 20 ნოემბერს დადებული მემორანდუმის თანახმად, ვორკუოფების ციკლი 131-ე სეზონშიც გაგრძელდება. ამჯერად ის დრამატურგებს დაინტერესებთ, რადგანაც მოწვეულია ბრიტანელი დრამატურგი და მწერალი ჯეკ ბრედლი, რომელიც 12, 13 და 14 ოქტომბერს განსახილველად შემოგვთავაზებს თემას - "ანმყო... წარსული... მომავალი...". აქვე გაიმართება "იტალიური კულტურის დღეები", რომელიც, იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტის პატრონაჟითა და შვეიცარიის საელჩოს მხარდაჭერით ტარდება. იტალიური ენის მეცხრე კვირული საქართველოში, სახელწოდებით "იტალიური ენა ხელოვნებაში, მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში", 19-დან 25 ოქტომბრამდე გაიმართება და იტალიური პიესების კითხვას მოიცავს, დახურვის დღეს კი უჩვენებენ დენის რაბალიას ფილმს "მარჩელო, მარჩელო".



სცენა სპექტაკლიდან "ზიდერმანი და ცეცხლისნამკიდებლები". ზაზა პაპუაშვილი და ია სუხიტაშვილი.

მოსალოდნელ პრემიერას რომ მიეუბრუნდეთ, ამაზე რობერტ სტურუამ აღნიშნა: "ბოლო ერთი კვირაა, შეიძლება ითქვას, რომ დღე და ღამეც ვათენებთ... გუშინ, მაგალითად, ღამის სამ საათზე დავიშალეთ და ცოტა არ იყოს დაღლილები ვართ, მაგრამ სპექტაკლის I მოქმედების პირველ 15 წუთს, დაპირებისამებრ, აუცილებლად გაჩვენებთ". ასეც მოხდა, მაგრამ პრემიერიდან სულ მცირე მონაკვეთის ნახვამდე, რეჟისორმა გვითხრა, რომ წარმოდგენიდან ძალიან ბევრი კარგი სცენა ამოიღო, რადგანაც მათი დამუშავება გახდა საჭირო... "ასეთი წვლებით სპექტაკლი დიდი ხანია არ დამიდგამს... ამას, ვფიქრობ, არსებულმა სიტუაციამაც შეუშალა ხელი, ასევე, ზაფხულმა, როდესაც ვისვენებდით... რაც შეეხება შეკითხვას, რამდენად ჩავერიე ნაწარმოებში, გიპასუხებთ, რომ რამდენადმე ჩავერიე და თუ რამდენიმე დღის წინათ მარჯანიშვილის თეატრში წარმოდგენილი სპექტაკლი "ქარიშხალი" ნახეთ, ალბათ დამერწმუნებით, რომ XXI საუკუნე რეჟისორების დიქტატით გამოირჩევა... ამასთან, არ დაგავინწყდეთ, რომ წინათ სპექტაკლებს დრამატურგები დადგამდნენ, ახლა კი სიტუაცია რეჟისორების სასარგებლოდ შეიცვალა... და მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვი, რომ მაქს ფრიშის პიესაში დიდად ჩავერიე, რადგანაც შევინარჩუნე სტილი... საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ავტორი სხვაგვარად მიუდგა საკითხს, რომელიც პიესაშია დასმული. ის მიიჩნევს, რომ ფაშიზმის მხარდაჭერაში უბრალო, პატარა ადამიანს განსაკუთრებული წვლილი არ მიუძღვის... მე არ დავდგი ჯოჯოხეთის სცენა, სადაც აღწერილია, რომ ჯოჯოხეთი იხურება, რადგანაც იქ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც პატარა, უმნიშვნელო ცოდვებით აქვთ, სამოთხეში კი ამ დროს ყველა ტირანია თავმოყრილი და ამიტომაც უშვებენ ბიდერმანს ჯოჯოხეთიდან..." - გვითხრა რობერტ სტურუამ.

სპექტაკლის დასაწყისის ნახვის შემდეგ დავრწმუნდით, რომ აღნიშნულ დადგმაში მუსიკის როლი განსაკუთრებულია. გია ყანჩელის მუსიკა და გოგი ალექსი-მესხიშვილის სცენოგრაფია რობერტ სტურუას შემოქმედების განუყოფელი ნაწილია. თუმცა, როგორც თავად კომპოზიტორმა აღნიშნა, ასეთი დატვირთვით მას ბატონ რობერტთან დიდი ხანია არ უმუშავია. "ბატონი რობერტის სპექტაკლებში მუსიკას ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. თუმცა, ასეთი ინტენსივობით მე რობერტთან კარგა ხანია აღარ მიმუშავია... როგორც იქნა გამოვინთავისუფლე დრო და რეპეტიციებზე ერთად ვართ, ანუ ვმუშაობთ ისე, როგორც ადრე და ეს პროცესი ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა. ამ სპექტაკლში მუსიკა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც, ვთქვათ, "ხანუშაში", ან "კავკასიურ ცარცის წრეში"... ერთადერთი, იმაზე მწყდება გული, რომ გოგი ალექსი-მესხიშვილი თბილისში არ არის და ჩვენს გვერდით არ იმყოფება... რაც შეეხება კითხვას, ასახულია თუ არა ამ სპექტაკლში ჩვენი რეალობა, გიპასუხებთ, რომ ხელოვნების ნაწარმოების ალქმა ძალიან ინდივიდუალურია და ამასთან, ვფიქრობ, რომ მაღალი ხელოვნება ყოფის ასახვას არ უნდა ემსახურებოდეს..." - აღნიშნა გია ყანჩელმა, რომელიც თბილისში 24 ოქტომბრამდე დარჩება, შემდეგ კი გაემგზავრება მიუნხენში, სადაც მის მიერ სიმფონიური ორკესტრისა და გუნდისათვის შექმნილი ნაწარმოები, რომელიც კომპოზიტორმა ჯანსუღ კახიძის ხსოვნას მიუძღვნა, პირველად შესრულდება.

პრესკონფერენციის დასასრულს შევითქვეთ, რომ რობერტ სტურუას "ვეფხისტყაოსნის" დადგმაზე ფიქრი არ შეუწყვეტია, თუმცა, განხორციელებს თუ არა მას მიმდინარე სეზონში, რთული სათქმელია. ეს ნაწარმოები რეჟისორისგან განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს, რისთვისაც სტუ-

რუა ფიქრობს, რომ დაბერდა. "და მიუხედავად იმისა, რომ "ვეფხისტყაოსნის" გაცოცხლებაზე დიდი ხანია ვფიქრობ და ვმუშაობ კიდევ, ვერ ვიტყვი, რომ მზად ვარ ის განვხორციელო, რადგანაც იცვლება დრო და ამასთან ერთად, აზროვნებაც მეცვლება... გაზაფხულიდან კიდევ ერთხელ ვცდი და თუ ეს არა, დასადგმელი პიესების მეტი რა არის", - გვითხრა სტურუამ, რომელმაც შეკითხვაზე, რამდენად საინტერესოა მისთვის ბასა ჯანიკაშვილის პიესა, სახელწოდებით "დიქტატურა", რომელიც ახლახანს BBC-ის რადიო პიესების კონკურსის გამარჯვებული აღმოჩნდა, გვიპასუხა: - "ეს პიესა ჩემმა მაგისტრანტმა უკვე განახორციელა და ახლა მასზე მეორეც მუშაობს და სულ სხვა კუთხით დგამს... მართალია, გარკვეული შენიშვნები მაქვს, მაგრამ, ცხადია, მიხარია, რომ ამ პიესამ BBC-ის კონკურსზე გაიმარჯვა, რადგანაც ის საინტერესოა... თუმცა, პირადად მე მის დადგმაზე არ მიფიქრია... მაგისტრის სპექტაკლი თუ კარგი გამოვა, მას მაყურებელიც იხილავს".

პრესკონფერენციაზე არ თქმულა, მაგრამ გეტყვით, რომ 12 ოქტომბერს, 16 საათსა და 30 წუთზე, რუსთაველის თეატრის ზედა ფოიეში გაიხსნება გამოფენა, რომელიც სცენოგრაფ მირიან შველიძის შემოქმედებას წარმოაჩენს. ექსპოზიციაზე რუსთაველის თეატრის მუზეუმსა და მხატვრის კერძო კოლექციაში დაცული ესკიზები, კოლაჟები და მაკეტები გამოიფინება. დამთვლიერებელს შესაძლებლობა მიეცემა ნახოს ორიგინალები, რომლებიც მირიან შველიძემ შექმნა სპექტაკლებისთვის: "რიჩარდ III", "ყვარყვარე", "მეფე ლირი", "მაკბეტი", "კაცია-ადამიანი?!", "ჰამლეტი", "გოდოს მოლოდინში", "ცხოვრება სიზმარია", "კორეოლანი" (საბერძნეთი), "პირდალესი" (ისრაელი) და ა.შ. ასე რომ, რუსთაველის თეატრი საინტერესო გამოფენების ორგანიზების ტრადიციას აგრძელებს და გელოდებით!

პირველი ბენეფისი განახლებულ ფილარმონიაში

პირველი გვარდიიდან

"კარგად მასსოვს 70-იანი წლების დასაწყისი, როდესაც პირველად დავდგი ფეხი ამ სცენაზე. მას შემდეგ დიდი შემოქმედებითი გზა გავიარე და ახლა მინდა, ეს გზა კიდევ ერთხელ თქვენთან ერთად განვლო", - ასე გახსნა კონცერტი სალამოს ვარსკვლავმა. ნანი ბრეგვაძე ქართულ, შემდეგ კი საბჭოთა სცენაზე გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან გამოჩნდა. მაშინ ის სრულიად ახალგაზრდა, პრაქტიკულად გამოუცდელი მომღერალი გახლდათ. როგორც თავადვე იხსენებს, ძალიან მორცხვი იყო: "გეპეის" კვარტეტთან ერთად ერთ-ერთი პირველი კონცერტი მქონდა. ერთ სიმღერაში, ბიჭებისთვის კულისებიდან რალაც ფრაზა უნდა დამეძახა. მოვემზადე, მთელი ძალები მოვიკრიბე, მაგრამ სიმორცხვემ მძლიად და სიტყვაც ვერ დავძარი." თუმცა მალე ეს სიმორცხვეც გაქრა, წლები გადიოდა. ნანი ბრეგვაძე თავისი თაობის საუკეთესო კომპოზიტორებს ხვდებოდა, რომლებიც სპეციალურად მისთვის წერდნენ სიმღერებს. ათეულობით წლების შემდეგ ეს სიმღერები არა მხოლოდ ქალბატონ ნანის, არამედ მთლიანად ქართული საესტრადო სცენის სიმბოლოდ იქცა. გუშინდელ შემოქმედებით საღამოზე იგი შეეცადა, ყველა საყვარელი კომპოზიტორის ერთი კომპოზიცია მაინც შეესრულებინა, ყოველ მათგანს კი თავადვე წარადგენდა.

როგორც უკვე გითხარით, გუშინდელ საღამოს კიდევ ერთი მთავარი მოქმედი გმირი - ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი ჰყავდა. დარბაზი თითქმის ორი წლის განმავლობაში ხარაჩოვში იყო ჩასმული, მის რეკონსტრუქცი-



ას კი კომპანია "ისტერნ პრომოუშენი" ახორციელებდა, რომლის მმართველობაშიც ამჟამად დარბაზი იმყოფება. ერთი შეხედვით, ფილარმონიაში მომხდარი ცვლილებების შეფასება ძნელია, თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ვინც ამ დარბაზის ხშირი სტუმარი იყო, უკეთესად შეძლებს შეაფასოს მთავარი ცვლილება - ხმის აპარატურა, რომლის ჟღერადობაც ამჟამად ძალიან კარგია და რომლის შედარებაც ძველ აპარატურასთან ნამდვი-

ლად საცოდაობა იქნება. სცენიდან სუფთა ხმა იღვრება და ფილარმონიის შესანიშნავ აკუსტიკურ გარემოში არ იკარგება. როგორც "ისტერნ პრომოუშენის" დირექტორი, მიხეილ გიორგაძე აღნიშნავს, ეს სწორედ ის ხარისხია, რომელსაც მსოფლიოს ვარსკვლავები ითხოვენ, მათი სტუმრობით კი ეს სცენა ნამდვილად განებივრებულია - თუნდაც თბილისის ჯაზფესტივალის მონაწილეთა მხრივ. მათ შესახებ მოგვიანებით, ახლა კი განახ-

ლებული დარბაზი დავათვალიეროთ.

მთავარი ფოიე მართლაც შთამბეჭდავია. ეფექტური თითქმის მთელ სიგრძეზე გადაჭიმული შიდა ეკრანი. თუმცა ფოიეს მთავარი ხიბლი იმაში მდგომარეობს, რომ ორიოდ საათში მისი პატარა სცენად გადაკეთება შესაძლებელი. გარდერობებმა მეორე სართულზე გადაინაცვლა, აქვეა პატარა კაფეც. მელიქიშვილის ქუჩის მხრიდან შევიდლიათ ელვის პრესლის კაფეს ეს-

ტუმროთ, სადაც 50-60-იანი წლებისთვის დამახასიათებელი რეტრო გარემო დაგხვდებათ.

რაც შეეხება თავად დარბაზს, აქ ხმის აპარატურის გარდა მხოლოდ სცენა, განათების სისტემა და სავარძლებია შეცვლილი (მათი რაოდენობა წინანდელთან შედარებით გაზრდილია). სხვა მხრივ დარბაზში სიახლე თვალში არ მოგხვდებათ, თუმცა მას აუცილებლად იგრძნობთ ზამთარში, როდესაც კონცერტზე ქურთუკებით ჯდომას არ მოგიწევთ. რემონტი პრაქტიკულად არ შეხებია დარბაზის ადმინისტრაციულ ფრთას, თუმცა იქ არსებული სამშენებლო მასალით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მალე იქაურობასაც მოეწელება.

და კიდევ ერთი რამ, რაც არც რემონტმა შეცვალა და არც უახლესმა აპარატურამ - ეს არის დამოკიდებულება ჟურნალისტების მიმართ, თბილისის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ჩვენს ელემენტარულ კომფორტზე ზრუნვა არ აწყენდა. თუმცა დარბაზის კიბეზე ახალი საფარია და ალბათ ამითაც კმაყოფილები უნდა ვიყოთ. და კიდევ ერთი, ალბათ ჯობს მცირედი ცვლილება მსმენელის ელემენტარულ კულტურაშიც მოხდეს - მობილური ტელეფონების გამორთვის გარდა ისიც უნდა ვისწავლოთ, რომ მ საათზე დაგეგმილ კონცერტზე ნახევარი საათის დაგვიანებით არ უნდა მივდიოდეთ.

რაც შეეხება დიდი საკონცერტო დარბაზის მომავალ გეგმებს, აქ მთავარი სანახაობა ოქტომბრის მიწურულს გველის, როდესაც სცენაზე თბილისის ჯაზ-ფესტივალის ვარსკვლავები გამოვლენ. მანამდე კი ეს დარბაზი რამდენიმე დღის წინ გადრეცვლილ ალექსანდრე ბასილაიას დაემშვიდობება.

მუსიკა, რომელსაც ჯაზი ჰქვია

თამაზ ყურაშვილისა და "სპორტ ივენთ გრუპ"-ის გეგმები

ბოლო დღეებში კლუბი "Bamba rooms" ჯაზმენებსა და ჯაზის მოყვარულებს მასპინძლობს. მიზეზი ძალიან მარტივია. მოკლედ რომ ვთქვათ - თამაზ ყურაშვილი და მისი მეგობრები. თუ განვავრცობთ - გაერთიანება "სპორტ ივენთ გრუპის" ინიციატივით იქ ჯერ თამაზ ყურაშვილის პრესკონფერენცია და შემდეგ საღამო გაიმართა. ამ გაერთიანებას ორივე აღნიშნული ღონისძიების ჩატარებისთვის ასევე მყარი მიზეზები ჰქონდა. მათივე თაოსნობით ნოემბერში გამოვა ცნობილი ქართველი მუსიკოსის ახალი CD, მინი დისკი და ამ სიახლის აღსანიშნავად გაიმართება არაერთი პრომო აქცია. 4 ოქტომბრის კონცერტიც სწორედ რომ პატარა მოთელვა გახლდათ. როგორც ორგანიზატორებისა და მთავარი მოქმედი პირის მონოლოგებიდან ჩანს ეს საღამო მხოლოდ საწყისია სხვა, ბევრად ხანგრძლივი დინამიკისა.

ზურაბ თალაკვაძე, "სპორტ ივენთ გრუპი": "ჩვენი გაერთიანება რამდენიმე თვის წინ დაარსდა. მის სახელწოდებაში იგულისხმება საქმიანობაც. ორგანიზებას ვუკეთებთ ნებისმიერ სპორტულ ღონისძიებას, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ არასპორტული ღონისძიებებით არ ვართ დაინტერესებულნი. პირიქით, რაც უფრო საინტერესო ინიციატივები იქნება, რაც უფრო მზარდ პროექტებს შემოგვთავაზებენ, მით უკეთესი. ჩვენ ყველაფერს განვიხილავთ და მივიღებთ მონაწილეობას ნებისმიერი სახის საინტერესო პროექტის ორგანიზებაში.

რაც შეეხება ამ ღონისძიებებს.

ჩვენთვის დიდი პატივია, რომ ჩემს გვერდით არის არა მარტო ქართული მუსიკის, არა მარტო ქართული ჯაზის, არამედ მსოფლიო ჯაზის ლეგენდა, ბატონი თამაზ ყურაშვილი. ნოემბერში ამ მუსიკოსის ახალ CD-ის შემოგთავაზებთ. ჩვენ ორგანიზებას ვაგუწევთ არა მხოლოდ ჩანერას, არამედ რეალიზაციას. ალბომი მოიცავს სავარაუდოდ 4 კომპოზიციას, მისი ქრონომეტრაჟი იქნება ნახევარი საათი. მანამდე გვინდოდა საცდელი ღონისძიება ჩაგვეტარებინა..."

ეს საცდელი კონცერტი უკვე ჩატარებულია. ტრადიციული ჯაზური თემებით, ერთგული მსმენელი და მომავალ შეხვედრამდე დამშვიდობებით. აქვე ითქვა, რომ დღეის ამას იქით ყურაშვილი და მისი მეგობრები "Bamba Rooms"-ში ხშირად დაუკრავენ.

საუბარი თამაზ ყურაშვილთან თემატურად ბევრად ფართო გამოდგა. მუსიკოსი არა მხოლოდ კონკრეტულ პროექტზე, არამედ იმ პროცესებსა და დინამიკაზე გვესაუბრა, რომლის ნაკლებობასაც საქართველოში სავარაუდოდ მწვავედ განიცდის.

თამაზ ყურაშვილი: მოხარული ვარ საორგანიზაციო ჯგუფის შემართებით.

ჩვენი საერთოდ მიზანი არის ის, რომ მოხდეს საქართველოში იმ მუსიკის პოპულარიზაცია, რომელსაც ჯაზი ჰქვია. შესაძლოა ვთქვათ, რომ ჯაზს საქართველოში პოპულარობა არ აკლია, მაგრამ ჩვენი მისიამი დამოკიდებულება ძალიან შორს არის ევროპულისგან. ჩვენთან არ არის ის



დინამიკა რაც სხვაგან, ძალიან მეჩხერად ჩამოდიან საქართველოში უცხოელი მუსიკოსები. სამომავლოდ გვინდა მეტი მუსიკოსი ჩამოვიყვანოთ თბილისში. ეს პროცესები არ იყოს დამოკიდებული იმ ერთ და ორ კონცერტზე, რომელსაც ჩაატარებს "ისტერნ პრომოუშენი" ან სხვა კომპანია. ეს დინამიკაში უნდა იგრძნობოდეს ყოველ თვეში ვიღაც უნდა ჩამოდიოდეს, ისე როგორც ხდება მოსკოვში და ევროპულ ქალაქებში. მართალია, ევროპა მჭირდროდ მყოფი ქვეყნებისგან შედგება და იქ ბევრად ადვილია ამ დინამიკის შენარ-

ჩუნება, მაგრამ ამიერკავკასიაშიც ყოველთვის ცოცხალი იყო პროცესები. და სხვათა შორის, ადრე, უძრავობის ხანაშიც კი მეტად იგრძნობოდა დინამიკა, ვიდრე ახლა. ჩვენთან ჩამოსულებს ვაგზავნიდით ერევანში, ბაქოში... ამან მოიტანა 70-იანი წლების საფესტივალო პერიოდები თბილისში და მე სიამაყით შემიძლია გავისხენო ის ფესტივალები, რომლებიც მაშინ თბილისში ტარდებოდა. ის იყო ნამდვილი ფესტივალები. იმიტომ რომ ფესტივალი ითვისინინებს თავის პროგრამას, თავის პროექტს, ეს არ არის რამდენიმე ან-

სამბლის ან მუსიკოსის სოლო კონცერტი მხოლოდ. აქ უნდა იყოს კონფერენციები, "ჯემ სეიშენებს", მასტერკლასები, შეხვედრები, ყოველ შემთხვევაში მაყურებელი არ უნდა იყოს დაკმაყოფილებული ერთჯერადი კონცერტებით. მაყურებელმა უნდა გაიცნოს ჩამოსული სოლისტი, ანსამბლი... ამის საშუალება სამწუხაროდ არ არის მაშინ როცა "ისტერნ პრომოუშენი" აკეთებს ჯაზ-ფესტივალს. ისინი ჩემი ხალხი არიან, მათი კონსულტანტი ვიყავი და ვარ დღესაც, მაგრამ მათ მიერ ორგანიზებული პროექტები უფრო კომერციული ხასიათისაა. გათვლილია, თუ რამდენი ბილეთი უნდა გაიყიდოს, რა ფასად, რომ აინაზღაურონ დანახარჯები. როცა მუსიკოსს კომერციულ კონცერტზე იწვევ მისი ჰონორარი ითხვერ-ხუთხვერ მეტია ვიდრე ფესტივალზე. ფესტივალზე ჩამოსული მუსიკოსის მისია სულ სხვაგვარია - მან უნდა მოახდინოს საკუთარი მუსიკის პოპულარიზაცია, ახალი პუბლიკის, მსმენელის გაცნობა, დაინტერესება, ურთიერთობა... ამიტომაც საფესტივალო ჰონორარები ყოველთვის ბევრად ნაკლებია. ამასაც გათვალისწინება უნდა..."

ჯაზის საღამო ბამბის რიგში წარმატებით დასრულდა. თამაზ ყურაშვილის მსმენელი, რომლის რაოდენობაც მეტად დიდია, უახლოეს ხანებში მის ახალ დისკს შეიძენს და რაც მთავარია, გადაამონმებს პირობას, რომლის თანახმადაც ყურაშვილი მეგობრებთან ერთად მათთვის ხშირად უნდა დაუკრავს.

24 საათი

ბზა, როგორც არც თუ ისე პორია...

პირველი გვარდიან

ეზოს შემოგარენში ხილ-ბოსტ-ნეულის სავაჭრო რამდენიმე ჯიხუ-რი დგას. მამაკაცებს ხის ჩრდილში "ბირჟა" გაუმართავთ. ქალები სკა-მებზე სხედან, ნაწილი ჟურნალს ათვლიერებს, ზოგს ცარიელი ბი-დონები უჭირავს ხელში - სოფლის წყაროზე აპირებენ წასვლას. მოხუ-ცებს კი ერთმანეთში ლაპარაკით გაჰყავთ დრო.

კოდაში ელექტრონერგია და ბუ-ნებრივი აირი უწყვეტად აქვთ. ბინა-ში შესულებს წყლის გამაცხელებ-ლებიც დაახვედრეს, თუმცა, რო-გორც დევნილები აცხადებენ, და-სახლებისთვის ყველაზე დიდ პრობ-ლემას სწორედ წყალი წარმოად-გენს.

"დილით და საღამოს მოდის, მაქსიმუმ 40 წუთით, ისიც არ ვარ-გა. სასმელი წყლისთვის წყაროზე დავდივართ, ელემენტარული სი-სუფთავის პრობლემა გვაქვს. წყლის გამაცხელებელი კი მოგვ-ცეს, მაგრამ რად გვინდა, თუ ვე-რაფერსაც ვერ გავაცხელებთ," - ამბობს ეთერ ლამბაშიძე.

კოდაში ჩასახლებული დევნილე-ბის ყოველთვიური დახმარების პა-კეტი ასე გამოიყურება: თითოეულ იძულებით გადაადგილებულ პირზე თვეში ცხრა კილოგრამი ფქვილი, ერთი ბოთლი ზეთი, ექვსასი გრამი შაქარი, ოთხკილონახევარი მაკა-რონი, კილონახევარი ლობიო და 50 გრამი მარილია განსაზღვრული.

დევნილებს ფულადი დახმარება ორჯერ გადასცეს - 200 და 125 ლა-რის ოდენობით, თუმცა, როგორც თავად ამბობენ, ბევრ მათგანს ბო-ლო 125 ლარი არც მიუღია.

"რამდენიმე დღის წინ შაშვინი და ჩვენი მხარის გამგებელი იყ-ნენ ჩამოსულები. რომ ვკითხეთ, ყველას რატომ არ მოგვცეს ფული, გვითხრეს, ჩვენ გორს გადავუ-რიცხეთ და არ ვიცით, სად წავი-დაო," - ამბობს ქალბატონი ეთერი.

2009 წლის იანვრიდან დევნილე-ბი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყო-ფი მოსახლეობის სახელმწიფო პროგრამაში ჩართეს - ოჯახის უფ-როსზე 30 ლარი და ყოველ მომდევ-ნო წევრზე + 24ლარი. თუმცა, ერედვიდან დევნილი დარეჯან არ-ბოლაშვილის განცხადებით, აღნიშ-ნული ფულადი დახმარება ცხრა თვის მანძილზე მხოლოდ ორჯერ მიიღეს.

ერედვიდან დევნილი სონია ბე-ბო "24საათს" შინ ეპატიჟება. მე-9 კორპუსის N2 სადარბაზოსთან ქა-ლი მატყლს პენტავს, მის გვერდით კი მოხუცი კაცი, რომელსაც მხო-ლოდ ერთი ფეხი აქვს, ხის მასალას ინვალიდის ეტლში მჯდომი ამუშა-ვებს. კორპუსში შესასვლელი კიბის საფეხურები დამტვრეულია, იატაკ-ზე კედლებიდან ჩამოფშვნილი ქვი-შა და გაჯი ყრია. კორიდორებში სუსტი შუქი ანათებს. ყოველი ბინის კარს მობინადრის გვარი და ბინის ნომერი თეთრი საღებავით აწერია. მეორე სართულზე ავდივართ, კიბე-ებზე ჩანთიანი ბავშვი ჩამოვბის. სკოლაში უნდა გაიქცეს. ნახევარი საათი აქვს ფეხით სასიარულო. და-სახლებაში სკოლა და საბავშვო ბა-ლი არ არის, რის გამოც დევნილი ბავშვები განათლების მისაღებად მუხატსა და კოდას შორის მდებარე სკოლაში დადიან.

16 წლის ირმა ქრისტესაშვილი მეთერთმეტე კლასის მოსწავლეა. მას და მის თანატოლებს, ისევე რო-გორც კოდაში მცხოვრებ სხვა დევ-ნილ ბავშვებს, სასწავლო წიგნები არ აქვთ. მისი თქმით, სწავლის დაწყებამდე დაჰპირდნენ, რომ დევ-ნილებს წიგნებს უფასოდ დაური-გებდნენ, მაგრამ ჯერ არაფერი მიუ-ტანიათ.



მამაკაცებს ხის ჩრდილში "ბირჟა" გაუმართავთ.



მოხუცი კაცი, რომელსაც მხოლოდ ერთი ფეხი აქვს, ხის მასალას ინვალიდის ეტლში მჯდომი ამუშავებს.



ფანჯარასთან ახლოს, ხის საწოლზე 55-60 წლის კაცი წევს. მას კვირაში ორჯერ სჭირდება შაქრის გაზომვა.

სონია ბებო რამდენიმე ფენად შეფიცრულ, მაგრამ მაინც ღრიჭოე-ბით სავსე კარს ალებს და სახლში შევდივართ.

მისაღები ოთახი, პატარა სამზა-რეულო და ორი პატარა ოთახი - როგორც გადავზომე, ოთხი ნაბიჯი სიგანეში და ოთხი სიგრძეში. ამ სახ-ლში, რომელიც ოროთახიანად არის აღრიცხული, სონა ბებო, მისი შვი-ლი, რძალი და სამი შვილიშვილი ცხოვრობს. ერთ საძინებელში ოთხ ადამიანს სძინავს.

ყველა ოჯახს საპირფარეშო ინ-დივიდუალურად აქვს, მაგრამ იმდე-ნად ვიწრო, რომ როგორც თავად ამ-ბობენ, ხელ-პირის დაბანისას კარს ალებენ, რადგან პირსაბანი ნიჟა-რისკენ გადახრილი ადამიანი დახუ-რულში ვერ ეტევა.

სამზარეულოში შესულს პირვე-ლი, რაც თვალებში მომხვდა, ორსან-თურიანი პატარა გაზქურაა, რო-მელსაც ემალი მთლიანად ამძვრა-ლი აქვს დამწვრობისგან და სულ გა-შავებულია. დევნილების ერთ-ერთი სათხოვარი, სწორედ ნორმალური გაზქურაა. მათი თქმით, ყველა ოჯახში ქურები მოტანიდან რამდე-ნიმე დღეში დაინვა. ამასთან, იმდე-ნად პატარებია, რომ ვერაფრის გა-კეთებას ვერ ახერხებენ.

მეორე სართულზევე, კორიდო-რის ბოლოს, ცოტინაშვილების ოჯახში შევდივართ. შესასვლელში, ფანჯარასთან ახლოს, ხის საწოლზე 55-60 წლის კაცი წევს. მას კვირაში ორჯერ სჭირდება შაქრის გაზომვა; ასევე უნდა იმკურნალოს 12 სხვა-დასხვა დასახელების წამლით, თუმ-ცა კოდის ახალგაზსნილ ამბულა-ტორიაში "ვალერიანიც" კი არ აქვთ.

"გუშინაც ვიყავით ექიმთან, ჩვენებური ქალი მუშაობს. არ მო-უტანიათ არც ინვენტარი და არც წამლები, რითი უნდა ვიმკურნა-ლოთ, არ ვიცით," - ამბობს ლამარა მინდიაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ სახლის სახურავი არც თუ დიდი ხნის გადა-ხურულია, საცხოვრებელ ბინებში წყალი მაინც ჩამოდის. ჭერი სველია არა მარტო მესამე, არამედ მეორე სართულზეც. ლამბაშიძეების ოჯახში წვიმის წყალმა ტუალეტის კედელი იმდენად დაზიანა, რომ ბათქაში გამუდმებით იატაკზე იყრება.

დასახლებაში ყოველ პარასკევს ე.წ. მობილური ბიბლიოთეკა დადის, არასამთავრობო ორგანიზაციის - "დევნილთა გადაუდებელი დახმა-რების ცენტრი - აფხაზეთი"-ს პროგრამის ფარგლებში. ავტობუ-სით წიგნები და ჟურნალები ჩამო-აქვთ, მსურველს შეუძლია გათბო-ბით უზრუნველყოფილ ავტობუსში იკითხოს ან გამოიწეროს სასურვე-ლი ლიტერატურა შინ წასაღებად, ხოლო მომდევნო პარასკევს დააბ-რუნოს.

კოდაში ჩასახლებულ დევნი-ლებს სახნავ-სათესი მიწები საცხოვრებელი ადგილიდან ექვსი კილომეტრის დაშორებით მისცეს. სიმორის გამო ზოგიერთი მიწის და-მუშავებას ვერ ახერხებს.

"არც კი ვიცო, სად არის ის ნაკ-ვეთი. იმ სიმორზე რას ვივლით, თან თუ არ მივხედოთ, საქონელი შეჭამს და რაში გვიღირს. ამას გვერჩივნა, პატარა მიწა მოეცათ აქვე, ქინძს და კამას მაინც დავთე-სავდით და ის მაინც არ გვექნებო-და საყიდი," - დანაწებით ამბობს ზოია ლამბაშიძე.

კოდაში ჩასახლებული დევნი-ლებს პრეზიდენტის პირადად ნახვა უნდათ. მათი თქმით, მიხეილ საა-კაშვილი თუ მათ სანახავად ჩავა, მისთვისაც მოულოდნელი იქნება იმის ნახვა, თუ რა პირობებში უწევთ დევნილებს ცხოვრება.

გზა, რომელიც არც თუ ისე პოროია...

A12 გვერდიდან

კოდის დასახლებიდან "24საათი" წეროვანისკენ გაემართა. ეს არის მწვანე წითელსახურავიანი, თეთრი მწვანესახურავიანი, ნაცრისფერი თეთრსახურავიანი, თეთრი წითელსახურავიანი 2002 კოტეჯის სოფელი.

სოფლის შესასვლელში, პირველი რაც თვალში მოგვხვდება, პოლიციის შენობა, ახალი სკოლა, საავადმყოფო და დიდი სუპერმარკეტია. მაღაზია რამდენიმე სექციად არის დაყოფილი, ერთ-ერთი ინტერნეტკაფეა.

შესახვევში თბილისი - წეროვანის სამარშუტო ტაქსები მოჩანს.

სათბურების დაბლა (სადაც, აქ მცხოვრებთა თქმით, არასამთავრობოებს კიტრი მოჰყავთ), ასფალტიანი გზა წყდება. მას ქვა-ლორღიანი და ორმოებიანი შესახვევები ცვლის. წეროვანში მცხოვრები დევნილები ერთ-ერთ მთავარ პრობლემად სწორედ გზას ასახელებენ.

"სოფლის შემოსასვლელში დააგეს ასფალტი, თუმცა აქამდე აღარ ჩამოვიდნენ. ისეთი ცუდი გზაა, რომ მანქანა ძლივს შემოდის. თან ორმოებში წყალი დაგუბდა და თევზით ასეა. პატარა ბავშვები გვყავს და ამ გუბებში ცვივდებიან," - ამბობს ლეილა ტასრაძე.

წეროვანში ჩასახლებულ დევნილებს, კოდისგან მცირედ განსხვავებულ დახმარებას აძლევენ. აქ თითოეულ დევნილს კილონახევარის ნაცვლად, ოთხკილონახევარ ლობიოს ურიგებენ. მცირე განსხვავებაა შაქრის რაოდენობაშიც - წეროვანში ჩასახლებულ დევნილებს 900 გრამს ურიგებენ ყოველთვიურად. რაც შეეხება ფქვილის, მაკარონის და მარილის ოდენობას, ეს ორივე დასახლებაში იდენტურია.

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სახელმწიფო პროგრამაში, კოდელების მსგავსად, იანვარში წეროვანელებიც ჩართეს. თუმცა, კოდელებისგან განსხვავებით, წეროვანში ჩასახლებულმა დევნილებმა ყველა თვის სოცდახმარება მიიღეს.

ისევე, როგორც კოდაში, ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 და 125 ლარის ოდენობით, წეროვანში ჩასახლებულ დევნილებსაც დაურიგეს. ამას გარდა, მათ სამი თვის განმავლობაში 25-25 ლარიც მიიღეს.

წეროვანში მცხოვრები ნესტან ბერუაშვილის ოჯახში შევდივართ. სახლის კარი, როგორც ჩანს, გამძლე მასალით არის ნაგები. იატაკზე პარკეტი აგია. კოტეჯში მისაღები, ორი საძინებელი, პატარა სამზარეულო და საპირფარეშოა. დასახლებაში აქვთ ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია და წყალი. ნესტან ბერუაშვილის თქმით, დევნილებს დაჰპირდნენ, რომ, კოდის მსგავსად, წყლის გამაცხელებლებს წეროვანშიც ჩამოიტანდნენ, თუმცა დაპირება დაპირებად დარჩა.

სახლიდან გამოვედი და უბანს ვათვალიერებ. ამ ქუჩაზე მხოლოდ ერთდევნელები ცხოვრობენ და ასეც ჰქვია - "ერედველების უბანი". განმასხვავებელი ნიშანიც აქვს - ამ ხუთი მწკრივში მხოლოდ ნაცრისფრად შეფერილი კოტეჯებია..

სარეცხი თოკები ეზოში გაუჭიმავეთ. 40-45 წლის ქალი მაისურებს ფენს. ორივე ხელი დაკავებული აქვს და სარეცხ სარქს პირში იღებს. დევნილებს კოტეჯების ირგვლივ პატარა ნაკვეთი აქვთ, სადაც სიმინდს, ხახვს, პომიდორს და მწვანილს თესავენ. სახლთანვე საჭათელები დგას. უბანში ბავშვები მჭიდროდ-ისრებით და ხის თაფლით დარბიან, ომობანას თამაშობენ. ოთხი წლის პატას ყველაზე მეტად ომობანას თამაში უყვარს: **"ბაღში**



"პატარა ბავშვები გვყავს და ამ გუბებში ცვივდებიან."



დევნილებს კოტეჯების ირგვლივ პატარა ნაკვეთი აქვთ.

ვთამაშობ ხოლმე, სამხედრო თვითმფრინავიც მყავს და ტანკიც. დიდი რომ გავიზრდები, ნამდვილი თოფი უნდა ვიყიდო."

კიდევ ერთი პრობლემა, რის წინაშეც წეროვანის დევნილები დგანან, სისუფთავეა.. მათი თქმით, თვე ისე გადის, რომ სათბურების ქვედა უბნებში დადგმული ბუნკერებიდან ნაგავი არ გააქვთ.

"ერედველების უბანს" დღის ხუთის ნახევრისთვის ვტოვებთ. ათხრილ-დათხრილი შესახვევებით მივემართებით, სათბურებს ზემოთ, საავადმყოფოსთან ახლოს, ასფალტიანი გზა იწყება...

მესამე დასახლება - ხურვალეთი, წეროვანიდან 24კილომეტრში, შიდა ქართლში მდებარეობს. დასახლებაში 140 კოტეჯი დგას. ოფიციალური მონაცემებით, სოფელში 460 ადამიანი ცხოვრობს.

აქ ყველა კოტეჯი ერთი ფერისაა - თეთრად შეღებილი და თეთრი სახურავით. სახლების ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი ნომრებია, რომელიც ყველა კოტეჯს აწერია.

აქაც, ისევე როგორც წეროვანში, ყოველი სახლის ეზოშია პატარა დამუშავებული ბოსტანი. ხურვალეთელებს სწორედ მოსავლის დაბინავების დროს მივუხსნარით. მაკა და მისი მამა ხახვს ნაჭრის პარკებში ყრიდნენ და რაკი სათავსო არ აქვთ,



"ქერ ერთი ტუალეტი რა არის და ახლა ოთხი ერთად რომ დგას, ზაფხულში ისეთი სუნია, ახლოს ვერ გაივლი. აი, ნარგიზას ტუალეტი ქარმა წააქცია კიდევ."

სახლში - სამზარეულოსა და საძინებელში ინახავდნენ. კოტეჯების უკანა მხარეს თონეები დგას - ყოველ ორ სახლს შორის თითო. როგორც მაკა ჯავახიშვილმა მითხრა, ეს თონეები სოფლის მცხოვრებლებმა საკუთარი სურვილითა და ხარჯებით გააკეთეს. აღსანიშნავია, რომ ხურვალეთში, წინა დასახლებებისგან განსხვავებით, ბუნებრივი აირი არ შეუყვანიათ.

"რომ ამბობს სააკაშვილი, "გაზი ყველა სოფელსო", ჩვენ არავის

გავხსენებთ. უკვე აცივდა. შემაც რომ არ მოგვითანონ, ზამთარში ყინვისგან დავიხრცებით," - აცხადებს ნომერ მეორე კოტეჯის მცხოვრები ნაირა ჯავახიშვილი.

ხურვალეთში ასევე განსხვავებული პირობებია იმ მხრივ, რომ ამ დასახლებაში საპირფარეშო და წყლის ონკანი ეზოში აქვთ. ამასთან, წყლის ონკანი ინდივიდუალური არ არის. ერთ ქუჩაზე (20კოტეჯი) ოთხი ონკანი დგას.

"არც მოდის წყალი, დღე-ღამე-

ში ერთი-ორი საათით თუა კარგად, თან სიცივეში იყინება ხოლმე და სულ ისე ვართ დარჩენილები," - ამბობს ქალბატონი ნაირა.

წყლის ონკანისგან განსხვავებით, საპირფარეშოები ყოველ ოჯახს ინდივიდუალური აქვს. თუმცა ხის ფიცრული ტუალეტები საცხოვრებელი სახლიდან ექვსიოდ მეტრშია აშენებული და მოსახლეობას საკანალიზაციო პრობლემა აწუხებს.

"ჯერ ერთი ტუალეტი რა არის და ახლა ოთხი ერთად რომ დგას, ზაფხულში ისეთი სუნია, ახლოს ვერ გაივლი, აი, ნარგიზას ტუალეტი ქარმა წააქცია კიდევ," - გვითხრა ლამარა ჯავახიშვილმა.

"ნარგიზას ტუალეტის" სანახავად კოტეჯებს უკან მოუვარე, მიუხედავად იმისა, რომ სიცხე არ არის, ოთხი "ჩეჩმის" გავლენით სუნი მაინც მძაფრად იგრძნობა, ხის ერთი საპირფარეშო მართლაც აყირავებულია და ნახევარი მხარე ჰაერში აქვს.

რაც შეეხება საკვებს, კოდასა და წეროვანთან შედარებით, ყველაზე ნაკლებ დახმარებას ხურვალეთის დასახლებაში იღებენ - ყოველთვიურად სულზე 200 გრამი შაქარი, 300 გრამი ზეთი, 8 კილოგრამი ფქვილი, კილო-ნახევარი თეთრი ლობიო, ხუთი შეკვრა მაკარონი და, რა თქმა უნდა, სამი კოვზი მარილი.

ხურვალეთში ერთჯერადი დახმარებები 200 და 125 ლარის ოდენობით აიღეს. ასევე აქვთ სოციალურად დაუცველის ყოველთვიური ფულადი დახმარება 24 ლარის ოდენობით. თუმცა ქსუისიდან დევნილი ლამარა ჯავახიშვილი ამბობს, რომ მას უსამართლოდ არ აძლევენ უმწესო დახმარებას: **"შვილიშვილთან ერთად ვცხოვრობ, ის პირველი ომის დევნილია და დევნილის ფულს იღებს, მე კი სოციალურ დახმარებას აღარ მაძლევენ. ცალი მეკრდი მოჭრილი მაქვს და წესით ჯანმრთელობის დახმარებასაც უნდა მაძლევდნენ, მაგრამ ჩემთვის არაფერი არ არის."**

ხურვალეთის კოტეჯებში, წეროვანისგან განსხვავებით, ხის იატაკია, რომლის ღრიჭოებიდანაც ჭიები ძვრებიან და დატოცავენ.

კედლები სველი და გამოუმშრალია. როგორც ლამარა ჯავახიშვილი ამბობს, სახლებში სინესტე ჩასახლების დროიდანაა: **"რომ მოგვიყვანეს, კედლები და ჭერი არ იყო გამშრალი და იმის შემდეგ ასეა. წვიმის დროს წყალი ასხამს ფანჯრებში და ნახევარ სახლს ასველებს. ქარის დროსაც მდინარიდან მონაპერი წყალი სულ კოტეჯებში შემოდის."**

ხურვალეთშიც, კოდის მსგავსად, არ არის სკოლა. ბავშვები დასახლებიდან ოთხი კილომეტრის მოშორებით, სოფელ ხურვალეთის სკოლაში დადიან. მათ მთავრობის დაქირავებული სამარშუტო ტაქსი ემსახურებათ. სოფელში არ არის საავადმყოფო, თუმცა კვირაში ერთხელ შავშვების დევნილთა დასახლებიდან ექიმი ჩადის და მსურველთა სამედიცინო კონსულტაციას უტარებს.

ხურვალეთიდან წამოსულს თვალწინ მთელი დღის ნანახი მიტრიალებდა. ამ სამი სოფლის მაგალითზეც კი ჩანს, რომ სხვადასხვა დასახლებებს შორის სერიოზული განსხვავებებია, მაგრამ ეს რეპორტაჟიც არ იძლევა სრულ სურათს, თუმცა თვალნათლივ ჩანს, რომ სხვადასხვა ადგილებში ჩასახლებული დევნილები განსხვავებულ პირობებში არიან.

და მაინც, მათ აქვთ ერთი დიდი საერთო ტკივილი - ისინი ხიზნები არიან საკუთარ სამშობლოში, საკუთარი მიწა-წყალი და სახლ-კარი კი ერთი ხელის განვდენაზეა...

სპორტი

კუპერის ბოლო არჩევანი

ხუტვაროსნები ბულგარეთ-ჩერნოგორიის წინ



ექტორ რაულ კუპერი ევროპული ტურნესთვის ემზადება.

მიხეილ აბიშვილი

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმა მოახლოებული ორმატჩიანი ოფიციალური ევროპული ტურნეს ჩასატარებლად უხმო "ხუტვაროსნებს". 10 ოქტომბერს ჩვენი ეროვნული გუნდი პოდგორიცაში ჩერნოგორიის ნაკრებს დაუპირისპირდება, შემდეგ კი გადაინაცვლებს სოფიაში, სადაც 14 ოქტომბერს ბულგარეთს ეთამაშება. 2010 წლის მსოფლიო საკვალიფიკაციო ტურნირში, რომელიც ყველაზე სამარცხვინო და წარუმატებელი გამოდგა ჩვენთვის, ჩერნოგორიასთან და ბულგა-

რეთთან მატჩები ჩვენი ეროვნული გუნდისთვის საფინალოა. შეგახსენებთ, რომ 8 ჩატარებული ოფიციალური თამაშიდან ჩვენმა გუნდმა ექვსი მარცხი იწვნია, ორი ფრედ დაასრულა და ორი ქულით სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზეა. ეს ციკლი წინა ხუთისგან განსხვავებული და პირველია იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს ნაკრებს ჯერ ერთი გამარჯვებაც არა აქვს მოპოვებული და იმის გათვალისწინებით, რომ 10 და 14 ოქტომბერს ძლიერი მეტოქეები გველის, თანაც ორივე მატჩს სტუმრად ვთამაშობთ, გამარჯვების ალბათობა ძალზე მცირეა. თუმცა, რაღაც შანსი მაინც არსებობს და კუპერი აუცილებლად შეეცდება

ან ჩერნოგორიულ, ან ბულგარულ ხავსზე მოჭიდებას, რათა საქართველოს ეროვნული ნაკრების ისტორიაში მოუხსნელი ანტირეკორდის ავტორი არ გახდეს.

მეკარეები: გიორგი ლომაია (ბაქოს "ინტერი", აზერბაიჯანი), ზურაბ მამალაძე ("ზესტაფონი"), გრიგოლ ბეღიაშვილი (თბილისის "ვიტ ჯორჯია")

მცველები: კახა კალაძე ("მილანი", იტალია), გიორგი ფოფხაძე ("ვიბორგი", დანია), უჩა ლოზიანიძე ("ზესტაფონი"), ამირან სანაია ("ლე მანი", საფრანგეთი), გურამ კაშია (თბილისის "დინამო"), ალექსანდრე კვახაძე (თბილისის "ვიტ ჯორჯია")

ნახევარმცველები: ლევან

კობიაშვილი (გელზენკირხენის "შალკე 04", გერმანია), ლევან ყენია (გელზენკირხენის "შალკე 04", გერმანია), დავით დევდარიანი ("ორჰუსი", დანია), ლევან ხმალაძე (თბილისის "დინამო"), ლუკა რაზმაძე (თბილისის "ვიტ ჯორჯია"), ლევან ცეტიტაშვილი (უკლუბო), დავით ოდიკაძე (ბაქოს "ინტერი", აზერბაიჯანი), ჯაბა ლიპარტია (თბილისის "ვიტ ჯორჯია")

თავდამსხმელები: ლევან მჭედლიძე ("პალერმო", იტალია), ლადო დვალიშვილი (პალია "მაქაბი", ისრაელი), გიორგი მერებაშვილი (თბილისის "დინამო"), ნიკა გელაშვილი ("ზესტაფონი"), ალექსანდრე იაშვილი ("კარლსრუე", გერმანია).

"იბერია 2003"

ელიტრაუნდში ითამაშებს

ქართული საფეხბურთო კლუბების წარმატებებზე საუბარი თითქმის არ გვინებს. კიდევ უფრო იშვიათია, როდესაც ქართული კლუბები ევროპულ ტურნირებზე საკვალიფიკაციო რაუნდს გადალახავენ ხოლმე. დიდ ფეხბურთში ეს ერთხელ მოხდა, როდესაც თბილისის "დინამომ" გააღწია უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე. ახლა კი ფუტბალის ჯერი დადგა. საქართველოს ჩემპიონი "იბერია 2003" უეფას ფუტბალის ელიტრაუნდში ითამაშებს.

შესარჩევ ტურნირში ქართული გუნდის წინააღმდეგ სომხური "ერებუნი", ჰოლანდიური "მარლენე" და რუმინული "დევა" თამაშობდნენ.

ვახტანგ წერეთლის შეგირდებმა სასტარტო მატჩებში სომხურ "ერებუნს" 5:0 მოუგეს და არც ჰოლანდიური "მარლენე"

დაინდეს, რომელსაც შედარებით მოკრძალებული ანგარიშით - 2:0 აჯობეს. ამ ორი მოგებით ჩვენმა გუნდმა ფაქტობრივად გაინაღდა ელიტრაუნდში თამაში და, მიუხედავად იმისა, რომ მესამე ტურში "იბერია" "დევასთან" 3:5 დამარცხდა, ქართველებს ამან პრობლემა არ შეუქმნა. თუმცა, უნდა ვთქვათ, რომ კატასტროფას სულ ცოტა დააკლდა. საქმე ის არის, რომ, ჯგუფში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, "იბერიას" ბოლო ტურში ორი ბურთით ნაკლებაც კი აძლევდა ხელს. "დევასთან" თამაშის მე-18 წუთისთვის ქართველები მატჩს 2:0-ს იგებდნენ რონისა და დუდუს გოლების წყალობით. ამ მომენტისთვის ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ჩვენს გუნდს რაიმე პრობლემა შეექმნებოდა, თუმცა, ეტყობა,

სწორედ ამან გაუწია "იბერიას" დათვური სამსახური. ჩვენმა ფეხბურთელებმა ნაადრევად ირწმუნეს გამარჯვება და პირველ ტაიმშივე მისცეს მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება. მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე "დევა" 5:2 იგებდა, რაც "იბერიას" ელიტრაუნდს მიღმა ტოვებდა. საბედნიეროდ, ამ რთულ მომენტში მოხერხდა ძალების სრული მობილიზება და თამაშის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე ბრაზილიელმა და კომტამ ანგარიში 3:5 გახადა, რითაც გუნდს შემდეგ რაუნდში თამაშის უფლება მოუპოვა.

ამრიგად, ელიტრაუნდში ჩვენი ჯგუფიდან "იბერია 2003" და "მარლენე" გავიდნენ. სხვა ჯგუფებიდან ასეთივე უფლება მოიპოვეს: იტალიურმა "ლუპარენსემ", უკრაინულმა "ტაიმ

ლეოვმა", ჩეხურმა "ჩრუდიმმა", ლატვიურმა "ნიკარსმა", ბელგიურმა "შარლერუამ", ბერძნულმა "ატინამ", პორტუგალიურმა "ბენფიკამ", სლოვენიურმა "კუნსტარმა", აზერბაიჯანულმა "არაზმა" და ხორვატიულმა "პოტიჩინამ".

ამ 12 გუნდს დასკვნით ჯგუფურ ეტაპზე შეურთდებიან პირდაპირ დაშვებული ესპანური "ინტერვიუ", რუსული "ვიზ-სინარა", ესპანური "მურსია" და ყაზახური "ქაირათი". 16 კლუბი 4 ჯგუფში გადანაწილდება და 14-22 ნოემბერს ელიტრაუნდში იასპარეზებს. ჯგუფების ოთხი გამარჯვებული 2010 წლის აპრილის მინურულს "ოთხთა ფინალში" ითამაშებს. ელიტრაუნდის კენჭისყრა 13 ოქტომბერს შეიქცაოის ქალაქ ნიონში, უეფას მტაბინაში გაიმართება.



დავით კოჭირიძის სკატი

მადიუმ მადია

ქართულ მედიაში ქართულ მედიაზე თითქმის არ ლაპარაკობენ, რაღაც დოგმასავითაა - კოლეგები ერთმანეთს არ უნდა შეეხონ. ეს პირველყოფილი მიდგომა უკვე პრობლემაა, რადგან ვაკუუმში უმოძრაობაა და უმოძრაობა კი რეგრესია, კუნთის მოღუნების, გამყინვარების წინაპირობა გახლავთ.

თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკა, ისევე როგორც ყველაფერი ახალქართული, ძალიან ახალგაზრდა და განუვითარებელია. მოდი, ზოგად ჟურნალისტიკას შევეშვათ, დოგმები ნავის ყუთში გადავყაროთ (რადგან დოგმა ნავავია და სხვა არაფერი) და სპორტულ მედიაზე შევჩერდეთ.

ძირითადად მინუსებზე მოგვინებს საუბარი, თუმცა ამ საუბრის მიზანი არაა ნაკლოვანებებზე ქილიკი, არამედ მათი გამოსწორების, პლუსად გადაქცევის გზების მოძებნაა, რადგან როდესაც იცი, სადაა პრობლემა და რაში მდგომარეობს, მაშინ მისი გამოსწორებაც უფრო ადვილია.

ჩვენი ბექდელით მედიის უმთავრესი პრობლემა კონკურენციის საზარლად დაბალი დონეა. და სადაც ეს დონე დაბალია, ხარისხიც, ბუნებრივია, არაფრად ვარგა. საქართველოში რამდენიმე სპორტული გაზეთი გამოდის, აქედან ნაწილი ტოტალიზატორებზეა აწყობილი, ნაწილი რისთვის გამოიცემა, კაცოშვილმა არ იცის და ორი-სამი გაზეთიც ნამდვილი გაზეთობისთვის იბრძვის.

დაახლოებით ათი წლის წინ ქართული სპორტული პრესა ყოველდღიურად ვითარდებოდა და ერთი თავით მაღლა იდგა სხვა პროფილის გაზეთებზე. სწორედ მაშინ ნამოვიდა სპორტულ ჟურნალისტთა მართლაც ოქროს თაობა, ძირითადად უმაღლესი კლასის პუბლიცისტები, რომლებზეც მსოფლიოს არც ერთი ნამყვანი გამოცემა არ იტყოდა უარს. მიხარია, რომ ამ ადამიანებთან ერთად მუშაობამ მომიწია და მათგან ძალიან ბევრი ვისწავლე. თუმცა გავიდა წლები და ამ ხალხს არავინ შემატებია, რაც კატასტროფაა და სხვა არაფერი.

საიდან უნდა მოვიდეს ახალი თაობა? ჟურნალისტიკის ფაკულტეტიდან? სასაცილოა. ქუჩიდან? იქ კუშები მეფობენ. იქნებ არც არავის სჭირდება განახლება? თუ ასეა, მაშინ ეს კატასტროფაზე უარესია.

უკონკურენტო სივრცეში პროფესიონალიზმი იმპოტენტდება - სხვა არავინ წერს და ამიტომ შენ, პირობითად ერთადერთს, შეგიძლია წერო რაც გავიხარდება, საერთოდ არ დახარჯო ენერგია, საერთოდ არ იფიქრო ხვალ უკეთესის დაწერაზე. რომელ განვითარებაზეა ამ დროს ლაპარაკი?

რომელ განვითარებაზეა ლაპარაკი, როცა გაზეთში ერთი ჟურნალისტი ავსებს ოთხ გვერდს? სულ რომ გენიოსი იყოს, ხო ამოიწურება ერთ კვირაში. როცა წერილის ბოლოს ავტორის გვარს დახედავ და უკვე იცი, რა მიმართულებით უბერავს ქარი სტატიაში. როცა ადამიანი წერს ვრცელ რეპორტაჟს მოვლენაზე, რომელსაც საერთოდ არ დასწრება და ვიღაცამ უამბო ორი სიტყვით. როცა ჟურნალისტი მეგობრობის, ნაცნობობის, დამატებითი შემოსავლის ხაზით უბრალოდ ტყუილბს წერს. როცა ადამიანის ნაწერში გრძნობ ბოლმას და ზიზღს. როცა წლების განმავლობაში ერთსა და იმავე თემებზე ინერება და ინერება ერთი და იმავე. როცა რეპორტიორების უმეტესობას ინტელექტის, ქართული ენისა და სპორტის ცოდნის, მისი სიყვარულის ნიშანწყალიც არ ეტყობა. როცა მწერალი ჟურნალისტი იღებს ხელფასს, რომელიც ადამიანის შეურაცხყოფაა და სხვა არაფერი.

დიახ, არაადეკვატური ანაზღაურება აქ ცენტრალური მომენტი, მაგრამ მეორე მხრიდან რომ შეხედო, რა ვითარებაა იქ, სადაც ფინანსურად გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, ანუ სპორტულ ტელეჟურნალისტიკაში? ათასჯერ მძიმე! ეს სფერო კარგა ხანია სამარცხვინო ზღვარს ჩასცდა. თუ ქართულ პუბლიცისტიკაში ის ძველი ოქროს თაობა მაინცაა შემორჩენილი, ტელევიზორცეში მსგავსი არც არასდროს არსებობდა და თუ ასე გაგრძელდა, არც არასდროს იარსებებს.

გამოსავალი? უპირველესად, საქმის სიყვარული და არა სიძულვილი, სიზარმაცე. ასევე ობიექტურობა, პატიოსნება და პროფესიონალიზმის დონის ამაღლებაზე ზრუნვა. უამისოდ არც ხელფასი გაიზრდება, არც ხარისხი და არც მომხმარებლის გემოვნება და მოთხოვნილება. ეოდა, გვექნება ის, რაც დღეს გვაქვს - მედიუმ მადია.

მომავალ სამუშაოთაშორის

ზეიმი ნაადრევია

მოსკოვის "ლოკომოტივის" ქართველმა მცველმა მალხაზ ასათიანმა "რუბინის" დამარცხების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა:

ჩემპიონობის შანსი აქვს იმ ზუთ გუნდს, რომლე-ბიც ახლა სატურნირო ცხრილის სათავეში არიან. დღეს უჩვეულო დღე იყო. "ლოკომოტივს" ცსკას, "სპარტაკის" და "ზენიტის" ფანებიც ქომაგობდნენ. ჩვენ შევძელით "რუბინის" შეჩერება და ჩემპიონატს ინტრიგა შევძინეთ. უკვე მოგვებზრდა მედლებისა და ევროტურნირების გარეშე დარჩენა. "ლოკომოტივი" ძლიერი გუნდია და ფეხზეც დავდექით. თუმცა, ჯერ ზეიმის დრო არ არის. წინ კიდევ არაერთი მნიშვნე-ლოვანი მატჩი გველის".

სანაკრებო სამზადისი

10 და 14 ოქტომბერს 2010 წლის მსოფლიო ჩემპი-ონატის შესარჩევი ციკლის მატჩები გაიმართება. მი-უხედავად იმისა, რომ ინგლისისა და იტალიის ნაკრებ გუნდებს ფაქტობრივად განაღდებული აქვთ საკუ-თარ ჯგუფებში პირველი ადგილები და მუნდიალის ფინალური ეტაპის საგზურები, მათი თამაში მაინც დიდ ინტერესს იწვევს. გუშინ ცნობილი გახდა, თუ ვის უხმეს ნაკრების რიგებში ინგლისელთა თავკაცმა ფა-ბიო კაპელომ და "სკუადრა აძურას" მწვრთნელმა მარჩელო ლიპომ.

იტალიის ნაკრებში განსაკუთრებული ცვლილება არ არის, თუმცა, ანტონიო კასანო ისევ ვერ მოხვდა ლიბის სიაში, მიუხედავად იმისა, რომ თვეზე მეტია იხვეწება, ნაკრებში ამიყვანეთო.

რაც შეეხება ინგლისის ნაკრებს, აშკარაა, რომ კა-პელო ესპერიმენტებს აღარ მიმართავს და გუნდში თითქმის აღარაფერს ცვლის.

იტალია:

მეკარეები: ჯიჯი ბუფონი (იუვენტუსი), მორგან დი სანქტისი (ნაპოლი), ფედერიკო მარჩეტი (კალია-რი)

მცველები: ფაბიო კანავარო (იუვენტუსი), ჯორ-ჯო კიელინი (იუვენტუსი), სალვატორე ბოჩეტი (ჯე-ნოა), ალესანდრო გამბარინი (ფიორენტინა), ფაბიო გროსო (იუვენტუსი), ნიკოლა ლეგროტალიე (იუვენ-ტუსი), დავიდე სანტონი (ინტერი), ჯანლუკა ძამბრო-ტა (მილანი)

ნახევარმცველები: მაურო კამორანეზი (იუვენ-ტუსი), გაეტანო დავოსტინო (იუვენტუსი), დანიელე დე როსი (რომა), ჯენარო გატუზო (მილანი), კლაუ-დიო მარკიზიო (იუვენტუსი), ანჯელო პალომბო (სამ-პდორია), სიმონე პეპე (უდინეზე), ანდრეა პირლო (მი-ლანი)

თავდამსხმელები: ანტონიო დი ნატალე (უდინე-ზე), ალბერტო ჯილარდინო (ფიორენტინა), ფაბიო კვალიარელა (ნაპოლი), ჯუზეპე როსი (ვილიარეალი)

ინგლისი

მეკარეები: რობერტ გრინი (ვესტ ჰემი), დევიდ ჯეიმსი (პორტსმუთი), პოლ რობინსონი (ბლექბერნი)

მცველები: უეინ ბრიჯი (სიტი), ვეს ბრაუნი (მან-ჩესტერი), ეშლი კოული (ჩელსი), რიო ფერდინანდი (მანჩესტერი), გლენ ჯონსონი (ლივერპული), ჯოლე-ონ ლესკოტი (სიტი), ჯონ ტერი (ჩელსი), მეტიუ ასპო-ნი (ვესტ ჰემი)

ნახევარმცველები: გარეტ ბერი (სიტი), დევიდ ბექჰემი (ლოს ანჯელესი), მაიკლ კარიკი (მანჩესტე-რი), სტივენ ჯერარდი (ლივერპული), ფრენკ ლამპარ-დი (ჩელსი), აარონ ლენინი (ტოტენჰემი), ჯეიმს მილ-ნერი (ასტონ ვილა), შონ რაით ფილიპსი (სიტი), ეშლი იანგი (ასტონ ვილა)

თავდამსხმელები: გაბრიელ აბგონლაჰორი (ას-ტონ ვილა), კარლტონ კოული (ვესტ ჰემი), პეტერ კრაუჩი (პორტსმუთი), ემილ ჰესკი (ასტონ ვილა), უეინ რუნი (მანჩესტერი).

კრუიფს მესის კონტრაქტი არ მოეწონა

"ბარსელონას" ჰოლანდიელი ლეგენდა იოჰან კრუიფი აცხადებს, რომ კლუბის მხრიდან არასწორი იყო მესისთან ასეთი გრძელვადიანი კონტრაქტის გა-ფორმება. ახალი კონტრაქტის თანახმად, არგენტინე-ლი კატალონიურ კლუბში 2016 წლამდე დარჩება. კლუბს, რომელსაც კონტრაქტის გამოსყიდვის სურ-ვილი გაუჩნდება, 250 მილიონი ევროს გადახდა მოუ-წევს. თავად მესი კი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად იქცა. ამ პუნქ-ტებიდან კრუიფს მხოლოდ კონტრაქტის ხანგრძლი-ვობა არ მოსწონს.

"მე არ ვარ გრძელვადიანი კონტრაქტების მომხ-რე. მესის ახალი კონტრაქტი კი სწორედ ასეთია. არა-ფერია იმაში ცუდი, რომ კლუბს წამყვანი ფეხბურთე-ლის შენარჩუნება სურს, თუმცა, 2016 წლამდე კონტ-რაქტის გაგრძელება უაზრობად მეჩვენება. საქმე ის არის, რომ ამით გარკვეულწილად ფეხბურთელს ვუ-კარგავთ მოტივაციას. მოთამაშე სულ უნდა ცდი-ლობდეს სათამაშო დონის აწევას, რათა კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივოს. რა დაშავდება, თუ ფეხბურთელს, დავუშვავთ, სამწლიან კონტრაქტს გა-უფორმებ და ერთი წლის შემდეგ ამ კონტრაქტს ერთი სეზონით გაახანგრძლივებ. ასეთ ვითარებაში ფეხ-ბურთელი ყოველთვის მოტივირებულია", - აცხადებს კრუიფი.

ერთი ჩვეულებრივი ტური ქართული ლეგიონისტვის



მაგათმა ყენია ამჭერადაც ძირითადში ათამაშა

გასული უქმეები უცხოეთში მოთამაშე ქართველი ფეხბურ-თელებისთვის არაფრით არ იყო გამორჩეული. საუკეთესო ლი-გებში მოთამაშე ქართველებმა ვერაფრით გამოიჩინეს თავი. მოკლედ, შაბათ-კვირას ქარ-თველებმა და მათმა კლუბებმა ერთი ჩვეულებრივი ტურის მატჩები გამართეს. თუმცა, ჩვენთვის ეს მატჩები იმით არის საინტერესო, რომ გავიგოთ, როგორ ფორმაში არიან საქარ-თველოს ნაკრების ფეხბურთე-ლები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩების წინ, რომელსაც კუპერის გუნდი უახლოეს დღეებში გამართავს.

ლევან ყენიამ დამიკვიდრა ადგილი "შალკეს" ძირითადში. სამაგიეროდ კობიაშვილს მაგა-თი სასტარტოში აღარ აყენებს. ტრავმა საბოლოოდ მოიშუშა ლევან მჭედლიძემ, თუმცა, ამ ტურში ქართველ ფორვარდს მინდორზე გასვლის საშუალება არ მიეცა.

გერმანიის ბუნდესლიგის მე-8 ტური "შალკესა" და "ინტ-რახტის" მატჩით გაიხსნა. ლე-ვან ყენიამ გელზენკირხენელთა სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა, თუმცა, მატჩის დამ-თავრება არც ამჯერად დას-ცალდა. ფრილქს მაგათმა ახალ-გაზრდა ქართველი ფეხბურთე-ლი 58-ე წუთზე შეცვალა. ამ გა-დანწყვეტილებამ გააძაბოთლა, რადგან ლევანის ნაცვლად გა-მოსულმა ჯერალდ ასამოამ 66-ე წუთზე გახსნა ანგარიში. მატ-ჩის საბოლოო ანგარიში - 2:0 ჯეფერსონ ფარფანმა დააფიქ-სირა.

მატჩის არბიტრმა მიხაელ კემპტერმა ფეხბურთელებს 9 ყვითელი ბარათი უჩვენა, რო-მელთაგან ორი "ინტრახტის" ნევრმა შევგლერმა მიიღო და 85-ე წუთზე გაძევებულ იქნა.

დამარცხდა დავით თარგა-მაძის "ფრაიბურგი". "ჰანოვერ-

მა" ქართველი ნახევარმცვე-ლის გარეშე მოთამაშე "ფრაის" 5:2 მოუგო.

მორიგი ტურის მატჩები გა-იმართა მეორე ბუნდესლიგაში. ოთარ ხიზანეიშვილი გარეშე მოთამაშე "აუსგებურგი" "პა-დერბორნს" დაუზავდა. შეხ-ვედრა ფრედ - 2:2 დასრულდა.

მინდორზე არ გამოსულა მათე ლვინიანიძე, რომლის "მი-უნხენ 1860" "ზანქტ პაულის" ესტუმრა და 1:3 დამარცხდა.

გერმანიიდან რუსეთში გა-დავინაცვლოთ, სადაც ლაშა სა-ლუქვაძემ კი გაიტანა გოლი, მაგრამ ქართველი მცველის გოლმა რუსეთის ჩემპიონატის ლიდერ "რუბინს" მალხაზ ასა-თიანის "ლოკომოტივთან" მატ-ჩში ვერაფერი უშველა. რკინიგ-ზელებმა 2:1 გაიმარჯვეს.

სალუქვაძემ 90 წუთს ითამა-შა, ხოლო ნუკრი რევიშვილი და დავით კვირკველია "რუბინის" სათადარიგოთა სკამიდან არ წა-მომდგარან. რკინიგზელთა მაი-სურით მალხაზ ასათიანი შეუც-ვლელად გაისარჯა, დავით მუ-ჯირი კი, უკვე მერამდენე მატ-ჩია, რკინიგზელთა განაცხადში ვერ ხვდება. როგორც ჩანს, ასა-თიანმა, "ლოკომოტივში" დაბ-რუნებასთან ერთად, ჩვეული ფორმაც აღიდგინა, რკინიგზუ-ლი კლუბის ლიდერის ფუნქციე-ბიც დაიბრუნა და ყოველ თამაშ-ში ბრწყინვალედ ირჯება.

"რუბინს" მხოლოდ ქულის ჩამორჩევა მოსკოვის "სპარტა-კი", რომელმაც პერმში "ამ-კარს" 2:1 სძლია. მოსკოველთა ახალგაზრდა ქართველი ლეგი-ონერი ჯანო ანანიძე, რომელ-საც თავის დროზე რუსეთის ნაკრებში უპირებდნენ გადაბი-რებას, ძირითადი გუნდის გა-ნაცხადში არ ყოფილა. ამის მი-ზეზი ის არის, რომ წინა დღეს მან "სპარტაკის" დუბლშემად-გენლობაში ითამაშა და "ამკა-რის" კარიც დალაშქრა, თუმცა,

"სპარტაკმა" მატჩი 1:2 წააგო.

"ხიმკისთან" მატჩში 2:1 გაი-მარჯვა გოგიტა გოგუასა და ლევან გვაზავას "ტერეკმა". ქართველთაგან სტუმართა გა-ნაცხადში მოხვდა მხოლოდ გო-გუა, რომელმაც მატჩი სათადა-რიგოთა სკამზე დაიწყო და მო-ედანზე 67-ე წუთზე შევიდა.

მნიშვნელოვანი ქულა მოი-პოვა ალექსანდრე ამისულაშვი-ლისა და დავით სირაძის "სპარ-ტაკ ნალჩიკმა", რომელიც "კრილია სოვეტოვს" უგოლოდ დაუზავდა. ამისულაშვილმა შე-უცვლელად ითამაშა, სირაძე კი განაცხადში ვერ მოხვდა. ნალ-ჩიკელები გადარჩენისთვის იბ-რძვიან და სტუმრად ძლიერ კლუბთან ალბულის ქულა ახლა ოქროდ ფასობს.

როგორც ჩანს, კარგად ჩაე-წერა "ნიუკასლში" ზურაბ ხიზა-ნიშვილი - რაც "კაჭკაჭების" შემადგენლობაში ქართველი მცველი გამოჩნდა, ჯორდებს გოლი არ გაუშვიათ. ხიზანიშ-ვილმა "ნიუკასლის" შემადგენ-ლობაში მესამე მატჩი ჩაატარა და კლუბს დაუმარცხებელი სე-რიის გაგრძელებაში დაეხმარა. "ნიუკასლი" "ბრისტოლ სიტის" მასპინძლობდა. მართალია, კა-რი მშრალად შეინახა, მაგრამ გოლი არც თვითონ გაუტანია. ქართველი მცველი ძირითად შემადგენლობაში იყო და მოე-დანზე 90 წუთი დაჰყო.

იტალიაში კი ისევ ჯახი-რობს კახა კალაძის "მილანი". ამჯერად "როსონერი" "ატა-ლანტასთან" მატჩში მარცხს გადაურჩა. ანგარიში ბერგამო-ელებმა გახსნეს. მატჩის მიწუ-რულს "მილანმა" რონალდინი-ოს გოლით ქულა გადაარჩინა. ბერგამოელები პირველი ტაი-მის შემდეგ კაცნაკლული თამა-შობდნენ. რაც შეეხება კალა-ძეს, ის სათადარიგოთა სკამი-დან ადევნებდა თვალს თანა-გუნდელთა თამაშს. სათადარი-

გოთა სკამზე დარჩა ლევან მჭედლიძეც, რომლის "პალერ-მომ" საკუთარ მოედანზე "იუვენტუსი" დაამარცხა.

საფრანგეთის ჩემპიონატში "სოშოსთან" გასვლით მატჩში 0:1 წააგო გიორგი მაკარიძის "ლე მანმა". "სტად ბონალზე" გამართულ მატჩს 11 ათასამდე ქომაგი დაესწრო, ქართველი მეკარე კი გაბონელი დიდი ოვონოს სათადარიგო იყო და სკამიდან არ წამომდგარა.

ავსტრიულ ბუნდესლიგაში მეორე ადგილი დათმო ილია კანდელაკის "შტურმმა". გრა-ცელები ერთ-ერთ აუტსაიდერს - "კაპფენბერგს" უგოლოდ გაე-ყარნენ და 17 ქულით მესამე სა-ფეხურამდე დაქვეითდნენ. ქარ-თველი მცველი ტრადიციულად 90 წუთს გაისარჯა.

ჩეხეთის ჩემპიონატში დი-მიტრი ტატანაშვილის "კლა-დონმა" გასვლით მაჩტში ნუ-ლოვანი ფრე ითამაშა. ქართვე-ლი ფორვარდი მინდორზე 90 წუთს გაისარჯა.

გიორგი ფოფხაძის "ვიბორ-გმა" დანიის ჩემპიონატში პირ-ველი დივიზიონის ერთ-ერთ ლიდერთან - "ჰორსენსთან" გასვლით მატჩი მოიგო. ქარ-თველმა 90 წუთს ითამაშა.

მაკაბის "ჰაიფას" ქართველ-მა თავდამსხმელმა ვლადიმერ დვალისშვილმა ისრაელის ჩემპი-ონატში ჩატარებულ მეხუთე მატჩში მესამე გოლი გაიტანა და თავის გუნდს ასპროცენტიან შედეგის შენარჩუნებაში და-ეხმარა.

უკრაინის ჩემპიონატში "ზა-კარპატესთან" საშინაო მატჩ-ში მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გატანილი გოლის წყალობით 1:0 გაიმარჯვა სან-დრო გურულის "კარპატიმ". ქართველი ფორვარდი 75-ე წუთზე შეცვალეს, ლვოველები კი 15 ქულით მე-6 ადგილამდე აღზედნენ.



AFP © 2009

მის საქართველო 2009 MISS GEORGIA



იმიჯ-ცენტრი იწვევს 17-25 წლამდე ასაკის გოგონებს მის საქართველო 2009 -ში მონაწილეობის მისაღებად.

გახდი მის საქართველო!

მოიგებ მთავარი პრიზი ახალი ავტომობილი სუზუკი სელერიო და გაემგზავრებთ სილაგაზის საერთაშორისო კონკურსებზე.

მის საქართველო 2009, ფინალური შოუ, გათუმი 11 ოქტომბერი

დასწრების მსურველები დაგვიკავშირდით:

თბილისი ნიკო ნიკოლაძის ქ.6, ტელ.: 98 51 48, 20 00 20, 855 95 90 25

www.missgeorgia.ge www.imagecentre.ge



ფრენბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე კონტინენტის საუკეთესო გუნდებს შორის საუკეთესოს სახელი მოიპოვა იტალიის ქალთა ნაკრებმა, რომელმაც სამ სეტში პოლანდიელებს 3:0 (25:16, 25:19, 25:20) სძლია.

ბრინჯაოს მედლები დარჩათ ჩემპიონატის მასპინძლებს - პოლონელებს, რომლებმაც, თავის მხრივ, გერმანელებს 3:0 მოუგეს.

დასრულებულ ფინალს თან ახლდა ჩვეული გამარჯვების ყიფინა. ამ შემთხვევაში იტალიელების ხმამ დარბაზიც გადაფარა. ბუნებრივია, აპენინელებმა ფრენბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედლები დაიმსახურეს.

თვალის მიკროქირურგიის

ჯავრიშვილის

კლინიკა

"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი

მოქრავი საოპერაციო ბლოკით ბლოკით

ს ი ა ხ ლ ე !

მნიშვნელოვანი **ფასდაკლება**

კატარაქტის ოპერაციაზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

ბეტონშემრევი:
BMC PRO 935 FTE 8X4

ტექნიკის ტიპი: ბეტონშემრევი
მწარმოებელი: BMC
მოდელი: BMC PRO 935 FTE
მოცულობა: 10 მ.3
ძრავი: Cummins C 350-20
(Euro2) Turbo Intercooler
სიმძლავრე: 350 ცხ.ძ.
გადაცემათა კოლოფი: ZF 16 S
ბეტონშემრევი დანადგარი: LIEBHERR
გარანტია: 1 წელი
მიწოდების ვადა: 1 დღე

მიწოდების ვადა
1 დღე



ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
☎ 24-47-44, 📠 24-47-44 (1219)

TEGETA TRUCK & BUS LTD

ბანცხადება ღია კონკურსის
ჩატარების შესახებ

საქართველო
ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტი
კრედიტი N3702GE
საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი
ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტის ფარგლებში **აბრძოლვას საპუტის მიღებას** 2009 წლის 2 სექტემბერს გამოცხადებულ კონკურსზე და იწვევს დაინტერესებულ კვალიფიციურ ადგილობრივ ფირმებს ინტერესის გამოსახატავად შემდეგი დავალების განსახორციელებლად:
ოჯახის ექიმების ტრენინგი ბულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებსა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტებში (პროტოკოლები)
დავალების მიზანი არის “კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს” მიერ დამტკიცებული ოთხი კარდიოლოგიური კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინისა და პროტოკოლის წარდგენა და დანერგვა, რაც ემსახურება არა მარტო სამიზნე ჯგუფების ცოდნის ამაღლებას, არამედ ოჯახის ექიმების პროფესიულ განვითარებას.
სამუშაოს ამოცანებია:
შერჩეულმა ფირმამ უნდა განახორციელოს 3 - 4 დღიანი ტრენინგი ოჯახის ექიმებისათვის. თითოეულ ჯგუფში იქნება საშუალოდ 25 ექიმი. ტრენინგი უნდა ჩატარდეს შემდეგ გაიდლაინებში:
1. არტერიული ჰიპერტენზია;
1.1. არტერიული ჰიპერტენზიის დიაგნოსტიკა და მართვა;
1.2. ჰიპერტენზია: გადაუდებელი მდგომარეობის მართვა
2. თანდაყოლილი გულის უკმარისობა
3. ტკივილი გულ-მკერდის არეში.
3.1. ტკივილის მართვა პირველადი ჯანდაცვის დონეზე;
3.2. ამბულატორიული მოვლა.
4. გულის იშემიური დაავადებები: სტაბილური სტენოკარდია და მიოკარდიუმის ინფარქტი.
სამუშაოს ხანგრძლივობა და ადგილი:
ტრენინგი ჩატარდება თბილისში. ტრენინგის დაწყების სავარაუდო თარიღია 2009 წლის 16 ნოემბერი. დავალების მოსალოდნელი ხანგრძლივობაა 4 - 5 თვე და დამოკიდებულია მონაწილე ექიმების რაოდენობაზე. სულ გადასამზადებელია 448 ექიმი: 72 ექიმი იმერეთის რეგიონიდან, 59 ექიმი აჭარაიდან, 82 ექიმი შიდა ქართლიდან, 60 ექიმი გურიაიდან და 175 ექიმი თბილისიდან. თუმცა ექიმების დაკავებულობიდან გამომდინარე მოსალოდნელია გადასამზადებელი ექიმების რაოდენობა სავარაუდოდ არის 400. იმის გამო რომ მონაწილეთა რაოდენობა ამ ეტაპზე დაზუსტებული არ არის შესწორებები მოსალოდნელია კონტრაქტის ხელმოწერის დროს.
სამუშაო მოიცავს შემდეგ აქტივობებს:
- ტრენინგის ჩატარება 400 ექიმისათვის;
- სწავლებისათვის საჭირო გარემოს შექმნა, სასწავლო მასალითა შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფა, (გაიდლაინები წიგნის სახით დაიბეჭდება ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტის ფარგლებში);
- საჭირო კლინიკური მასალითა და თვალსაჩინოებებით უზრუნველყოფა;
- ყოველდღიური დასწრების მონიტორინგი და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა;
- შეფასების სისტემის შემუშავება ექიმების საბოლოო შეფასებისათვის;
- ექიმების შეფასება კურსის ბოლოს;
- მიმდინარე და საბოლოო ანგარიშის მომზადება და წარდგენა საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრისათვის;
საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
- გაიდლაინების ტრენინგის ჩატარების გამოცდილება;
- სასურველია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გაიდლაინების შემუშავებაში მონაწილეობა;
- ტრენინგისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის შესაძლებლობა;
- საჭირო რაოდენობით კვალიფიციური და გამოცდილი (შესაბამისი კლინიკური პრაქტიკა და ტრენინგების ჩატარების გამოცდილება) ტრენერებით უზრუნველყოფა.
ტრენინგის ფინანსურ მხარდაჭერას და მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტის ფარგლებში.
საკონსულტაციო ფირმა შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს მიხედვით: “დაქირავებულ კონსულტანტთა შერჩევა და სამუშაოზე აყვანა მსოფლიო ბანკისგან მსესხებლების მიერ”, 2004 წელი (შესწორებულია - 2006 წელს). “შერჩევა საკონსულტაციო ფირმის ფასზე დაყრდნობით”.
გთხოვთ, ინტერესის შემთხვევაში გამოგვეხმაუროთ წერილობით. ინტერესის გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს:
1. მოკლე ინფორმაცია თქვენ ფირმაზე;
2. მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი;
3. ინფორმაცია ტრენერების შესახებ (კვალიფიკაციისა და გამოცდილების აღწერილობა - CV).
4. ინფორმაცია ტრენინგისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის შესაძლებლობის შესახებ.
ინტერესის წერილები უნდა წარმოადგინოთ 2009 წლის 15 ოქტომბრის 17 სთ-მდე შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი
ტელ/ფაქსი: +995 (32) 388210, 388220,
საკონტაქტო პირი: იანა სამხარაძე, შესყიდვების კოორდინატორი



“საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 08 სექტემბრის N742 ბრძანებით შპს “პირველ სამედიცინო სასწავლებელს” უარი ეთქვა სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე.”

ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს II განყოფილება აფრთხილებს მოქ. მალხაზ ცხონდიას, მცხოვრებს: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. კორპ. I, ბინა №58, რომ ხუთი დღის ვადაში გამოანთავისუფლოს თავის თანმხლებ პირებთან ერთად მოქ. ნათელა ბოჭორიშვილის საკუთრებაში არსებული ბინა, მდებარე აკ. წერეთლის გამზ. კორპ. I, ბინა №58.

⊕

CMYB

⊕

ბანცხადება ღია კონკურსის ჩატარების შესახებ

საქართველო

ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტი
კრედიტი N3702GE

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტის ფარგლებში **აზრქელას საპუთიანის მიღებას** 2009 წლის 2 სექტემბერს გამოცხადებულ კონკურსზე და ინვეს და-ინტერესებულ კვალიფიცირებულ ადგილობრივ ფირმებს ინტერესის გამოსახატავად შემდეგი დავალების განსახორციელებლად:

ოჯახის ექიმების ტრენინგი სასწენთი სისტემის დაავადებების კლინიკური პრაქტიკის ეროვნულ რეკომენდაციებსა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტებში (პროტოკოლები)

დავალების მიზანი არის “კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს” მიერ დამტკიცებული ოთხი კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინისა და პროტოკოლის წარდგენა და დანერგვა, რაც ემსახურება არა მარტო სამიზნე ჯგუფების ცოდნის ამაღლებას, არამედ ოჯახის ექიმების პროფესიულ განვითარებას.

სამუშაოს ამოცანება:

შერჩეულმა ფირმამ უნდა განახორციელოს 2 - 3 დღიანი ტრენინგი ოჯახის ექიმებისათვის. თითოეულ ჯგუფში იქნება საშუალოდ 25 ექიმი.

ტრენინგი უნდა ჩატარდეს შემდეგ გაიდლაინებში:

- მწვავე რესპირატორული ინფექცია;
- მწვავე ბრონქიტი;
- მწვავე პნევმონია;
- ქრონიკული ხველა

სამუშაოს ხანგრძლივობა და ადგილი:

ტრენინგი ჩატარდება თბილისში. თრენინგის დაწყების სავარაუდო თარიღია 2009 წლის 16 ნოემბერი. დავალების მოსალოდნელი ხანგრძლივობაა 4 - 5 თვე და დამოკიდებულია მონაწილე ექიმების რაოდენობაზე. სულ გადასამზადებელია 448 ექიმი: 72 ექიმი იმერეთის რეგიონიდან, 59 ექიმი აჭარიდან, 82 ექიმი შიდა ქართლიდან, 60 ექიმი გურიიდან და 175 ექიმი თბილისიდან. თუმცა ექიმების დაკავებულობიდან გამომდინარე მოსალოდნელი გადასამზადებელი ექიმების რაოდენობა სავარაუდოდ არის 400. იმის გამო რომ მონაწილეთა რაოდენობა ამ ეტაპზე დაზუსტებული არ არის შესწორებები მოსალოდნელია კონტრაქტის ხელმოწერის დროს.

სამუშაო მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

შპს “ბარამბო” აცხადებს კონკურსს სადისტრიბუციო კომპანიების შესარჩევად მის მიერ ნაწარმოები პროდუქციის რეალიზაციისთვის.

შპს “ბარამბო” (შემდგომში “კომპანია”) არის ახლადშექმნილი კომპანია, რომელიც აშენებს საკონდიტრო ქარხანას მცხეთის რაიონის სოფელ ნატახტარში, სადაც გათვალისწინებულია შოკოლადის და კარამელის ნაწარმის გამოშვება. მშენებლობის და ყველა სახის სამონტაჟო სამუშაოების დასრულება დაგეგმილია მიმდინარე წლის ნოემბერში, ხოლო დეკემბრის ბოლოდან დაიწყება პროდუქციის საცალო სავაჭრო ქსელში განთავსება და რეალიზაციის დაწყება.

დისტრიბუციის მიზნებისთვის საქართველოს ტერიტორია დაყოფილი გვაქვს 11 ზონად, შესაბამისად დისტრიბუტორობის მაძიებელ ერთ და იგივე კომპანიას შეუძლია წარადგინოს განაცხადი მხოლოდ ერთ ზონაზე:

- თბილისის მარცხენა მხარე
- თბილისის მარჯვენა მხარე
- კახეთი: მთლიანად კახეთის რეგიონი საგარეჯოს რაიონის გარდა.
- ქვემო ქართლი: მთლიანად ქვემო ქართლი საგარეჯოს რაიონის დამატებით

- ტრენინგის ჩატარება 400 ექიმისათვის;
- სწავლებისათვის საჭირო გარემოს შექმნა, სასწავლო მასალითა და შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფა, (გაიდლაინები წიგნის სახით დაიბეჭდება ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტის ფარგლებში);
- საჭირო კლინიკური მასალითა და თვალსაჩინოებებით უზრუნველყოფა;
- ყოველდღიური დასწრების მონიტორინგი და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა;
- შეფასების სისტემის შემუშავება ექიმების საბოლოო შეფასებისათვის;
- ექიმების შეფასება კურსის ბოლოს;
- მიმდინარე და საბოლოო ანგარიშის მომზადება და წარდგენა საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრისათვის.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- გაიდნლაინების ტრენინგის ჩატარების გამოცდილება;
- სასურველია სასუნთქი სისტემის დაავადებების გაიდლაინების შემუშავებაში მონაწილეობა;
- ტრენინგისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის შესაძლებლობა;
- საჭირო რაოდენობით კვალიფიციური და გამოცდილი (შესაბამისი კლინიკური პრაქტიკა და ტრენინგების ჩატარების გამოცდილება) ტრენერებით უზრუნველყოფა.

ტრენინგის ფინანსურ მხარდაჭერას და მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტის ფარგლებში.

საკონსულტაციო ფირმა შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს მიხედვით: “დაქირავებულ კონსულტანტთა შერჩევა და სამუშაოზე აყვანა მსოფლიო ბანკისგან მსესხებლების მიერ”, 2004 წელი (შესწორებულია - 2006 წელს). შესყიდვის მეთოდი - “შერჩევა საკონსულტაციო ფირმის ფასზე დაყრდნობით”.

გთხოვთ, ინტერესის შემთხვევაში გამოგვეხმაუროთ წერილობით. ინტერესის გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს:

- მოკლე ინფორმაცია თქვენს ფირმაზე;**
- მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი;**
- ინფორმაცია ტრენერების შესახებ (კვალიფიკაციისა და გამოცდილების აღწერილობა - CV).**
- ინფორმაცია ტრენინგისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის შესაძლებლობის შესახებ.**

ინტერესის წერილები უნდა წარმოადგინოთ **2009 წლის 15 ოქტომბრის 17 სთ-მდე** შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

ტელ/ფაქსი: +995 (32) 388210, 388220,

საკონტაქტო პირი: იანა სამხარაძე, შესყიდვების კოორდინატორი

- მცხეთა-თიანეთი და შიდა ქართლი (გორის რ-ნი, კასპის რ-ნი)
- ჭიათურის რ-ნი, ხაშურის რაიონი, ქარელის რაიონი, საჩხერის რ-ნი, ბორჯომის რაიონი
- სამცხე-ჯავახეთი: სამცხე-ჯავახეთის რეგიონი ბორჯომის რაიონის გამოკლებით
- იმერეთი: იმერეთის რეგიონი საჩხერის და ჭიათურის გამოკლებით. რაჭა-ლეჩხუმი: მთლიანად რეგიონი
- სამეგრელო: სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი ფოთის გარდა.
- ფოთი-გურია: ქ. ფოთი, გურიის რეგიონი.
- აჭარა: მთლიანად აჭარის რეგიონი.

მაძიებელმა კომპანიამ უნდა წარმოადგინოს წერილობითი განაცხადი “ბარამბო”-ს ნაწარმის დისტრუბუციის სურვილის თაობაზე, სადაც მითითებული იქნება, თუ რომელ რეგიონში აქვს მაძიებელს დისტრიბუციის სურვილი.

განაცხადები წარმოდგენილი უნდა იყოს **მიმდინარე წლის 20 ოქტომბრამდე** შემდეგ მისამართზე: მცხეთის რაიონი, სოფელი ნატახტარი, შპს “ბარამბო”.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ნომერზე +(995 99) 265105 , ან ელექტრონული ფოსტით: davit.kukhalashvili@barambo.ge

2 ოქტომბერი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი “დავების განმხილველი ცენტრი”

DRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

5 ოქტომბერი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი “დავების განმხილველი ცენტრი”

DRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი “რესპუბლიკა”-ს საარბიტ-

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი “რესპუბლიკა”-ს საარბიტრაჟო პრეტენზია გურამ დუმბაძის, იოსებ ქათამაძისა და ემზარ შარაბიძის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **1 495.3 ლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 19 ოქტომბერს 14:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ “დავების განმხილველი ცენტრში” შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხეები გურამ დუმბაძე, მცხ: ოზურგეთი, დ.ლათურის, იოსებ ქათამაძე, მცხ: ხელვაჩაურის რაიონი სოფ.მასაური და ემზარ შარაბიძე, მცხ: ხელვაჩაური, შარაბიძეები.

რაჟო პრეტენზია გიორგი შუბაშვილის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **8 741.76 ლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 15 ოქტომბერს 13:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ “დავების განმხილველი ცენტრში” შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე გიორგი შუბაშვილი, მცხ: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის N141; ალტ.მის: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას II კვ., 16, ბინა N23;

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სამეპ-ი) 6 ოქტომბერს ხელახლა აცხადებს ტენდერს მცირე მოცულობის ავტოზუსის შეძენაზე და მასში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

- დაინტერესებულმა პირებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ხაზინის ერთიანი ანგარიში №200 122 900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220 101 222, სახაზინო კოდი №302 003 174, მიუთითონ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რის შემდეგაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია შემდეგ მისამართზე: ქ.ქუთაისი, ჩეჩელაშვილის №26, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო.
- შესყიდვის ობიექტი:

ლოტი №	საქონლის დასახელება	განსაკუთრებული თავისებურება	მოც. ერთეული	რაო-დენობა
1	მცირე მოცულობის ავტობუსი	არანაკლებ 2008 წლის მოდელი, ძრავის მოცულობა არანაკლებ 4000 მ ³ , არანაკლებ 125 ცხენის ძალა, საჭის პიდრავლიკა, ავტომატური ცენტრალური კარი, უკანა საბარგო კარი, უკანა შუშის გამწმენდი და გამათბობელი, უკანა დამატებითი სტოპ ნათურა, უკანა დამატებითი სარკე, საღონის განათება, საბარგულის განათება, საღონის ვენტილაცია ჭერში, წინა და უკანა კონდიციონერბა, მეტალის დისკები, წინა ბარაბნის ტიპის მუხრუჭი, საწვავის გათბობა, წინა და უკანა უსაფრთხოების ღვედები, ძარის დაჟანგვისგან დამცავი. სატრანსპორტო საშუალება უნდა იყოს გარბენის გარეშე. არანაკლებ 28 სამგზავრო ადგილი. სატრანსპორტო საშუალება უნდა მოიხმარდეს დიზელის საწვავს.	ცალი	1

- მიწოდების აუცილებელი პირობა:
 - საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელსეკრულების ძალაში შესვლიდან (ორივე მხარის ხელის მოწერა) არა უმეტეს 20 დღის ვადაში;
 - მიწოდების ადგილი: ქალაქი ქუთაისი ჩეჩელაშვილის ქუჩა №26;
 - გარანტია სატრანსპორტო საშუალებაზე უნდა ვრცელდებოდეს 100 000 კილომეტრის გავლამდე;
 - გადახდა განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მოწოდებიდან 10 საბანკო დღის ვადაში.
- სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოში შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ჩეჩელაშვილის ქ. №26.

- პრეტენდენტებმა თავიანთი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტში ქართულ ენაზე 2009 წლის 27 ოქტომბრის 10:00 საათიდან 17:00 სთ-მდე (სატენდერო წინადადებები გაიხსნება 27 ოქტომბერს 17:00 სთ-ზე), შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ჩეჩელაშვილის ქ. № 26, 1-ლი სართული, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სხდომათა დარბაზი.
- სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადაა 2009 წლის 6 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრამდე.
- პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:
 - იურიდიული პირებისათვის:**
 - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
 - ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
 - ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
 - ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
 - ფიზიკური პირებისათვის:**
 - ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
 - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
 - ცნობა შესაბამისი რაიონული საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მათ ბოუჯეტის წინაშე არ ერიცხებათ დავალიანება;
- აღნიშნული მოთხოვნები შემდეგ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

7.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

- ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელება, იურიდიული მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი, გვარი;
 - ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ.
- ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს:
 - ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეებისათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება, რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში) და რომელშიც აუცილებლად უნდა მიეთითოს ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები;
 - სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს ჩათვლით.
 - აღტერნატიული წინადადებები არ დაიშვება.
 - დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ირაკლი ავალიანი, საკონტაქტო ტელეფონი (+995) 99 95 96 93, მისამართზე: ქ.ქუთაისი, ჩეჩელაშვილის ქუჩა № 26, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო.

შენიშვნა: პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

სატენდერო კომისია

ბანცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს “ბათუმის ავტოტრანსპორტი” (ქ. ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. N2) აცხადებს ტენდერს საავტომობილო სანავის შესყიდვის მიზნით და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად. დაფინანსების წყარო: კერძო სამართლის იური-დიული პირის სახსრები;

1. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ლოტებად:

ლოტი N 1. დიზელი LL-62, 200000 ლიტრი.

ლოტი N 2. ევრო დიზელი ppm50, 200000

ლოტი N 3. ბენზინი “ა-92”, 1200 ლიტრი, მომწოდებლის ბენზინგასამართი სადგურიდან (სადგურებიდან) ქ. ბათუმში სატალონო მომსახურებით.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 31 მარტამდე. გამარჯვებულმა სანავის (დიზელის) მიწოდება უნდა მოახდინოს ქ. ბათუმ-ში შემდეგ მისამართზე: სულხან-საბა ორბელიანის N2.

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შე-სახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტ-ში) ქართულ ენაზე უნდა წარადგინონ 2009 წლის 28 ოქტომბრის 10 საათიდან 17:00 საა-თამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის N2. (შპს “ბათუმის ავტოტრანსპორტი”)

4. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფი-ლებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

4.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის გადახდი-სუუნარობის საქმისწარმოება. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბოუჯეტისადმი დავალიანების არქო-ნის შესახებ და რომ მის მიმართა არ ხორციელდება რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რე-გისტრაციის შესახებ;

4.2 ფიზიკურ პირებისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობებს სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება;

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუ-

თი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმ-დინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახუროებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რე-გისტრაციის შესახებ.

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

*შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ‘ტელეფონი, თმობილური, 7 ფაქსი, ელექტრონული ფოსტა **e-mail**), საკონტაქტო პირი;*

თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნ-დება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლე-ბა აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

5. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით პრეტენდენტმა უნდა წარმოადგი-ნოს საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1 %-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვა-დას.

6. პრეტენდენტი 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (შპს “ბათუმის ავტოტრანსპორტის” ანგარიშზე N 360701011900002 საიდენტიფიკაციო კოდი 245445200, ბანკის (სს “პროკრედიტ ბანკის” ბათუმის ფილიალი) კოდი 220101901, დანიშნულება სატენ-დერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციას განცხადების გამოქვეყნებიდან (6.10.09 წ.) 2009 წლის 27 ოქტომბრამდე, 10.00-დან 17.00 საათამდე, შემ-დეგ მისამართზე ქ. ბათუმი ორბელიანის ქ. N 2 შპს “ბათუმის ავტოტრანსპორტი”.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირი-საგან: მაია გერსამია, საკონტაქტო ტელეფონი ((888222) 4 71 80; მისამართზე: ქ. ბათუმი სულხან-საბა ორბელიანის ქ. N 2. (შპს “ბათუმის ავტოტრანსპორტი”).

8. პრეტენდენტების განაცხადის გახსნა და შერჩევა მოხდება პრეტენდენტთა თანდას-წრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 28 ოქტომბრის 17 საათზე. ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება გამარჯვებულები ლოტების მიხედვით.

9. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან (ან გამარჯვებულებთან) ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველ-ყოფის მექანიზმი საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა განისაღვრება 2010 წლის 31 მარტამდე.

სატენდერო კომისია

06.10.2009 წ.

** უცხო ქვეყნის წარმოდგენილმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ მათი ქვეყნის შეესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებისაგან და მოახდინონ ლეგალიზაცია კანონმდებლობის დადგენილი ნორმების შეაბამისად.*

სტაჟირება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქე-
უნყეო დანესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის
ეროვნულ სამსახურში

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახუ-
რი აცხადებს სტაჟორების შესარჩევ ღია კონკურსს. კონკურსზე დაიშვებიან 35 წლამდე
ასაკის შესაბამისი განათლების მქონე პირები შემდეგი სპეციალობების მიხედვით:

1. სურსათის უვნებლობისა და ხარისხის ზედამხედველობის სამმართველოს ცენტ-
რალურ აპარატსა და რაიონულ სამმართველოებში :

- ექიმი ჰიგიენისტ-ეპიდემიოლოგი
- ქიმიკოსი
- კვების ტექნოლოგი
- ბიოლოგი
- მიკრობიოლოგი

2. ვეტერინარული ზედამხედველობის დეპარტამენტის ცენტრალურ აპარატსა და
რაიონულ სამმართველოებში :

- ვეტერინარი
- ზოოტექნიკოსი

3. მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის ცენტრალურ აპარატსა და რაიონულ სამმარ-
თველოებში:

- სწავლული აგრონომი (მცენარეთა დამცველი,აგროქიმიკოსი)
- აგროეკოლოგი
- აგროტექნოლოგი

4. იურიდიულ სამმართველოში:

- სამართალმცოდნეები

სტაჟირების შერჩევა:

სტაჟირები შეირჩევიან კონკურსის წესით. კონკურსის I ეტაპი (ტესტირება) ჩატარდება
საქართველოს განათლების სამინისტროს გამოცდების ეროვნულ ცენტრში 24 ოქტომბერს;

კონკურსის პირველ ეტაპზე დასაშვებ პირთა შერჩევა მოხდება კომისიის მიერ კანდი-
დატთა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და შეფასების საფუძველზე;
კონკურსი გაიმართება II ეტაპად: პირველი ეტაპი წერილობითი (ტესტირება), ხოლო მე-
ორე ეტაპი - ზეპირი (გასაუბრება) ფორმით;
კონკურსის შედეგად შერჩეული სტაჟიორები 3 თვიან სწავლებას გაივლიან ორ ეტაპად:
I ეტაპი - თეორიული ნაწილის სწავლება (1 თვე) რეგიონებში;
II ეტაპი - პრაქტიკული სწავლება (2 თვე) ეროვნული სამსახურის რაიონულ და საქალაქო
სამმართველოებში;

კონკურსში მონაწილეობის პირობები:

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:
1. განაცხადი (შეივსება ადგილზე);
2. დიპლომის ასლი ;
3. პირადობის მოწმობის ასლი;
4. 2 ფოტოსურათი ზომა (3X4);
5. ავტობიოგრაფია (BV);
6. უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვე-
ვაში);
საბუთები მიიღება განცხადების გამოქვეყნების დღიდან 16 ოქტომბრის ჩათვლით 09:30
სთ-დან 17:00 სთ-მდე შაბათ-კვირის გარდა ეროვნული სამსახურის საკადრო საკითხთა სამ-
მართველოში (ოთახი N14);
ტესტირების შედეგები გამოქვეყნდება ეროვნული სამსახურისა (www.fvp.ge) და გამოც-
დების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდებზე (www.naec.ge).
კონკურსის II ეტაპზე გასულ კანდიდატებს ზეპირი (გასაუბრების) შესახებ ეცნობება
ტესტირებიდან არაუგვიანეს 1 კვირისა.

დანვრილებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ დარეკოთ 39-89-21 ან 39-41-20;
განცხადება იხილეთ სამსახურის ვებ-გვერდზე: www.fvp.ge
ან გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე: www.naec.ge
მისამართი: თამარაშვილის 15ა. IV სართული;

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მონევა ფასთა კოტირების წარდგენაზე

საიდენტიფიკაციო ნომერი: NADB/NS/012-1-2009

დაფინანსების წყარო: აზიის განვითარების ბანკი (აგბ) სესხი N2441-GEO(SF)
პროექტის სახელი: მუნიციპალური სერვისების განვითარების პროექტი.

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ) იწვევს ფასთა კოტირე-
ბის წარდგენაზე დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ კოტი-
რებები მგფ-ს კუთვნილი ავტომობილებისათვის ტექნომსახურებაზე.
2. ფასთა კოტირების შეფასება განხორციელდება ფასების შედარების საფუძველზე
და კონტრაქტი მიენიჭა ფირმას, რომელიც წარმოადგენს (I) ტექნიკურად შესაბამის და (II)
ყველაზე დაბალი ფასის მქონე წინადადებას.

3. ფასთა კოტირება განხორციელდება აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების პრო-
ცედურების შესაბამისად.
4. საკონკურსო დოკუმენტაცია დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს შეუძლი-
ათ მიიღონ უფასოდ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შემდეგ მისამარ-
თზე:

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N150, IV სართ., ოთახი N405;
ტელ: +99532 484510, 484511, 484515 (შიდა ნომერი - 405) ფაქსი: 484555
ელ-ფოსტა: procurement@mdf.org.ge
ვებ-გვერდი: www.mdf.org.ge

5. კოტირების მიღების ბოლო ვადა (ზემოთ მითითებულ მისამართზე) არის: 2009
წლის 21 ოქტომბერი, 14:00 საათი.

შპს “საქართველოს რკინიგზა” 2009 წლის 6 ოქტომბრიდან აცხადებს ტენდერს ელექტროჯაგრისების შესყიდვის შესახებ

შპს “საქართველოს რკინიგზა” (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15)
აცხადებს ტენდერს ელექტროჯაგრისების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა
დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 500 (ხუთასი)
ლარის ოდენობით შემდეგ რევიზიტებზე: ს/ს ბანკი “რესპუბლიკა” ცენტრალური ფილიალი,
კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 6
ოქტომბრიდან 2009 წლის 26 ოქტომრის ჩათვლით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის
დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის
წარმოდგენის საფუძველზე. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3
სართული, შპს “საქართველოს რკინიგზის” შესყიდვების სააგენტო.

2. შესყიდვის ობიექტი :

ლოტი №	საქონლის დასახელება და განსაკუთრებული თავისებურება	ერთ	რაოდ
1	ელექტროჯაგრისი 2 (8 X 50 X 60)	ცალი	4 000

3. მიწოდების ადგილი და პირობა: DDP თბილისი;
4. მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის განმავლობაში;
5. პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული
კონვერტებში, ქართულ (დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე) ან/და
თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინონ ორ
ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2009 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით 9სთ 00
წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3
სართული, შპს “საქართველოს რკინიგზის” შესყიდვების სააგენტო.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
იურიდიული პირებისათვის :

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით
აღრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;
2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის
წარმოება,რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის
დღემდე
3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების
ღირებულების 5%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო
არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.

ფიზიკური პირებისათვის :

1. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის
წარმოება,რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის
დღემდე ;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების
ღირებულების 5%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო
არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.
7. ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :
1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე
ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30
დღეზე ნაკლები (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც
აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება და სატენდერო წინადადების
მოქმედების ვადა. (არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)
2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ
ვალუტაში დღგ-ს გარეშე; უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების
შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის
მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;
3. გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების
გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ
საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით, რომლის
მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდე ხელშეკრულებით ნაკისრი
ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს
გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო
მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და
სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს
“საქართველოს რკინიგზის” შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56-33-71 მაკა ყუყუნაშვილი;
(სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-
39-30; ი. ლომჯანიძე 56-46-96);

სატენდერო კომისია

ბანცხალბა ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, გულუას ქ. №8-ში მდებარე შ.ს. სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის V და VI სართულებზე ფანჯრების შეცვლისა და ამავე შენობის სახურავის სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, *მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი, ტენდერის დასაზელება* და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. თბილისი გ. გულუას №8 მე-3 სართული, რის შემდგომაც გადმოგეცემთ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა ა/წ 6 ოქტომბრის 10:00 საათიდან 26 ოქტომბრის 18:00 საათამდე.

1. შესყიდვის ობიექტი:

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს შესრულების ვადა	სამუშაოს შესრულების ადგილი
ლოტი №1	შ.ს.ს. ადმინისტრაციული შენობის V და VI სართულებზე ფანჯრების შეცვლის სამუშაოები	ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში	ქ. თბილისი, გულუას ქ. №8
ლოტი №2	შ.ს.ს. ადმინისტრაციული შენობის სახურავის სარემონტო სამუშაოები	ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში	ქ. თბილისი, გულუას ქ. №8

2. დამატებითი ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის შესახებ იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში.
3. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **27 ოქტომბრის 11:00 საათიდან 15:00 საათამდე** მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. №8.
4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
- ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (სამეწარმეო რეესტრიდან);

- ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ. (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- გ) ცნობა შესაბამისი უწყებიდან რომ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (საქალაქო სასამართლოდან);
5. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემები და მიმწოდებლის მიერ ქვეკონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
6. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ განიხილება და გაუხსნელად უბრუნდებათ პრეტენდენტებს.
8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.
